ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

№ 5

თებერვალი

1929

ტფილისი.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ.

ამ წლიდან ჟურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება 1 ოქტომბრიდან. ხელისმოწერა მიიღება **ოქტომბრიდან ოქტომბრამდე.** ამას გარდა წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა ყოველთვიურად კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც **„დაუსწრებელი კურსების“** მასალა. ამის გამო ჟურნალი ამ წლიდან ელირება წელიწადში (12 ნომერი დამატებით) 5 მანეთი წინანდელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ვადით ჟურნალის გამოწერა არ შეიძლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ჟურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ ჟურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღდებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, ჟურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ ჟურნალი. ვთხოვთ გასრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მი-

redakcio kolegia.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

4876

№ 5

თებერვალი

1929

ტფილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვ.
კულტურული აღმშენებლობა რვა წლის განმავლობაში მ. ორახელაშვილი	3
განათლების სისტემის გადასინჯვისათვის გ. გოგუაძე	10
ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მშენებლობის საკითხები ნ. მახარაძე	20
ხოფლის ახალგაზრდობის სკოლები საქართველოში შ. სიხარულიძე	24
წარმოების რეკონსტრუქცია და მუშათა კადრების მომზადების საკითხი დ. ცხაკაია	38
განათლების სისტემის გადასინჯვის საკითხისათვის მ. ორახელაშვილი	44
სოციალური აღზრდის მეორე საფეხურის სკოლაში პოლიტექნიზმისა და პროფესიონალური განხრის საკითხისათვის გ. კანდელაკი	51
სკოლის ასაკამდე აღზრდისა და I საფეხურის სკოლების ადგილი განათლების სისტემაში მარო ლომინაძე	59
საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი დიმ. გურგენიძე	65

პასუხისმგებელი რედაქტორი **მარიამ ორახელაშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი **რ. ნიკოლაძე.**

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 262. შეკვეთის № 931. დაიბეჭდა 4000.

კულტურული აღმშენებლობა რვა წლის განმავლობაში.

რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშრომელმა მასებმა გაითავისუფლეს თავი მენშევიკების ბატონობისაგან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ენერგიულად და წარმატებით შეუდგენ ბრძოლას ახალი ცხოვრებისთვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის. ეს რვა წელი ყოველმხრივ განსაკუთრებით მძიმე წლები იყო. ხანმოკლე ბატონობის დროს მენშევიკებმა თავისი ეკონომიური და ნაციონალური პოლიტიკით ქვეყანა დაღუპვის პირად მიიყვანეს. თავისი შოვინისტური პოლიტიკით, რომელიც ეროვნულ შუღლს და სიძულვილს თესავდა. როგორც საქართველოს სხვადასხვა ეროვნებებს შორის, აგრეთვე ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერებს შორისაც, მათ იმდენი შესძლეს, რომ ნაციონალიზმის შხამით მოწამლეს მშრომელთა ზოგიერთი ნაწილიც კი, ხოლო ბურჟუაზია და ინტელიგენციის მცირე ნაწილი ხომ დღესაც ვერ განთავისუფლებულა სავსებით მენშევიზმის გამხრწნელი გავლენისაგან.

კულტურული მხრივაც საქართველოში მენშევიკების ბატონობის ეპოქას სრულიად არაფერი მიუცია მშრომელებისათვის, პირიქით, ეროვნულ უმცირესობათათვის ეს იყო შავი რეაქციის ხანა, მაშინ დახურეს ეროვნულ უმცირესობათა მთელი რიგი კულტურული დაწესებულებანი.

რვა წლის წინ საქართველო წარმოადგენდა გაძარცულ, გაქურდულ, განიავებულ ქვეყანას.

აი, ასეთ მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება ჩვენს პარტიას, ჩვენს ხელისუფლებას.

რა მიღწევები გვაქვს ჩვენ კულტურული მშენებლობის დარგში განვლილი თერთმეტი წლის მანძილზე?

სკოლის ასაკამდე აღზრდა

კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაჭრა შეიძლება, თუ სკოლის ასაკამდე ბავშები უზრუნველყოფილი იქნებიან სწორი საზოგადოებრივი აღზრდის მხრივ. სწორედ ამიტომ მოითხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამა „შექმნას სკოლის ასაკამდე დაწესებულე-

ბათა ქსელის, ბაგების, ბაღების, კერების და სხვათა—საზოგადოებრივი აღზრდის გაუმჯობესების და ქალთა განთავისუფლების მიზნით". სკოლის ასაკამდე დაწესებულებანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სრულიად არ იყო, ახლა კი, 8 წლის მუშაობის შემდეგ, ჩვენ გვაქვს (ავტონომიურ რესპუბლიკებს გარდა) 79 საბავშო ბაღი, (61 ბაღი ქალაქებში და 18—სოფლად), რომლებშიც სულ 6124 ბავშია, რაც შეადგენს სკოლის ასაკამდე ბავშთა 3,4 პროც. შეუძლებელია არ ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ ძალიან ცოტა გავაკეთეთ.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში ჩვენს ამოცანას წარმოადგენს სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა ქსელის გაფართოება,—ამ დაწესებულებათა გახსნა ქალაქისა და სოფლის იმ რაიონებში, სადაც მუშები და ღატაკები ცხოვრობენ; პირველ რიგში ამ დაწესებულებებმა უნდა დააკმაყოფილოს საწარმოო მუშები და კოლექტიური მეურნეობანი, თანაც რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული მუშაობაში საზოგადოებრივ-კულტურული, სამეურნეო, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, ა. ლ. კ. კ., ქალთა განყოფილებანი და სხვ.

პირველი საფეხურის სკოლა

სასკოლო განათლების დარგში ჩვენი ძირითადი ამოცანაა—პირველი საფეხურის სკოლების ქსელის გაფართოება და განმტკიცება, რომ შევძლოთ სასკოლო ასაკის ბავშთა მთელი მოსახლეობის დაკმაყოფილება. 1921 წელს (ავტონომიურ რესპუბლიკებს გარდა) სულ იყო პირველი საფეხურის 1.519 სკოლა, რომლებშიც 126 898 მოწაფე სწავლობდა, ახლა კი გვაქვს—1.833 სკოლა (ყოველწლიურად, საშუალოდ, ახალი 39 სკოლა გახსნილა), რომლებშიც 193.650 მოწაფე იყო, რაც პირველი საფეხურის სკოლის ასაკის ბავშთა მოსახლეობის 67 პროც. უდრის; საერთოდ, სკოლების რიცხვმა 20,7 პროც. იმატა, მოწაფეთა რიცხვმა—52,6 პროც., რაც მოწმობს მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების გაზრდას.

ამრიგად ჩვენი კულტურული ფრონტის უმთავრესი ამოცანა—საყოველთაო დაწყებითი განათლების განხორციელება, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი და ის რჩება მორიგ და გადაუდებელ ამოცანად უახლოესი ხუთი წლისათვის. პირველი საფეხურის სკოლებში 1921 წლის დასაწყისში 3.777 მასწავლებელი იყო, ახლა კი—5.372, მაშასადამე, მომატება 44,5 პროც. უდრის.

განათლების ცენზის მიხედვით მასწავლებელთა შემადგენლობა: უმაღლესი ცოდნით—60 კაცი, საშუალო ცოდნით—4.380, დაბალი ცოდნით—932 კაცი.

პირველი საფეხურის სკოლა ყოველწლიურად მაგრდება მუშაობის ახალ სისტემაზე, იზრდება თვისებრივ, მაგრამ წინ კიდევ დიდი მუშაობა გველის.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წერაკითხვის ცოდნა და სკოლის მიერ მიცემული ცოდნა ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესების ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდეს, რათა სკოლა ამ გზით გადაიქცეს კულტურული რევოლუციის საიმედო ბერკეტად.

მეტისმეტად სუსტია პირველი საფეხურის სკოლის ნივთიერი ბაზა, სკოლას არა აქვს სათანადო შენობა, აუცილებელი მოწყობილობა: არ არის კაბინეტები, ბიბლიოთეკები, სახელოსნოები და სასწავლო ნივთები, რაც აძნელებს შრომითი აღზრდის მიხედვით მუშაობას. აქ ყოველი ძალ-ღონე უნდა გამოვნახოთ, რომ გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც კი შესაძლოა. უნდა დავეყრდნოთ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტს და გამოვიყენოთ მასების ინიციატივა და დახმარება.

მეორე საფეხურის სკოლა

მეორე საფეხურის შრომის სკოლის ამოცანას შეადგენს—ემსახუროს მოსახლეობას ზოგადი განათლების უფრო მაღალი საფეხურის ცოდნის მიღებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომენტში ასეთი სკოლების რიცხვი იყო: უმაღლესი დაწყ. სასწ. 168—23.775 მოწაფით და 1.043 მასწავლებლით: გიმნაზია და რეალური სასწავლებელი—77—25.069 მოწაფით და 1.552 მასწავლებლით.

ახლა გვაქვს: შვიდწლედი 311—41.000 მოწაფით და 3.345 მასწავლებლით; სოფლის ახალგ. სკოლა 97—4.956 მოწაფით და 324 მასწავლებლით; ცხრაწლედი 63—19.350 მოწაფით და 1.551 მასწავლებლით.

მეორე საფეხურის მასწავლებელთა შემადგენლობა განათლების მხრივ ასეთია: უმაღლესი ცოდნით—974; საშუალო ცოდნით—3.986; დაბალი ცოდნით—281.

როგორც ეს ცნობები გვიჩვენებს, რვა წლის განმავლობაში მეორე საფეხურის პირველი კონცენტრის სკოლების ქსელს მიემატა 240 სკოლა (საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების მომენტში არსებულ 168 სკოლის ნაცვლად მიმდინარე წელს უკვე 488 შვიდწლედი და

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა გვაქვს), ანუ დაახლოვებით—143 პროც.

მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის (9-წლედი) მიმართ შემცირების პოლიტიკა ტარდებოდა (77 გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის ნაცვლად ახლა 69 ცხრაწლედი გვაქვს), ე. ი. 14 სკოლით, ანუ 18 პროც. ნაკლები. ცხრაწლედების რიცხვის შემცირებას მომავალშიც ექნება ადგილი, ეს შეეფარდება უმაღლეს სასწავლებელთა ტევას და ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის რეალურ მოთხოვნილებებს და არ დავუშვებთ, რომ მეორე საფეხურის სკოლა იყოს ის არხი, რომელიც საშუალო ინტელიგენციას ისვრის შრომის ბირჟაზე. სამაგიეროდ თანდათან გაფართოვდება პროფტეხნიკური სკოლების ქსელი, როგორც აქამდე ხდებოდა. მეორე საფეხურის სკოლების ქსელი ჩვენ სტაბილურად მიგვაჩნია უახლოესი წლებისათვის და საჭიროა ყველა ძალ-ღონე და საშუალება გამოვიყენოთ, რომ მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ მისი მუშაობის თვისება; ამ მიმართულებით უახლოეს წლებში უნდა შევძლოთ, რომ მეორე საფეხურის სკოლა ქალაქშიაც და სოფლადაც წარმოების ბაზაზე იყოს აგებული, რომ თავისი მუშაობა სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას დაუკავშიროს, რომ მას ექნეს საკმაო მკვიდრი ნივთიერი ბაზა კაბინეტების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, სასკოლო მეურნეობის სახით და, ბოლოს, რომ ის იყოს უზრუნველყოფილი სავსებით კვალიფიციური პედაგოგიური შემადგენლობით, ამ მხრივ კი ამჟამად მწვავედ დგას საკითხი, მეტად ცოტა გვყავს ასეთი ძალები.

კვალიფიციური ძალების მომზადება

სამეურნეო-კულტურული აღმშენებლობის ყველა დარგისათვის კვალიფიციური ძალების მომზადება უმაღლეს, საშუალო და დაბალ პროფტეხნიკურ სკოლებს აქვს დაკისრებული. პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების ტრადიცია საქართველოში 1921 წლამდე თითქმის სრულიად არ იყო; უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში პროფტეხნიკური განათლების სწრაფი ზრდა გამოწვეულია რეალური მოთხოვნილებებით, სოციალისტური აღმშენებლობის ზრდის ჩქარი ტემპით.

დაბალი პროფტეხნიკური განათლების დარგში სკოლების რიცხვი ამჟამად უკვე უდრის 69-ს, ხოლო მოწაფეების—4566-ს.

საშუალო პროფტეხნიკური განათლების დარგში ამჟამად გვაქვს 40 სკოლა 5.714 მოწაფით.

სპეციალობის მიხედვით ტეხნიკუმები ასე ნაწილდება:

პედაგოგიური 12, აგრონომიული 10, ჰიდროტეხნიკური 1, საფეიქრო 1, სატყეო 1, სამიწათმომწყობო 1 და სამკურნალო 3.

1921 წ. იყო: **2 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობდა 4.006 სტუდენტი, სამეცნიერო მუშაკთა** რიცხვი უმაღლეს სასწავლებელში უდრიდა 184 კაცს.

1929 წელს ჩვენ გვაქვს სტუდენტთა შემდეგი განაწილება ფაკულტეტების მიხედვით: პოლიტეხნ. 2.697, აგრონომ. 2.034, სოც. ეკონ. 1.951, პედაგ. 1.695, სამკურნალო 1090, სახელოვნო 595, არა ნაკლებ საინტერესოა კურსდამთავრებულთა რიცხვის გამორკვევა.

1924 წლიდან 1927 წლამდე დაასრულა 4-წლედის კურსი 59.275 კაცმა, 7-წლედის—20.843 კ., სოფ. ახ. სკ.—540 კ., 9-წლედის 15.620 კ., პროფ. სკოლა—439 კ., პროფ-კურსები—691 კ., სპეც. ტეხნიკუმები—1868 კ., სხვა სასწავლებლები—1329 კ.

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ ჩვენში ძალიან დიდი შეუსაბამობაა დაბალი, საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მოთხოვნილებასა და სხვადასხვა ტიპის პროფტეხნიკური სასწავლებლების მოწაფეთა რიცხვს შორის.

დაბალი პროფგანათლება

ჩვენ ძალიან უმნიშვნელო პროცენტით გვაქვს გადაჭრილი, ძალიან ცოტა გვაქვს საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლები, რომლებიც ყველაზე უფრო სწორად სჭრიან კვალიფიკაციურ ძალების მომზადების საკითხს, თანაც ეს სასწავლებლები ძალზე ძვირი ჯდება, დაბალი პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლება კი ან სულ არ არის, ან ძალიან ცუდად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს პრობლემა სოფლადაც ცუდად არის გადაჭრილი, ჩვენ გვინდა მსხვილი კოოპერატიული სასოფლო მეურნეობა, მივისწრაფით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისაკენ და ამავე დროს კი კვალიფიციურ მუშაკებს სოფლისთვის ნაკლებად ვამზადებთ, ვინაიდან დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლება არც ოდენობით და არც თვისებით არა დგას დამაკმაყოფილებელ დონეზე. ცოტაოდენი კორექტივი შეაქვთ მასიური კულტურული მუშაკების შექმნის დარგში სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს საქართველოში, ასეთი სკოლა კი 97 გვაქვს და ზოგიერთმა მათგანმა შესძლო თავისი მუშაობის ერთგვარად დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და ავტორიტეტიც მოიპოვა გლეხობაში. საერთოდ ტეხნიკუმები და კერძოდ კი ინდუს-

ტრიალური და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, რომლების მიზანია საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადება, უკანასკნელ ხანებში უკეთ ასრულებენ თავის ამოცანას, მაგრამ რიდენობის მხრივ მაინც ვერ აკმაყოფილებენ სამეურნეო ორგანიზაციების საჭიროებას და არც საკმაოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან.

ღარიბები საბჭოთა სკოლებში

სასკოლო აღმშენებლობის სუსტ მხარედ უნდა მივიჩნიოთ მუშური და ღატაკი ახალგაზრდობის არა საკმაო წინსვლა განათლების საფეხურებზე. გამოკვლევის ცნობები გვეუბნება, რომ დაბალ და საშუალო საფეხურებზე ღატაკი ფენების ნაწილი თავს ანებებს მეცადინეობას და უმაღლეს საფეხურებამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღწევს. განათლების ორგანოები დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობას აკუთნებენ ღატაკი ახალგაზრდობის წინსვლას განათლების უმაღლეს საფეხურებზე და ყოველმხრივ სწავლობენ ამ საკითხს; ამჟამად უკვე მიღებულია ზომები არა მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ შესწყდეს ღარიბ ბავშვების მიერ ზემო საფეხურის თავის დანებება, არამედ იმ მიზნითაც, რომ შეიქმნას პირობები, რათა ასეთი ახალგაზრდობის რაც შეიძლება დიდი რიცხვი შევიდეს ყველა საფეხურის სკოლებში. მუშფაკებთან მოწყობილია მოჯამაგირეთა კურსები, გახსნილია საერთო საცხოვრებლები ღარიბ ბავშვებისათვის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან და ტეხნიკუმებთან; მათ ენიშნებათ სტიპენდიები; რესპუბლიკაში შექმნილია ღატაკთა ფონდები.

ხელოვნების განვითარება

ხელოვნების განვითარებისა და რევოლუციონურ-მხატვრული აღზრდის ამოცანებს ემსახურება: სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო კონსერვატორია, სახალხო სამხატვრო სტუდია, 4 მუსიკალური ტეხნიკუმი, 2 მუსიკალური მუშფაკი, 9 მუსიკალური სკოლა, ეროვნულ უმცირესობათა თეატრები, ნორჩ მაყურებელთა 2 თეატრი, ხელოვნების სასახლე, 2 აკადემიური გუნდი და სხვადასხვა სტუდია.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას მასების აღზრდის საქმეში, მათი შეგნების და მსოფლმხედველობის გამომუშავებაში და ემოციების ორგანიზაციის საქმეში; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ხელოვნების განხილვა ისე, თუ უდიდესი ყურადღება არ მივაქციეთ მის შინაარსა და მიმართულებას; როგორც ზეგავლენისა და აღზრდის ყოველ ფაქტორს ხელოვნებასაც სოციალისტური აღზრდის თვალ-

საზრისით ვუდგებით. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შეფასებას სწორეთ ამ თვალსაზრისით ვუდგებით და უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხელოვნების იდეოლოგიური მხარე ჯერჯერობით სუსტია: თეატრის, კინოს, მუსიკის, პლასტიური ხელოვნების და საერთოდ ლიტერატურის (გამონაკლისებზე არ ღირს ლაპარაკი) შინაარსი ძალიან ხშირად არ შეესაბამება ჩვენს იდეოლოგიას და არ ემსახურება მასების აღზრდის ჩვენს ამოცანებს; იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელოვნების სახით გვაწვდიან აშკარად უცხო და მავნე ტენდენციებს და თითქოსდა მხატვრული საფარის ქვეშ გამოსჭვივის შოვინისტური და კონტრ-რევოლუციონური სულისკვეთება („არიფიონი", საშუალო საუკუნეების სტილის სახლები და სხვა). ჩვენ ვერ დავუშვებთ „ხელოვნების თავისუფლებას", თუკი ეს თავისუფლება სოციალიზმის მშენებელ მასების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჩვენ ყოველგვარად,—მატერიალურადაც და იდეოლოგიურადაც,—უნდა შევუწყოთ ხელი და წინ წამოვწიოთ ხელოვნების ის მუშაკნი, რომლებიც ჩვენ ამოგვიდგენ მხარში, ხოლო იმათ კი, რომლებიც გზაზე გველობებიან, სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

მიღწევები პოლიტგანათლების დარგში

კულტურული რევოლუცია და სახალხო მეურნეობის ზრდა წარმოუდგენელია ისე, თუ არ გარდავქმნით და არ გავაუმჯობესებთ მოზრდილი მოსახლეობის კვალიფიკაციას, იმ მოსახლეობის, რომელიც უკვე ეწევა სოციალისტური მშენებლობის მძიმე ტვირთს. ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში, ყველაფერი ვერ არის რიგზე: 8 წლის განმავლობაში წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ისწავლა წერაკითხვა 187.818 კაცმა, ხოლო კიდევ დარჩა წერაკითხვის უცოდინარი 264.000 კაცი.

მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის 172 სკოლა არსებობს; გარდა ამისა, არის მაღალი ტიპის 3 სკოლა, 2 პარტსკოლა, 60 პოლიტსკოლა და 2 მუშათა უნივერსიტეტი; მასიურ პოლიტგანმანათლებელ მუშაობას ეწევა 407 სამკითხველო, 55 ბიბლიოთეკა, 156 რადიო-სადგური, 54 მოძრავი კინო; სამკითხველოებთან არსებობს და სისტემატიურ მუშაობას ეწევა შემდეგი წრეები: დრამატიული—157, ლიტერატურული—127, პოლიტიკური—64, აგრონომიული—122, სანიტარული—83, კოოპერატიული—55, სამხატვრო—52.

ჩვენი ამოცანაა—ბოლშევიკურად გავილაშქროთ უმეცრების წინააღმდეგ და უპირველეს მიზნად დავისახოთ წერაკითხვის უცოდინარობის მოსპობა მოსახლეობას შორის; საქმე ისე უნდა იყოს დაყე

ნებული, რომ წერაკითხვის ცოდნა მოსახლეობის ხელში მაშინვე იქცეს „საკუთარი მეურნეობის და სახელმწიფოს გაუმჯობესების იარაღად" (ლენინი).

მშრომელი მასები როგორც ქალაქში, ისე სოფლად, გაცილებით უფრო მეტი ინტერესით ეპყრობიან სასკოლო აღმშენებლობას. გაძლიერდა და გაღრმავდა ამ მუშაობის კონტროლი მათი მხრივ. ყოველივე ეს ერთად აღებული იმის საუკეთესო საწინდარია, რომ ჩვენ ჩქარი ტემპით წავალთ წინ სოციალისტური კულტურის შექმნისა და მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გზით.

მარიამ ორახელაშვილი

განათლების სისტემის გადასინჯვისათვის

განათლების სისტემის ძირითადი საფუძვლების შეცვლაზე არ არის ლაპარაკი, საკითხი ეხება სისტემის ცალკე ელემენტების გადახალისებას სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით.

როგორია ეს ამოცანები?

სახალხო მეურნეობის მანქანურ წესებზე გადაყვანა; სოფლის მეურნეობაში მსხვილი კოლექტიური მეურნეობის დამკვიდრება; ინდუსტრიალურს განვითარებაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევა და გასწრება; მასების შრომითი კვალიფიკაციის გაზრდა; ს. ს. რ. კ. თავდაცვითი უნარიანობის მაქსიმალური გადიდება; კულტურული რევოლუცია და ახალი ადამიანის მომზადება,—აი, ის მთავარი ამოცანები, რომლებიც წამოყენებულია სოციალიზმის შენების მიმდინარე პერიოდში და რომელთა თვალსაზრისით უნდა შეფასდეს სახალხო განათლების სისტემა და გატარდეს მისი რეკონსტრუქცია. საჭიროა მთელი სისტემა და ყოველი ცალკე მისი ნაწილი რაოდენობით და რაობით შეწონასწორებული იყოს მშენებლობის ამოცანებთან, რომ კულტურული მშენებლობა თავის სოციალ-ეკონომიურს საფუძველს გაუსწორდეს. განათლების სისტემაში შემავალი ყველა ტიპისა და საფეხურის დაწესებულების მიზანდასახულება და მუშაობა ზუსტად უნდა იქნას მოხაზული, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რისთვის არსებობს და როგორ ამართლებს თავის დანიშნულებას. აუცილებელია მეტი კონკრეტობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეორგანიზაციის ამოცანებთან ერთად უნდა დაისვას საკითხი კულტურული მუშაობის მაქსიმალური გაუმჯობესების შესახებ; რეკონსტრუქცია სარტო ტიპის და

ორგანიზაციული მხარის შეცვლას კი არ გულისხმობს, არამედ მუშაობის სისტემა უნდა შეიცვალოს, გადახალისდეს, მუშაობის შინაარსი გაუმჯობესდეს. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. კულტურული მუშაობის რაციონალიზაციის საკითხებზე უნდა გამახვილდეს ჩვენი ყურადღება; ამ ფრონტზე გამარჯვებას უნდა მოხმარდეს სათანადო ნივთიერი სახსარი და ენერგია: კულტურული რევოლუციის ფრონტი ძირითად ფრონტად უნდა იქნას მიჩნეული.

ჯერ სოციალური აღზრდის დარგს შევეხოთ.

სკოლამდე ასაკის საბავშო დაწესებულებათა ქსელი ჩვენში ჯერ კიდევ იმდენად მცირეა, რომ ის ბავშთა მოსახლეობის მხოლოდ $1^1/_2$%-ს იტევს; ბრძოლა ბავშთა საზოგადოებრივი აღზრდისათვის საბავშო დაწესებულებებში—ბრძოლა საბავშო ბაღების, კერებისა და მოედნებისთვის მორიგ ამოცანად რჩება.

სკოლამდე ასაკის დაწესებულებანი, იმის გარდა, რომ მათ უნდა უზრუნველჰყონ მომავალი თაობის ყოველიმხრივად წესიერი აღზრდა ახალი ადამიანის შექმნის მიმართულებით, იმავე დროს გარემოზე კულტურული ზეგავლენის მძლავრ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს: ხელს უნდა უწყობდენ კულტურული ცხოვრების ჩვევების განმტკიცებას მოსახლეობაში გადატანით, ეხმარებოდენ კოლექტივიზაციის იდეების განაღდებას, უნდა ებრძოდენ ძველს ყოფა-ცხოვრებას, ხელს უწყობდენ მშრომელ ქალთა განთავისუფლებას საზოგადოებრივ მშენებლობაში ჩასაბმელად.

ასეთი მუშაობით გახდება სკოლამდე ასაკის აღზრდის დაწესებულება კულტურულ რევოლუციის აქტიური მონაწილე.

ბავშთა მოსახლეობის მეტი რაოდენობით მოქცევის აუცილებლობა სკოლამდე ასაკის აღზრდის დაწესებულებებში ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საკითხს აყენებს.

ამიმართულებით გაძლიერებული მუშაობა მუშათა უბნებზე და უღარიბეს რაიონებზე უნდა გავრცელდეს. სკოლამდე ასაკის აღზრდის მოგვარების მხრივ სოფელი თითქმის ხელუხლებელია, სოფელში თითქმის არაფერი გაკეთებულა. სოფელს მეტი ყურადღება ესაჭიროება; აქ მეტადაა საჭირო კულტურული ზექმედების ფაქტორები.

სკოლამდე ასაკის აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოება-შენახვაში საზოგადოებრივი თაოსნობა ძლიერ სუსტია; მთელი სიმძიმე ამ მხრივ განათლების ორგანოებს აწევს; ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული საბჭოთა, პარტიული, საზოგადოებრივ-კულტურული, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები, პროფ-

კავშირები, ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციები; ქალთა თაოსნობა ამ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ფართო მუშაობა უნდა ჩატარდეს მოსახლეობის კოოპერატიულად გაერთიანებისათვის აღზრდის ამოცანების გარშემო; ყოველს რიგიანად მომუშავე II საფეხურის სკოლას, პედტექნიკუმს, პედ. უმაღლეს სასწავლებლებს და სხვა სკოლებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ხაზით უნდა დაეკისროს მუშაობა ბავშთა გარემოს ორგანიზაციის საქმეში; პედაგოგიური სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა ზაფხულობით გამოყენებული უნდა იქნას საბავშო მოედნებზე სამუშაოდ—ეს უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-სასარგებლო პედაგოგიური მუშაობა იქნება. პირველი საფეხურის სკოლაში მიღების ასაკი ჯერჯერობით 8 წელზე ნაკლები არ არის. საბავშო ბაღებში და კერებში კი ბავშები მხოლოდ 7 წლამდე რჩებიან. ამგვარად, ერთი წელი ღიად რჩება. ეს უნდა გამოსწორდეს: ბაღებსა და კერებში ბავში 8 წლამდე უნდა დარჩეს.

პირველი საფეხურის შრომის სკოლის მშენებლობაში ჩვენი ძირითადი ამოცანა—საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება—ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია; არსებული ქსელი ბავშთა მოსახლეობის მხოლოდ 67% იტევს; გასაგებია, რომ ასეთ პირობებში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეუძლებელი ხდება; საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება კულტურული მშენებლობის ფრონტზე პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული და მის გადაწყვეტას მოხმარდეს ჩვენი ნივთიერი შესაძლებლობისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი. უამისოდ ცარიელი სიტყვაა კულტურულ რევოლუციაზე ლაპარაკი.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ პირველი საფეხურის სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი ზრდის საშუალებით. არ გვყოფნის ნივთიერი სახსარი, რომ I საფეხურის სკოლა ყოველგან გაზრდილიყო ნორმალურ ოთხწლედად. ამიტომ რესპუბლიკაში 300-მდე არასრული საფეხურის სკოლაა ერთწლედის, ორწლედის და სამწლედის სახით. რათაც გინდა დაჯდეს, ეს მდგომარეობა უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში უნდა გამოსწორდეს,

პირველი საფეხურის სკოლის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ენერგიული ბრძოლაა საჭირო მისი მუშაობის თვისების გასაუმჯობესებლად, რათა მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობის შედეგი შეუჩერებლივ და სწრაფად იზრდებოდეს; ჩვენი მასიური სკოლა მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილ სოციალისტურ სკოლად, როცა თავის მუშაობას ახალი ცხოვრების მშენებლობაში მონაწილეობის

საფუძველზე დაამყარებს, სოციალიზმის მშენებელთა მომზადების გზად მშენებლობაში მონაწილეობას მიიჩნევს, ახალგაზრდობის სწორი მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძვლებს მისცემს, მშენებლობისათვის აუცილებლად საჭირო ცოდნა-ჩვევათა მინიმუმით შეაიარაღებს, ახალგაზრდებში სოციალისტური წყობილებისა და ახალი კულტურის აშენების სურვილს გამოიწვევს, გააძლიერებს და ცხოვრების გაუმჯობესება-გარდაქმნაში გამოსაყენებლად კოლექტიური ძალ-ღონის ორგანიზაციის უნარს შეუმუშავებს.

ჩვენი სკოლა ახალი ადამიანის „სამჭედლოდ“ უნდა გახდეს; მისი კულტურული გავლენა ათასი გზით უნდა ვრცელდებოდეს მოსახლეობაზე, მის მეურნეობაზე, შეგნებაზე, ყოფა-ცხოვრებაზე; მასიური სკოლა კულტურული რევოლუციის უმთავრეს ბურჯს უნდა წარმოადგენდეს.

მართალია, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი მასიური სკოლის მუშაობა თვალსაჩინოდ გაიზარდა: კომპლექსური სისტემა—ცხოვრების შესწავლისა და მასში მონაწილეობის სისტემა—ჩვენი სკოლის მუშაობის საფუძვლად არის მიღებული; მასწავლებელთა რიგებში ამ მხრივ უკვე აღარ აქვს ადგილი ეჭვებს და უგულობას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. პედაგოგიური მუშაობის რაციონალიზაცია და მისი ნაყოფიერების გაზრდა, სკოლის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, მორიგი ამოცანაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ორგანოების ყურადღება სკოლის მშენებლობაში, უმთავრესად, დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისაკენ არის მიმართული; მეტად სუსტია მუშაობა სკოლების ნივთიერი საფუძვლის გამაგრების საქმეში; ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, სკოლას არ გააჩნია რიგიანი შენობა, ავეჯეულობა, იშვიათ გამონაკლისს გარდა, სრულებით არ აქვს სასწავლო ხელსაწყოები, წიგნსაცავი, სახელოსნოები; სკოლის განკარგულებაში არ არის მიწის ნაკვეთი, რომ ზედ პატარა კულტურული მეურნეობის გაჩენა შეიძლებოდეს; ცხადია, რომ ამ პირობებში შეუძლებელია პედაგოგიური პროცესის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. აქეთკენ უნდა გაძლიერდეს ყურადღება. რეზოლუციები და კარგი სურვილები არ კმარა, რეალური ღონისძიებაა საჭირო.

კულტურული მუშაობის წარმატება, კულტურული რევოლუციის გამარჯვება ფართო მასების აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. ახალი სკოლის შექმნის საქმეში მასების თაოსნობა მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს. მასების ასამოქმედებლად კულტურული მშე-

ნებლობის ამოცანების გარშემო მასწავლებლობას დიდი მუშაობის ჩატარება მართებს.

აქვე უნდა დავაყენოთ საკითხი პირველი საფეხურის სკოლაში სასწავლო დროის ხანგრძლივობის შესახებ. ჩვენი სკოლა ოთხწლიანია. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში დაწყებითი სკოლის ხანგრძლივობა საშუალოდ 6 წელია: გერმანეთში—4 წ., საფრანგეთში—4, იტალიაში—5, ესპანეთში—7, შვედეთში—4, ნორვეგიაში—7, ინგლისში—9, ჩრ. ამ. შ. შტატებში—6. ჩვენი სკოლის წინაშე გაცილებით უფრო რთული ამოცანებია დასმული—ახალი მსოფლმხედველობით და სოციალიზმის შენების უნარით აღჭურვილი ადამიანის აღზრდის სახით, სასწავლო დრო კი მცირეა. პირველი საფეხურის სკოლა მასიურია; ამ სკოლის მუშაობაზეა უმთავრესად დამოკიდებული მასების კულტურული დონე; ეს დონე რომ აიწიოს, პირველი საფეხურის სკოლის მუშაობა უნდა გაღრმავდეს, 4 წელი ასეთი მუშაობისათვის არ კმარა; საჭიროა სასწავლო დროის გადიდება ერთი წლით მაინც და, 4-წლედის ნაცვლად, 5-წლედის შექმნა; ეს ერთი წელი ქვევიდან უნდა დაემატოს—პირველი ჯგუფის სახით, აქ მუშაობა საბავშო ბაღის სისტემით უნდა მიმდინარეობდეს; ეს შესაძლებლობას მოგვცემს სკოლაში მისაღები ასაკი 8 წლიდან 7-მდე დავიყვანოთ; მაშინ 5-წლედს 12 წლის ბავში დაასრულებს; იმის გარდა, რომ ბავშის მომზადების დონე აიწევს, ისიც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება, როდესაც ბავშთა მთელი მოსახლეობა ერთი წლით უფრო ადრე დადგება მოწესრიგებული პედაგოგიური მუშაობის გავლენის ქვეშ.

ცხადია, მე-5 წლის დამატება ხარჯებს გაზრდის; დაახლოებით $1^1/_2$ მილიონი მანეთით მეტი იქნება საჭირო, ვიდრე დღეს იხარჯება პირველი საფეხურის სკოლაზე; ეს თანხა მოზრდილია; ამიტომ მისი გაღება ახლავე, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია, მით უმეტეს, როდესაც 4-წლედის ფარგლებშიაც არ გვაქვს ჯერ განხორციელებული სავალდებულო საყოველთაო სწავლა და არსებული ქსელიც მეტად სუსტია ნივთიერი ბაზის მხრივ. ამიტომ საყოველთაო სწავლის შემოღებამდე 4-წლედით უნდა დავკმაყოფილდეთ, თანაც სკოლა უნდა გავამაგროთ, ხოლო, როდესაც საყოველთაო სწავლა ფაქტი იქნება და ამ დროისათვის ეკონომიურადაც უფრო მოღონიერებული ვიქნებით, 5-წლედის განაღდებას უნდა შევუდგეთ.

ასეთი აზრიც არის წამოყენებული: რადგან 4-წლედის ფარგლებში საყოველთაო სწავლის განხორციელებისთანავე უნდა დავაყენოთ საკითხი მეორე საფეხურის სკოლის მასიურ სკოლად გადაქცე-

ვის შესახებ და, მაშასადამე, საყოველთაო სავალდებულო სწავლა მე-2 საფეხურის სკოლის ფარგლებში განვახორციელოთ, ამიტომ არ არის საჭირო 5 წლედზე შეჩერებაო.

პრინციპულად ამის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის; კომუნისტური პარტიის პროგრამაც მოითხოვს 7 წლამდე საყოველთაო, სავალდებულო, უფასო სწავლის შემოღებას; მაგრამ ვეჭობ, რომ ამ საკითხის პრაქტიკულად დასმა შეიძლებოდეს უახლოესი ათეული წლების განმავლობაში თუნდაც 4-წლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლის განხორციელების შემდეგ: ეს მოღონიერებული ბიუჯეტისთვისაც დაუძლეველი იქნება, 5-წლედის განხორციელება კი გაკილებით ადვილი საქმეა; ანდა კიდევ, როდესაც 5-წლედი იქნება პირველი საფეხურის სკოლა, ეს განა არ გააადვილებს შემდგომს მუშაობას მე-II საფეხურის სკოლის მასიურ სკოლად გადაქცევის მიმართულებით? მაშ ასე: ჯერ, საყოველთაო სწავლის განხორციელებამდე, 4-წლედზე უნდა შევჩერდეთ, ხოლო შემდეგ 5-წლედი უნდა შევქმნათ; ეს გზა გარკვეულად უნდა გვქონდეს არჩეული აქედანვე. და ამის შესახებ სისტემაშიც უნდა ვთქვათ.

ყოველწლიურად ბავშთა მოსახლეობის მოზრდილი რიცხვი რჩებოდა სკოლის გარეშე—სასკოლო ქსელის სიმცირის გამო; ამით წერაკითხვის უცოდინარი ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რიცხვი დაგროვდა, უფრო კი სოფლად. ეს ახალგაზრდობა უკვე მეურნეობაშია ჩაბმული. კულტურული მუშაობა ამ ახალგაზრდობაზეც უნდა გავრცელდეს. პირველ რიგში აქ უნდა მოისპოს წერაკითხვის უცოდინარობა და ახალგაზრდობას მიეცეს ცოდნის ისეთი ელემენტები, რომლებიც აუცილებელია ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ ახალგაზრდობისათვის (11—15 წ.) უნდა გაიშალოს ორწლიანი სკოლების ქსელი; ამ სკოლების მუშაობის სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდობას, ზოგადი ცოდნის მინიმუმთან ერთად, სამეურნეო-პრაქტიკული ცოდნა-ჩვევანი უნდა მისცეს.

მეორე საფეხურის შრომის სკოლის მუშაობა თავისი თვისებითანდათან იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ იმისგან, რაც უნდა გვქონდეს, საშუალო სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობა ხშირად სუსტია მომზადებით; სხვათა შორის ასეთი მოვლენის მიზეზია: პედაგოგიური ძალების ხშირად შეუფერებლობა მეორე საფეხურის სკოლისათვის, სკოლის ნივთიერი მოწყობილობის სისუსტე, კაბინეტების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების უქონლობა; სასწავლო დროის ხანგრძლივობის სიმცირე და მოსწავლეთა ზედმეტად და

ტვირთვა, აგრეთვე სკოლის სუსტი კავშირი წარმოებასთან. ამ საკითხებს უნდა მოვუაროთ. სჯობს მეორე ხაფეხურის სკოლა ცოტა გვქონდეს, მაგრამ თვისებით ძლიერი. სასწავლო წლების გადიდების საკითხი მეორე საფეხურის სკოლის შესახებაც უნდა დავაყენოთ და დაჩქარებით გადავწყვიტოთ დადებითად. ზოგადი განათლების საშუალო სკოლა ჩვენ 5-წლიანი გვაქვს, სხვა ქვეყნებში კი ასეთი მდგომარეობაა: გერმანეთში—9-წლიანია, საფრანგეთში—7 წ., იტალიაში—8 წ., ჩრდ. ამ. შ. შ.—6 წლ., ინგლისში—4 წლ., ნორვეგეთში—6 წ., შვედეთში—7 წ. ინგლისს გარდა (რომელსაც, სამაგიეროდ, პირველი საფეხურის სკოლა 9-წლიანი აქვს) ყველა სახელმწიფოს საშუალო სკოლის ხანგრძლივობა მეტი აქვს. ამავე დროს ჩვენი საშუალო სკოლა უფრო დიდი და რთული ამოცანების წინაშე დგას: მან უნდა შესძლოს ისეთი ახალგაზრდობის გამოშვება, რომელიც ძლიერი იქნება პრაქტიკულ ცხოვრებაში და ძლიერი იქნება უმაღლეს სკოლაშიც. ჩვენი საშუალო სკოლის პროგრამა უფრო რთულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოწესრიგებული მონაწილეობა ჩვენი სკოლის მუშაობის უმთავრესი მომენტია, რაც დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ სასწავლო დრო ერთი წლით უნდა გავადიდოთ და მეორე საფეხურის სკოლა 6-წლედად გავხადოთ.

თუმცა ნივთიერი თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია ეს ერთი წელი მეორე კონცენტრს დაემატოს და ეს ზომა, როგორც დროებითი, ამ სასწავლო წლიდან უკვე გატარებულიც გვაქვს (მე-9 ჯგუფის მოსწავლენი მე-10 წლით არიან დატოვებული), მაგრამ ყველა სხვა მოსაზრება იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ დრო პირველ კონცენტრში გადიდდეს და, 7-წლედის ნაცვლად, 8-წლედი გვქონდეს; ამის შედეგი იქნება: სპეციალური ტექნიკუმი 8-წლედიდან უფრო მომზადებულს ახალგაზრდობას მიიღებს და ეს უმტკივნეულოდ შეაძლებინებს ზოგადი განათლების საკითხებზე მუშაობის შემცირებას და, სამაგიეროდ, პროფესიონალური მუშაობის გაძლიერებას. საშუალო პროფესიონალური განათლების ასაკი ერთი წლით აიწევს—15 წლიდან (რაც დღეს გვაქვს) 16 წლამდე, ახალგაზრდობა პრაქტიკულს ცხოვრებაში მეტი მომზადებით გამოვა, ვიდრე დღევანდელი 7-წლედიდან; 8 წლედში მყოფი ახალგაზრდობა 12—16 წლ. ასაკში, დღევანდელთან შედარებით, ნაკლებად იქნება დატვირთული და, მაშასადამე, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის უკეთეს პირობებში იქნება ჩაყენებული (8 წლედისათვის, დაახლოებით, იმავე მოცულობის პროგრამები იქნება, რაც დღეს 7-წლედებს აქვთ). რადგან

პროფტექნიკური განათლების სკოლის ზოგი ტიპი 6-წლედზე უნდა აშენდეს, ამიტომ II საფეხურის სკოლა სამ კონცენტრად გაიყოფა, ორ-ორ წლიანი თითოეული; ექვსწლედების არსებობა დამოუკიდებლათაც შეიძლება.

ამგვარად, განათლების სისტემაში აქედანვე 10-წლიანი შრომის სკოლა უნდა გვქონდეს, ხოლო, როდესაც 4-წლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლას განვახორციელებთ და, ამის შემდეგ, პირველ საფეხურს 5-წლედად გავხდით, მაშინ კი 11-წლიანი.

გამოვსახოთ თქმული სქემით:

	დღეს გვაქვს:		უახლოეს წლებში უნდა გვქონდეს:		საყოველთაო სწავლის განხ. შემდეგ. უნდა გვქონდეს:	
I საფ. II საფეხური	II კონცენ. (9-წლ. დი)	17 წ.	III კონც. (10-წლედი)	18 წ.	III კონც. 11-წლედ.)	18 წ.
	I კონცენტრი (7-წლედი)	15 წ.	II კონც. (8-წლედი)	16 წ.	II კონც. (9-წლ:)	16 წ.
	4 წლედი	12 წ.	I კონცენტ. (6-წლედი)	14 წ.	I კონც. (7-წლედი)	14 წ.
		8 წ.	4 წლედი	12 წ.	5 წლედი	12 წ.
				8 წ.		7 წ.

4876

მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი ამჟამად რეორგანიზაციის პროცესში იმყოფება; სოფლის მეურნეობის გარემოცვაში მოქმედი შვიდწლედების გადახალისების საქმეში სწორი გეზი გვაქვს აღებული. სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც თანდათან სცვლის სოფლის შვიდწლედებს, სოფლის მეურნეობასა და საზოგადოებრივ კულტურულ მშენებლობაზე დამყარებული პოლიტექნიკური სკოლის ნორმალურ სახეს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის ახალ ტექნიკაზე გადაყვანისა და კოლექტიურ ნიადაგზე მოწყობის ამოცანების მიხედვით, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მიზანდასახულებაშიც ცვლილება უნდა იქნას შეტანილი. არა კმარა, რომ ამ სკოლებს საშუალო გლეხის ინდივიდუალური მეურნეობისაკენ ჰქონდეთ გეზი აღებული,—საჭიროა სკოლის მუშაობა და გავლენის გაძლიერება უღარიბეს და საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობაში კოლექტიური მეურნეობის იდეების გავრცელება-განალ-
დებისათვის; კოლექტიური მეურნეობის ინტერესები თუ არ იქნება
პირველს რიგში დაყენებული, მაშინ უაზროა ამ სკოლებში მოჯამა-
გირეთა და უღარიბესი გლეხური ახალგაზრდობის მიღება, რადგან
მათ ხშირად მეურნეობა სრულებით არ გააჩნიათ, რომ მის განვითა-
რებაზე იზრუნონ; სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ სოფლის ახალ-
გაზრდობის სკოლებში კურსდამთავრებული უღარიბესი ახალგაზრ-
დობა ისევ ქალაქებში მოდის სამუშაოს საძებრად ან სწავლის გასა-
გრძელებლად. სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლენი მსხვი-
ლი კოლექტიური მეურნეობისათვის მებრძოლნი უნდა იყვნენ. სოფ-
ლის ახალგაზრდობის სკოლა კოლექტიური მეურნეობის ენერგიულ
პიონერად უნდა გამოვიდეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს
ინდივიდუალური მეურნეობის გაუმჯობესება და მისი პროდუქციის
ზრდა სკოლის ყურადღების გარეშე რჩებოდეს.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა ჩვენ ერთი ტიპის გვაქვს—
ნორმალური სასკოლო ასაკის ახალგაზრდობისათვის. მაგრამ უკვე
მეურნეობაში ჩაბმული, ასაკგადასული ახალგაზრდობის რიცხვიც სა-
კმაოა ჩვენს სოფელში. ამ ახალგაზრდობისათვის უნდა მოეწყოს მე-
ორე ტიპის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები—ორწლიანი კურსით,
აქ მიიღებიან არა მარტო ის ახალგაზრდები, რომელთაც პირველი
საფეხურის სკოლა დაუსრულებიათ, არამედ ისეთებიც, ვისაც ასაკ-
გადასულთა ორწლიანი სკოლა გაუვლიათ.

უფრო რთულია საკითხი იმ შვიდწლედის (მომავალში 8-წლე-
დების) გადახალისების შესახებ,—რომლებსაც სოფლის მეურნეობის
გარემოცვაში არ უხდებათ მუშაობა. აქაც უნდა იქნას გამონახული
გზა წარმოებასთან დასაკავშირებლად. მრეწველობის გარემოცვაში
მომუშავე სკოლები საფაბრიკო-საქარხნო მეურნეობას უნდა დაუკავ-
შირდეს. ფაბრიკა-ქარხნები ჩვენში სამაზრო ქალაქებსა და სოფლებ-
შიც იკიდებს ფეხს და ეს ქმნის ადგილებზე მომუშავე სკოლებისა-
თვის წარმოებასთან დაკავშირების შესაძლებლობას (აბრეშუმის სა-
ხვევი, ჩაის, ქაღალდის, მაუდის, ავეჯეულობის ფაბრიკები, სხვადა-
სხვა ქარხნები, მსხვილი სახელოსნოები, მაგ., რკინის გზის და სხვ.).
სადაც მსხვილი მრეწველობა არ შეიძლება სკოლის მუშაობის საყრ-
დენად გახდეს, იქ სხვადასხვა სახის ხელოსნობის და შინამრეწველო-
ბის მნიშვნელოვან დარგებს უნდა დავემყაროთ. საკითხი საფაბრი-
კო-საქარხნო 7-წლედის შექმნის შესახებ დაჩქარებით და პრაქტიკუ-
ლად უნდა დავაყენოთ და დადებითად გადავწყვიტოთ.

შრომის სკოლის მე-2 საფეხურის მე-2 კონცენტრის საკითხი ჯერ კიდევ არ გვაქვს მოგვარებული. ქსელის შემოკლებით და პარალელური ჯგუფების გაუქმებით ყოველწლიურად გამოსაშვებ ახალგაზრდობის რიცხვი თითქმის სამჯერ შემცირდა, მაგრამ ყოველწლიურად 2000 - 2500 ახალგაზრდა მაინც გამოდის; ამათგან უმაღლეს სკოლაში ნახევარი თუ ეწყობა, მეორე ნახევარი ცხოვრებას უბრუნდება, უკეთ რომ ვთქვათ, უმეტესობა უმუშევრად რჩება. აქ მერყეობა არ ვარგა. ქსელი კიდეკ უნდა შემცირდეს. დასატოვებელი ქსელის საზომად უმაღლესი სკოლების ტევადობა და მშენებლობის სხვადასხვა დარგის რეალური მოთხოვნილება უნდა მივიღოთ. რამდენიც მოთხოვნილებაა, იმდენი ახალგაზრდა უნდა გამოვიდეს ზოგადი განათლების საშუალო სკოლიდან.

შრომის სკოლის უკანასკნელ კონცენტრში პროფესიონალური ელემენტები გვაქვს შეტანილი, ე. წ. განხრის სახით ზოგადი განათლების სკოლის პროფესიონალიზაცია, თუნდაც ნაწილობრივი, ნორმალურ მოვლენად არც იმთავითვე იყო მიჩნეული და არც ახლა ჩაითვლება: განხრები მძიმე მდგომარეობით იყო ნაკარნახევი, როდესაც საშუალო სკოლიდან ათასობით გამოსული ახალგაზრდობა სრულიად მოუმზადებელი იყო პრაქტიკულ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად; პროფესიონალურ განხრას სწორედ ეს ამოცანა უნდა გადაეწყვიტა: მოსწავლეთათვის ამა თუ იმ დარგის პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა ჩვევათა განსაზღვრული ჯამი მიეცა. სამი-ოთხი წლის გამოცდილება ძლიერ ცოტაა იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა გამოვიყვანოთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს განხრა; იმ მასალის მიხედვით, რაც მოგვეპოვება, შეიძლება ვთქვათ, რომ პედაგოგიური განხრა ყველაზე უფრო ნაყოფიერი გამოდგა; ისიც უნდა ვთქვათ, რომ განხრა აბრკოლებს ზოგადი განათლების ამოცანებს და თვითონაც დაბრკოლებულია. მაგრამ განხრა, როგორც დროებითი ზომა, ერთხანს კიდევ დარჩება: სხვა არა იყოს რა, პედაგოგიურმა განხრამ უახლოესი წლების განმავლობაში, როდესაც საყოველთაო სწავლების განხორციელებას შევუდგებით, დახმარება უნდა გაგვიწიოს მასწავლებელთა მომზადების საქმეში, ვინაიდან პედაგ. ტექნიკუმების ქსელს ჩვენ ისე ფართოდ ვერ გავშლით და, რომ გავშალოთ, ისე ადრე ვერ მივიღებთ მასწავლებელთა საჭირო კადრს. მასიურ პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკებიც ჯერჯერობით სათანადო განხრიანი სკოლებიდან უნდა მივიღოთ.

მაგრამ ჩვენი გეზი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ნორმალურს პირობებში სხვადასხვა სპეციალისტების მომზადება მხოლოდ სპეციალურ სასწავლებლებს დავაკისროთ და ზოგადი განათლების სკოლები სრულიად გავათავისუფლოთ მათთვის ზედმეტი და შეუფერებელი მუშაობისაგან. 10-წლედი (შემდეგ 11-წლედი) ზოგადი განათლების პოლიტექნიკურ სკოლას უნდა წარმოადგენდეს, ისეთ ნამდვილ შრომის სკოლას, რომელიც თავის მუშაობას გარემომცველ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე დაამყარებს, ადგილობრივი ცხოვრების მშენებლობის უფრო მნიშვნელოვან და გადაუდებელს ამოცანებს მიიჩნევს შესწავლის და პრაქტიკულად მოგვარების ობიექტად. ნამდვილი პოლიტექნიკური შრომის სკოლა, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, სწორად მომუშავე, ძლიერი თავის პედაგოგიური შემადგენლობით, შესძლებს ისეთი ახალგაზრდობის გამოშვებას, რომელიც უმაღლეს სკოლაშიც ნაყოფიერად იმუშავებს და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც არ იქნება უძლური: სწორად გაგებულს და სწორად განხორციელებულ პოლიტექნიზმში მოცემული იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების და წარმოების (სამეურნეო-კულტურული მშენებლობის) როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული მშენებლობის ინტერესი, ორიენტაცია და, რამოდენიმედ, უნარიც. პოლიტექნიკური მომზადების მტკიცე საფუძველზე ახალგაზრდობას გარემომცველ სოციალურ გარემოსთან და სოციალიზმის შენების ამოცანებთან აქტიური შეგუება არ გაუძნელდება.

გ. გოგუაძე.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მშენებლობის საკითხები.

განათლების სისტემის გადასინჯვის დროს უეჭველად უნდა დაისვას ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხებიც. განათლების სისტემის გადათვალიერების ამოცანას თუ შეადგენს ამ სისტემის ცალკე ელემენტებში საჭირო ცვლილებათა შეტანა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით, ეს ცვლილებები თავისთავად ეროვნულ უმცირესობათა სკოლებსაც შეეხება, ასე რომ აქ რაიმე განსაკუთრებულ ამოცანებთან არ გვექნება საქმე. მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მშენებლობას უეჭველად აქვს ზოგი განსხვავებული პრაქტიკული ამოცანა, რომელზედაც უნდა შეჩერდეს განათლების ორგანოების ყურადღება.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უმცირესობათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა თავისუფალი გზა ეროვნული კულტურის განვითარებისაკენ; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში მოსახლე ერთა კულტურულ განვითარებას, ეროვნული კულტურის ისეთი ელემენტების განვითარებას, რომლებიც საკაცობრიო ინტერნაციონალური კულტურის საფუძვლებს შეემატებიან. ეროვნულ-კულტურული განვითარების მიმართულებით უკვე თვალსაჩინო შედეგები გვაქვს; მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ისე ბევრია, რომ მიღებული შედეგები უმნიშვნელოდ გვეჩვენება.

სხვა მრავალ დაბრკოლებას გარდა, აქ მუშაობა კიდევ მით არის ძნელი, რომ კულტურული მუშაობის ტრადიცია სუსტია; ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის კულტურული დონე შადარებით ძლიერ დაბალია; თუ მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ახალი ყოფაცხოვრების დამკვიდრება კულტურული რევოლუცია და სხვა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები აყენებენ საკითხს მოსახლეობაში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერების შესახებ, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ მით უმეტეს; აქ კიდევ უფრო აჩქარებული ტემპით, მეტი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ კულტურული მუშაობა.

დავიწყოთ სკოლამდე ასაკის აღზრდიდან. აქ საერთოდ ჩვენი ბიღწევები მთელს რესპუბლიკაში მცირეა, სულ 79 საბავშო ბაღი და 9 კერა გვაქვს. აქედან ეროვნულ უმცირესობათათვის: 6 რუსული, 7 სომხური, 1 თურქული, და 3 დანარჩენ ეროვნ. უმცირესობათათვის. სკოლამდე ასაკის აღზრდის მოწესრიგების მხრივ სოფელში თითქმის არაფერია გაკეთებული. სოფლად სულ 18 საბ. ბაღი არსებობს, აქედან ეროვნული უმცირესობის 2. სოფელი კი ამ მხრივ გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს. საბჭოთა აღზრდის მიზნების მიღწევა შეუძლებელია, თუ საზოგადოებრივი აღზრდის ასპარეზი არ გავაფართოვეთ და ბავშთა მოსახლეობა მოწესრიგებული პედაგოგიური მუშაობის გავლენის ქვეშ არ დავაყენეთ. სოფელს, ღარიბთა რაიონებს, ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ამ შემთხვევაში ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებიც უნდა დაკმაყოფილდეს, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული დონე, როგორც აღვნიშნეთ, დაბალია, მით უმეტეს სოფლად. ბავშის აღზრდის წესები აქ მეტად პრიმიტიულია; ბავშთა სიკვდილიანობის პროცენტი დიდია; გარემოს დაბალი კულტურული დონე, ცხადია, ვერ ქმნის პირობებს

ახალი ადამიანის აღზრდისათვის; ამის გარდა, ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში. პირველ რიგში ეს ამოცანა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ არის დასმული; ვინაიდან ყველაზე უფრო ჩამორჩენილი აქ ვართ, მით უმეტეს თურქ მოსახლეობაში; ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალიან არის დამოკიდებული ბავშთა საზოგადოებრივი აღზრდის მოგვარებაზე. ამის გარდა, საბავშო ბაღი, კერა და მოედანი უდიდეს კულტურულ გავლენას მოახდენს მთელ მოსახლეობაზე, დასკვნა ასეთი უნდა გამოვიყვანოთ: გაძლიერებული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სკოლამდე ასაკის დაწესებულებათა გასავრცელებლად ეროვნულ უმცირესობათა უბნებში და სოფლებში. უახლოესი წლების განმავლობაში აქ თვალსაჩინო შედეგები უნდა გვქონდეს.

რაც შეეხება პირველი საფეხურის წკოლას, მისი ქსელი ჯერ კიდევ მცირეა, ასე, რომ სკოლის ასაკის ბავშთა მოსახლეობის 65-% ყოველ-წლიურად გარეთ რჩება და წერაკითხვის უცოდინართა რიგებს ავსებს. საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, საერთოდ, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, მაგრამ აქაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა მაზრებს, როგორიცაა ბორჩალო, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, სადაც სკოლების რიცხვი ძლიერ მცირეა და მოსახლეობის კულტურული დონე მეტად დაბალი.

აქვე უნდა შევეხოთ სწავლის ღროის ხანგრძლივობის საკითხს. უდავოა, რომ ჩვენს სკოლას მეტად რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი—გაცილებით უფრო რთული და ძნელი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში; ამავე დროს სასწავლო დროის სიმცირის მხრივ პირველი ადგილი ჩვენ გვიჭირავს. ამიტომ არის დასმული საკითხი პირველი საფეხურის სკოლაში სასწავლო დროის გადიდების შესახებ, რომ შესაძლებელი გახდეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღჭურვა ცოდნისა და ჩვევების ისეთი მინიმუმით, ურომლისოდ შეუძლებელია კულტურული ადამიანის აღზრდა, შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლისა და მებრძოლის მომზადება; სასურველია, რომ ოთხწლედის ნაცვლად ხუთწლედი შევქმნათ, ამის მიზანშეწონილობას არავინ არ უარყოფს, მხოლოდ ნივთიერი შესაძლებლობის თვალსაზრისით შეიძლება საკითხის დაყენება: შევსძლებთ თუ ვერა ამ ღონისძიების გატარებას, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 4-წლედების ქსელი არ გვაქვს ისეთი, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლაზე გადასვლა შევსძლოთ. მაგრამ თუ ქართული და რუსული სკოლისათვას ცოტაა ოთხი წელი (აქ მხოლოდ ორი ენა ისწავლება), მაშინ მით უფრო ცო-

ტაა ის სომხური, თურქული, ბერძნული და სხვა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის, სადაც სამი ენა ისწავლება: მშობლიური, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, და რუსული, როგორც საკავშირო. გასაგებია, რომ ოთხწლედის პროგრამებით განსაზღვრული მასალის გავლისთვის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ისეც მცირე დრო კიდევ უფრო მოკლდება. ამის გამო 4-წლედიდან გამოსული სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის მომზადების დონე ერთიდაიგივე არ არის, რაც თავს იჩენს როგორც შემდგომი საფეხურის სკოლაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაშიც.

თუ ნივთიერ საშუალებათა მოსაზრებით ჯერჯერობით არ დაისმება საკითხი ოთხწლედის ნაცვლად ხუთწლედის შემოღების შესახებ, ეროვნულ უმცირესობათათვის აქაც უეჭველად გამონაკლისი უნდა იქნეს დაშვებული: ეროვნულ უმცირესობათა ყველა სკოლა, სადაც სამი ენა ისწავლება, პირველს რიგში და აქედანვე უნდა 5-წლედად უნდა იქცეს. ეს აუცილებელია ამ სკოლების მუშაობის ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესებისათვის.

მწვავედ დგას საკითხი მასწავლებელთა კადრის შესახებ. ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მდგომარეობა ამ მხრივ მეტად მძიმეა, მეტადრე თურქული სკოლების: მასწავლებელთა მომზადების დონე აქ ძლიერ დაბალია, ასე რომ ეს კადრი თუ არ გადახალისდა და არ შეიცვალა, პედაგოგიური მუშაობის რაციონალიზაციაზე და კულტურულ რევოლუციაზე ლაპარაკი ზედმეტია. სომხური სკოლების მდგომარეობა შედარებით უკეთესია: გვაქვს სომხური პედაგოგიური ტექნიკუმი, რამდენიმე ათწლედი პედაგოგიური განხრით; ეს სასწავლებლები ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. მართალია, თურქული ტექნიკუმიც გვაქვს, რომელიც ახალი პედაგოგების პირველს წყებას ამ წელს გამოუშვებს, მაგრამ, მოთხოვნილებასთან შედარებით, ეს სრულიად უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს; ტფილისში ახლად გახსნილ თურქულ ათწლედს პედაგოგიური განხრა მიეცა — ეს ცოტა რასმეს მისცემს სკოლას; საჭიროა, გასული წლის მაგალითისამებრ, თურქულ ტექნიკუმთან რამდენიმე წლით ერთწლიანი პედაგოგიური კურსების მოწყობა სუსტად მომზადებული მასწავლებლობისა და იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურულ ფრონტზე.

როგორც სხვაგან, ისე ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში, საგრძნობია სხვადასხვა ხელოსნებისა და მცოდნე შინამრეწველთა ნაკლებობა; ეს ძალა ამჟამად თითქმის არსად არ მზადდება. ამავე დროს სხვადასხვა სახის ხელოსნობას და შინამრეწველობას საკმაოდ

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ეს გარემოება ყურადღების გაძლიერებას მოითხოვს. საჭიროა დაბალი ტიპის პროფსკოლების გახსნა; სხვათა შორის, უნდა გაიხსნას, უფრო მეტად თურქული მოსახლეობისათვის, მეოჯახეობის პროფსკოლები ქალთათვის, სადაც, ზოგადი ცოდნის ელემენტებთან ერთად, ქალთა ახალგაზრდობა შეისწავლის ჭრა-კერვას, ქსოვას, კულტურულ მეოჯახეობას და მეურნეობას. ამავე სკოლებში ადგილი უნდა დაეთმოს ბავშის მოვლისა და აღზრდის წესების სწავლებას.

შემჩნეულია, რომ მეორე საფეხურის სკოლები (10-წლედი, 7-წლედი, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და სხვა), რომლებიც, ეროვნულ უმცირესობათა შედარებით მოზრდილ ტერიტორიას ემსახურებიან, მცირერიცხვოვანია: მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი ვერ ახერხებს ოჯახის გარეთ ბავშების შენახვას. ამიტომ უღარიბესი ნაწილი თითქმის ვერ სარგებლობს სკოლით. ეს უდიდესი ნაკლია, რომლის გამოსწორებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც ღარიბთათვის ნივთიერ საფუძველს გავამაგრებთ სტიპენდიების დანიშვნით, თუ საერთო საცხოვრებლების მოწყობით. უამისოდ ვერ გავზრდით ღარიბთა რიცხვს მეორე საფეხურის სკოლაში. ეროვნულ უმცირესობათა მე-II საფეხურის სკოლები ცოტა გვაქვს მაზრებში, მეტადრე თურქული. მაგალითად, ახალციხის მაზრაში არც ერთი თურქული 7-წლედი არ არსებობს. ეს საკითხი უნდა მოვაგვაროთ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მასების მონაწილეობა სასკოლო მშენებლობაში საგრძნობლად გაიზარდა. გამოცოცხლება ეროვნულ უმცირესობათა მაზრებსაც დაეტყო: თუ რამდენიმე წლის წინად სკოლას უარყოფდენ, დღეს უკვე მოითხოვენ და ხარჯებსაც არ ზოგავენ მის მოსაწყობად.

ეს გარემოება უნდა გამოვიყენოთ.

ნ. მახარაძე.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები საქართველოში

დღეს უკვე შესაძლებელია ითქვას, რომ სოფ. ახ. სკოლებმა საქართველოში თავისი პრაქტიკული მუშაობით სათანადო ავტორიტეტი მოიპოვა.

ძველი სოფლის ეკონომიკის გარდაქმნა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი სოფლის ახალ ყოფაცხოვრებას, სოფ. ახალგაზრდობის სკოლების შემწეობით პრაქტიკულად ხორციელდება.

სკოლის ძირითადი ამოცანა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დარგში აგრონომიული უცოდინარეობის ლიკვიდაციასთან ერთად მოსახლეობაში კოლექტიური მეურნეობის საფუძვლების მომზადებას გულისხმობს, არსებითად დაკავშირებულია ჩვენი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გადახალისების საკითხთან; რამდენადაც წინ მიდის და იზრდება მთლიანად სახალხო მეურნეობა, ხოლო ,ერძოდ კი სასოფლო მეურნეობა, იმდენად ახალი სოფლისათვის საჭირო ინტელიგენტური ძალების მომზადების საკითხი ჩვენს წინაშე უფრო ფართოდ ისმება.

სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქციასთან ერთად, რაც საწარმოო ძალთა განვითარებას გულისხმობს, აუცილებელია სოფლად ისეთი კულტურული ძალების ყოლა, რომლებსაც შეეძლება ამ იარაღების გამოყენება წარმოებითი მუშაობის პროცესში. სოფ. ახალგაზრდობის სკოლების შემწეობით შესაძლებელი გახდა ჩვენს სინამდვილეში ჭეშმარიტი პოლიტექნიკური სკოლის შექმნა, სადაც წარმოებითს შრომას და საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობას მტკიცე კონტაქტი აქვს.

სოფლად სოციალური ჯგუფების ზრდასთან ერთად იზრდება უმუშევრობა, ადგილი აქვს მოსახლეობის „აგრარულ სიჭარბეს", რომელიც ყველაზე უფრო მოჯამაგირე და უღარიბეს გლეხურ ახალგაზრდობას ემუქრება. მრეწველობას, მიუხედავად მისი სწრაფი ზრდისა, არ შეუძლია დაიტიოს მთლიანად უმუშევართა ეს კადრი, ამიტომ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ ამ ახალგაზრდობას თავისი მეურნეობის გაუმჯობესებისა და კოოპერატიულად გაერთიანების საქმეში.

შემჩნეულია გლეხური მოსახლეობის ცალკე სოციალური ჯგუფების პოლიტიკური აქტივობის ზრდა, რაც იწვევს კულტურულ მოთხოვნილებათა გაფართოებას. გლეხობა მოითხოვს სკოლების კარგად მოწყობას, იზრდება ვაზეთის ტირაჟი, ფართოვდება გლეხობის საერთო კულტურული დონე და ამდენადვე პარტიისა და ხელისუფლების წინაშე პრაქტიკულად ისმება სასოფლო-მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერების საკითხი.

ყველა ამ ამოცანასთან დაკავშირებით წარმოიშვა სოფ. ახალგაზრდობის სკოლების იდეა ჩვენს სინამდვილეში. მას თავისი მუშაობით უშუალო კავშირი აქვს სოფლად პარტიის პოლიტიკასთან და მის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს.

ს. ა. სკოლა სოციალური აღზრდის სისტემაშია, ჭეშმარიტი პოლიტექნიკური განათლების ცხოვრებაში გატარების გზით ამზა-

დებს ის კულტურულ გლეხკაცობას, ზოგადად სწავლობს სასოფლო-მეურნეობის ყველა მხარეს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ დარგს მეურნეობისას, რომელიც ადგილობრივად მისაღებ სამეურნეო დარგად ითვლება და პერსპექტივებიც გააჩნია.

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლა თავისი წარმოებითი მუშაობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო და სასკოლო მეურნეობაში გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეტანისა და გამოყენების საქმეს. ამ მიზნით ის შედის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემძენ ამხანაგობაში წევრად, ხშირად გამოდის ამ საქმის დამწყებად და ორგანიზატორადაც. არსებული პირობებიდან გამომდინარე სკოლა ანგარიშს უწევს იმ იარაღების რაციონალურად გამოყენების საქმეს, რომელიც საშუალო გლეხკაცს გააჩნია, რომ უღარიბესი და საშუალო გლეხობისათვის მისაწვდომ ღონისძიებათა რაციონალურად გამოყენებით სკოლამ დაუმტკიცოს გლეხობას შრომის ნაყოფიერების ზრდის (იმ პირობებში, რომელშიაც მათ მუშაობა უხდებათ) შესაძლებლობა.

ზემოდასახელებული ძირითადი ამოცანის განხორციელებისათვის სკოლა მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევს:

ა) **ზოგად პოლიტექნიკურ განათლებას**, რითაც კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად გაერკვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ახალი სოფლის მშენებლობის აქტიური მონაწილე გახდეს.

ბ) **სასოფლო-სამეურნეო ცოდნას** (საწარმოო პრაქტიკასთან მტკიცე კავშირის დამყარებით), რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად საფუძვლად დაედება გლეხური მეურნეობის საფუძვლიან გადახალისებას.

გ) **პოლიტიკურ განათლებას**, რომელიც მიმართულია სათანადო კოოპერატიულ და კულტურულ-ორგანიზაციულ ჩვევათა განმტკიცების შემწეობით კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისაკენ.

სკოლების გახსნის დროს მთავარი ყურადღება შემდეგ გარემოებას ექცეოდა: ადგილობრივი რაიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, მის კულტურულ დონეს და სკოლის რადიუსს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სკოლას მაშინ შეეძლო თავისი მუშაობის სასურველ დონეზე დაყენება, როდესაც მოწაფეობის დიდი უმრავლესობა მახლობელი სკოლებიდან იყო. საწინააღმდეგო მოვლენა დიდად უშლიდა ხელს მოწაფეთა ნაკვეთებზე მუშაობას, რაც სკოლის წარმოებითი მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ზოგიერთი გამო-

ნაკლისის დროს, როდესაც სხვა გამოსავალი არ იყო, სკოლებთან მოეწყო საერთო საცხოვრებელი. ამჟამად რესპუბლიკის მასშტაბით მოჯამაგირე და ულარიბესი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის 10 საერთო საცხოვრებელი გვაქვს. უნდა ითქვას, რომ საერთო საცხოვრებლის მოწყობილობა, მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფის გამო, დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ ცდა მისი გაუმჯობესებისა არსებობს. საინტერესოა, თუ როგორ ეპყრობოდა ამ ტიპის სკოლებს სოფლის გლეხკაცობა. პირველ ხანებში, რამდენადაც ამ სკოლის საერთო ამოცანებს ვერ იცნობდა, გლეხკაცობა ასე მსჯელობდა: „ბოსტნისა და ყანის თორნა მეც კარგად ვიცი. შენ ის მითხარი, თუ ამ მდგომარეობიდან როგორ გამოვიდე“. საერთოდ საქართველოში, იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ანვითარებდა, დიდად აქვს ფეხი გადგმული ჰუმანიტარული ცოდნისაკენ ლტოლვას. ამას ემატება მიწის სივიწროვე, რომელიც გლეხის წინაშე სვამს საკითხს — თავი გაანებოს სასოფლო-მეურნეობას და სხვა რამ სამუშაო ეძებოს. ამჟამად კი ამ სკოლებისადმი დამოკიდებულების მხრივ დიდ გარდატეხას აქვს ადგილი სოფლად. გლეხობა ამ სკოლებს დღეს სთვლის ისეთ სკოლებად, რომლებისაგან ის დიდ პრაქტიკულ დახმარებას მოელის.

განსაკუთრებით ულარიბესი და საშუალო გლეხკაცობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით უწევს დახმარებას ამ სკოლებს, მზად არის სკოლის საერთო მოწყობისათვის საჭირო თანხაც გაიღოს. მაგალითად, დღეს თითქმის ყველა მაზრაში წარმოებს ამ სკოლებისათვის საჭირო სასკოლო შენობის შეკეთება, ზოგან კი ახალ შენობასაც აგებენ.

ამ საქმეში დიდ ინიციატივას იჩენენ პარტიისა და განსაკუთრებით კომკავშირის ორგანიზაციები.

სკოლების ქსელი გეგმიანად ფართოვდებოდა. განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანებში ს. ა. სკოლების გახსნა უმთავრესად 7-წლედების რეორგანიზაციის გზით მიმდინარეობდა. სკოლების ქსელის ზრდის დინამიკა ასეთია:

მ ა ზ რ ე ბ ი	26/27 წელს იყო	27/28 წელს მიემატა	სულ არის
1. ტფილისის	9	5	14
2. ოზურგეთის	6	6	12
3. სენაკის	3	3	6
4. ზუგდიდის	4	2	6
5. შორაპნის	4	2	6
6. ქუთაისის	5	3	8
7. რაჭის	5	1	6
8. ახალციხე	3	—	3
9. ახალქალაქი	3	—	3
10. სიღნაღის	3	3	6
11. თელავის	3	3	6
12. დუშეთის	3	1	4
13. გორის	4	2	6
14. ბორჩალოს	1	—	1
15. ლეჩხუმის	3	1	4
16. სვანეთი	1	1	2
სულ	62	31	93

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სკოლების რიცხვი დასავლეთ საქართველოში მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ეს მდგომარეობა ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენს წინაშე ყველაზე უფრო საჭირბოროტოდ იდგა დასავლეთ საქართველოში არსებული 7-წლედების რეორგანიზაციის საკითხი; ამიტომ კომისარიატისა და პარტიის მიერ ახალი სკოლების გახსნის დროს ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებთან ერთად მაზრაში არსებული უმუშევრობისა და მიწის სიმცირის მომენტი იყო მხედველობაში მიღებული. თუ რამდენად მივაღწიეთ ამ მხრივ სასურველ შედეგებს, გვაჩვენებს ის ციფრები, რომელიც კურსდამთავრებულების სოფელში დარჩენის შესახებ არის ქვემოთ მოყვანილი.

ნაციონალური უმცირესობისათვის ამჟამად მუშაობს რუსულ ენაზე 4, თურქულ ენაზე 2 და სომხურ ენაზე კი 4 სკოლა.

რაც შეეხება სკოლების მატერიალურ მდგომარეობას, ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. სკოლების სამეურნეო ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება, რომლის საშუალო რაოდენობა მთელი სკოლებისათვის 500 მანეთს არ აღემატება წლიურად.

ეს თანხა, რასაკვირველია, უმნიშვნელოა. ძველმა სკოლებმა, რომელთაც 3 წლის პრაქტიკა აქვთ, შესძლეს თავისი მეურნეობიდან მიეღოთ სათანადო შემოსავალი, საშუალოდ თითო სკოლამ 1000 მანეთი, რაც სკოლის კეთილმოწყობის და ღარიბ მოწაფეთა დახმარების საქმეს ხმარდება. გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით სკოლების უზრუნველყოფა დამაკმაყოფილებელი არ არის. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სკოლებმა ადგილებზე შესძლეს კავშირი დაეჭირათ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებთან და მათგან მიეღოთ საჭირო იარაღები, მაგრამ ეს ვერ ასწორებს მდგომარეობას.

მომავალში ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ადგილობრივმა კოოპერატიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მეტი მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს.

რაც შეეხება სკოლების უზრუნველყოფას საჭირო სასწავლო ხელსაწყოებით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევა გვაქვს. თითოეულ სკოლას მიეცა ფიზიკური კაბინეტი და ბიბლიოთეკა, როგორც მოწაფეების, ისე მასწავლებელთათვის.

დიდი ყურადღება ექცეოდა ამ სკოლებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საქმეს, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს.

ვის ემსახურება გლეხური ახალგაზრდობის სკოლები?

შემჩნეულია, რომ ულარიბესი და საშუალო გლეხკაცობის შვილები სტოვებენ სკოლას იმ მიზეზის გამო, რომ მათ სკოლის დამთავრების საშუალება არა აქვთ; ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ხშირად პირველი საფეხურის სკოლაში მოწაფეთა ის კადრი, რომელიც სწავლობს 1-ლ ჯგუფში, შემდეგ ჯგუფებში მცირდება.

ამიტომ გლეხური ახალგაზრდობის სკოლების წინაშე დაისვა გადაუდებელი პოლიტიკური ამოცანა, რომ ის ულარიბესი და საშუალო გლეხობის სკოლად გამხდარიყო. ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორია მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა.

	მოწაფეთა სოციალური მდგომარეობა			
	1926/27 წ.		1927/28 წ.	
	აბსოლუტურ რიცხვებში	% %	აბსოლუტური რიცხვი	% %
ღარიბი	1230	55,2	2091	62,51
საშუალო	921	41,3	1200	35,87
შეძლებული	79	3,5	54	1,62
სულ	2230	100	3345	100

როგორც ვხედავთ, ღარიბთა პროცენტი შედარებით იზრდება უმთავრესად შეძლებული გლეხკაცობის ხარჯზე. ამრიგად სკოლა ულარიბეს და საშუალო გლეხკაცობას ემსახურება. 26/27 სასწავლო წელს სკოლაში მიღებაზე უარი ეთქვა მსურველების 30%-ს. 27/28 წლისათვის კი 28,5%. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობა უნუგეშოა. ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად თვით სკოლების მიერ მიღებულია ისეთი ღონისძიება, როგორიცაა, მაგალითად, სკოლის მეურნეობის შემოსავლიდან მოწაფეთათვის სტიპენდიების დანიშვნა. ამჟამად სკოლების შემოსავლიდან სტიპენდია დანიშნული აქვს რესპუბლიკის მასშტაბით 20-მდე მოწაფეს, რაც დიდ მიხწევად უნდა ჩაითვალოს. ამ საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული სოფლად არსებული კოოპერატიული ორგანიზაციები.

საერთო განათლების მხრივ სკოლაში მიღებულ მოწაფეთა დიდი უმრავლესობა ოთხწლედდამთავრებულია. ხშირად იძულებული ვხდებით, რადგანაც საქმე ულარიბესი გლეხკაცობის შვილების მიღებასთან გვაქვს, ეს მოთხოვნა შევამციროთ და სკოლაში მივიღოთ ისეთებიც, რომლებსაც ოთხწლედი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ ცოდნა ოთხწლედის ფარგლებში მოეპოებათ. სკოლაში შესვლის მსურველად გვევლინება უმთავრესად ორი ასაკის ახალგაზრდობა: 14—18 წლამდე და 12—14 წლამდე.

პირველ კატეგორიას ეკუთვნის ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც კარგი ხანია, რაც ოთხწლედი დაუმთავრებია და მისი სამეურ-

ნეო-პოლიტიკური აქტიობაც დიდია, ხოლო მეორე კატეგორიას ეკუთვნის ოთხწლედში ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდობა. ამ ორი ასაკის ახალგაზრდობასთან ერთად მუშაობა, როგორც სამეურნეო, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით, ყოვლად შეუძლებელია. ეს გარემოება აყენებდა ჩვენს წინაშე საკითხს მოზრდილი ახალგაზრდობისათვის ნორმალურ სკოლებთან პარალელური ჯგუფების შექმნის შესახებ, მაგრამ დღემდე ეს ამოცანა არ შეგვისრულებია, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

უნდა ითქვას, რომ ასაკის მიხედვით ჩვენი სკოლები უმთავრესად ემსახურება ახალგაზრდობას 12—16 წლამდე. ამის მაჩვენებელია ქვემოთმოყვანილი ცხრილი:

	მოწაფეთა დაჯგუფება ასაკის მიხედვით							
	12 წ.	14 წ.	15 წ.	16 წ.	17 წ.	18 წ.	19 წ. და მეტ.	სულ
აბსოლ. რიცხვ. .	1005	1504	508	200	50	40	38	3345
პროცენტ. . . .	30,04	44,5	15,19	6	5	1,2	—	100

როგორც ვხედავთ, მოზრდილი ახალგაზრდობის პროცენტი სკოლებში მცირეა, იმ მიზეზის გამო, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ეს შემცირება პერიოდულ ხასიათს იღებს გასულ წლებთან შედარებით.

მოწაფეთა ნაციონალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა:

	მოწაფეთა ნაციონალური შემადგენლობა	
	აბსოლუტურ რიცხვებში	% %
ქართველი	2845	85,05
რუსი	152	4,54
სომეხი	253	7,56
თურქები . . .	25	0,74
სულ . .	3275	100

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: პირველ ხანებში ახალგაზრდა ქალები სკოლის მუშაობით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული. მაგრამ ეს მდგომარეობაც სასურველად შეიცვალა. 1924/25 წლისათვის ქალთა რიცხვი სკოლაში 14—16% აღწევდა, ამჟამად კი 21—23%-მდე ავიდა, ასეთი ლტოლვა აიხსნება ზოგიერთ სკოლებთან ახალგაზრდა ქალებისათვის ჭრა-კერვის სახელოსნოების მოწყობით, დაინტერესებული არიან არა მარტო სკოლის მოწაფე ქალები, არამედ სკოლის გარეშე მყოფნიც, მაგრამ მათთვის რეალური დახმარების გაწევა ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოგვიხერხებია. შინამრეწველობისა და ხელოსნობის საკითხებს სკოლები ამ უკანასკნელ ხანებში დიდის ყურადღებით ეპყრობიან. სკოლებთან მოეწყო სხვადასხვა ტიპის სახელოსნოები, რომელთა მოწყობილობა ჯერჯერობით ღარიბია, მაგრამ ცდა ამ დარგში მაინც მოგვეპოება. ასეთი სახელოსნოები მოწყობილია 20 სკოლასთან. სახელოსნოებისათვის სკოლებში არიან ინსტრუქტორები, რომელთა ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მათ უმთავრესად აკლიათ პედაგოგიური მიდგომა და თავის პრაქტიკულ ჩვევათა დასასაბუთებლად სათანადო თეორიული წინნამძღვრები, მაგალითად, ხის და ლითონის ტექნოლოგიის ცოდნა. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს ამა თუ იმ დარგში სათანადო ტექნიკურ ჩვევათა გამომუშავებას იმ დროის განმავლობაში, რომელიც არის ამ საქმისათვის გადადებული.

სკოლების წინაშე დასმული იყო ერთი უდიდესი პრაქტიკული ამოცანა — კურსდამთავრებულების სოფელში დარჩენა. საინტერესოა, თუ როგორი მიღწევები გვაქვს ამ დარგში: 27/28 სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა 160 მოწაფემ. ამ რიცხვიდან სოფელში დარჩა თავისი მეურნეობის გაჯანსაღების მიზნით 80 მოწაფე, რომელნიც არ სწყვეტენ მტკიცე კავშირს სკოლასთან და სკოლის აგრონომთან. ჩვენის აზრით, ეს დიდ მიხწევად უნდა ჩაითვალოს. დანარჩენებმა კი განაგრძეს სწავლა და აქედან 90% შევიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლობა

იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც დასმულია სკოლის წინაშე, მასწავლებლობა დიდ როლს თამაშობს. ამხ. ლენინი მასწავლებლობაზე კულტურული რევოლუციის დარგში დიდ იმედებს ამყარებდა. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა იმ კადრის დამოკიდებულება ახალი სკოლის მშენებლობის საქმისადმი, რომელიც ამჟამად სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მუშაობს, საგრძნობლად

გაუმჯობესდა. თითქმის ყველა სკოლაში მოგვეპოვება ერთი მასწავლებელი კომუნისტი, პარტიის ან კომკავშირის წევრი, რომელიც სკოლის მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებს. მასწავლებელთა 80% უმაღლესი განათლებით არის; მათ აკლია პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ სულ ახლო მომავალში ეს ნაკლიც გამოსწორდება. პარტიულობის მიხედვით: კომკავშირელები—21%, პარტიის წევრები და კანდიდატები—12%, უპარტიონი—67%. სოციალური მხრივ: გლეხი—75%, დანარჩენი—მოსამსახურე ინტელიგენციის შვილები.

სოფლის საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში მასწავლებლობა აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამ მხრივ უკვე ადგილი არა აქვს მასწავლებლობის ისეთ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, როგორსაც ჰქონდა ადგილი 21 წელს. ყველაზე უფრო დიდ მუშაობას აწარმოებს სკოლის აგრონომი და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელი. მათი აქტიური მუშაობა ყველგან თვალსაჩინოა, როგორც აგრო-კულტურული, ისე პოლიტგანმანათლებელი მუშაობის დარგში. პირველ ხანებში შემჩნეული იყო ის გარემოება, რომ უნივერსიტეტდამთავრებულ მასწავლებელთ არ სურდათ სოფელში წასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ეს გარემოებაც სასურველად შეიცვალა.

სკოლების მიღწევები საწარმოო და საგანმანათლებლო მუშაობის დარგში

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენად შესძლო სკოლამ თავისი წარმოებითი მუშაობის ისე დაყენება, რომ მართლაც საცდელ-საჩვენებელი გამხდარიყო ადგილობრივი გლეხკაცობისათვის.

„გლეხთა შორის პროპაგანდა არ უნდა იყოს მოწყვეტილი მიწათმოქმედი გლეხის სასიცოცხლო ამოცანებისაგან, მაგრამ მჭიდრო კავშირი უნდა ექნეს აგრონომიული ეკონომიკის საკითხებთან“,—სწერდა ამხ. ლენინი. ამ ორი ძირითადი ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა დაისვა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების წინაშე.

სკოლები დღემდე მიზნად არ ისახავს—ფართო სამრეწველო მეურნეობის ორგანიზაციას, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სკოლა ნაკლებ ყურადღებას აქცევს საბჭოთა „აგრონომიული ეკონომიკის საკითხებს“, რომელიც სასოფლო მეურნეობაში ინტენსიფიკაციის მიზნით გაუმჯობესებული იარაღების შეტანას გულისხმობს: ამ საკითხის გარშემო უკრაინის განათლების კომისარიატთან გამართულ კამათში საქართველოს განათ. სახ. კომისარიატი პარტიის საკავ-

შირო ცეკას ხაზს იჭერდა და საქართველოს პირობებმა 3 წლის პრაქ-ტიკით სავსებით გაამართლა ეს ხაზი. სკოლის წარმოებითი მუშაობის საბოლოო მიზანი სწორედ ამას გულისხმობს, რადგან ინდივიდუალურ მეურნეობათა კოოპერატიული გაერთიანება აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად განვითარებისათვის.

სწორედ ამ მიზნით, ჩვენი ქვეყნის პირობებთან შეფარდებით, იმ მაზრებში, სადაც მიწის სიმკირეს ადგილი არა აქვს, სკოლებმა წარმოებითი მიზნით აიღო მიწის შედარებით უფრო ფართო ნაკვეთი და ამ ნაკვეთებზე კურსდამთავრებულ მოწაფეთათვის მოაწყო პატარა ნადები, რასაც მომავალში საჭირო კოლექტიური გაერთიანებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება. ამ ნადების მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი და დამაკმაყოფილებელი არ არის. მათ მუშაობას ხელს უშლის საჭირო თანხის უქონლობა და ადგილობრივ კოოპერატიულ და საკრედიტო დაწესებულებათა სუსტი ხელმძღვანელობა.

სკოლას თავისი წარმოებითი მუშაობის დროს მხოლოდ მაშინ შეეძლება რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევები ექნეს, როდესაც ის შეუდგება სასკოლო და სასოფლო მეურნეობაში სათანადო ტექნიკურ ცვლილებათა შეტანას, რადგანაც მხოლოდ საწარმოო საშუალებათა განვითარების გზით შეიძლება ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ხასიათის შეცვლა. ამ მხრივ ძალიან ცოტა არის გაკეთებული, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლებს არ მოეპოება (და თუ მოეპოება, ისიც ცოტა რაოდენობით) გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ჩვენ ვიცით, რომ საშუალო და უღარიბესი გლეხობის შვილებს კერძო საკუთრების ინსტინქტი ამოძრავებს და სწორედ ამ კერძო საკუთრების ინსტინქტის საფუძვლებზე აღმოცენებულ შეგნებასთან გვაქვს საქმე. სკოლა თავისი წარმოებითი მუშაობის პროცესში უნდა ეცადოს ებრძოლოს ამ შეგნებას და გამოიმუშაოს მათში კოლექტიური ჩვევანი და კოლექტიური ფსიქოლოგიაც. **ამისათვის კი საჭიროა არა მარტო მშრალი პროპაგანდა, არამედ ახალი სამეურნეო ურთიერთობა, ახალ საწარმოო ურთიერთობაზე აღმოცენებული:** ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ უღარიბეს და საშუალო გლეხკაცობას, რომ ძირითად საწარმოო ძალთა ცვლილებების გამოყენებას ღარიბი და საშუალო გლეხი დამოუკიდებლად ვერ შესძლებს, რომ ამისათვის საჭიროა კოოპერატიული გაერთიანება, რომ ეკონომიური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და თესლების კოოპერატიულად შესყიდვა. მაშასა-

დამე, წარმოებითი მუშაობის საფუძველზე უნდა მივიდენ ისინი იმ დასკვნამდე, რომ კოოპერატიული მეურნეობა უფრო სარგებლიანია (ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით), ვიდრე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გააკეთა სკოლებმა ამ მიმართულებით. ამჟამად თითოეულ სკოლას აქვს თავისი საკუთარი მეურნეობა, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: საცდელი და საჩვენებელი. საცდელ მინდორს უმთავრესად სასწავლო ხასიათი აქვს, სადაც სკოლა აყენებს ბიოლოგიურ და საბუნებისმეტყველო ცდებს; საჩვენებელი მინდორი მიზნად ისახავს უჩვენოს ადგილობრივ გლეხკაცობას, ესა თუ ის კულტურა რამდენად შეეფერება ადგილობრივ ვეოგრაფიულ პირობებს ჰავისა და ნიადაგის მიხედვით. ამ საკითხის შემოწმება წინასწარ ხდება საცდელ მინდორზე. საჩვენებელ მინდორზე დაყენებული კულტურის დასათვალიერებლად მიდის გლეხკაცობა და ხშირად ისეთი შემთხვევებია, როდესაც მას გადააქვს ესა თუ ის გამოცდილება საკუთარ მეურნეობაში. საქმის სისწორით დაყენებისათვის გლეხს ეხმარებიან უფროსი ჯგუფის მოწაფეები და ზოგიერთ შემთხვევაში კი, უმთავრესად, სკოლის აგრონომი. სკოლა აწვდის გლეხკაცობას სანერგეებს, ზოგიერთ შემთხვევაში ამოწმებს იმ ნიადაგს, რომელზეც ესა თუ ის კულტურა უნდა მოშენდენ და სხვა. აგრო-დახმარებასა და აგრო-პროპაგანდას ს. ა. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სკოლების ინიციატივით 26/27 სასწავლო წელს მოეწყო 47-მდე სასოფლო-სამეურნეო წრე, სადაც სწავლობს დაახლოვებით 545 გლეხი, მათივე უშუალო მონაწილეობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მოწამლულ იქნა 5.000 ფუთამდე პურის თესლი, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სკოლის წარმოებითი აგრო-კულტურული მუშაობის დარგში. აღსანიშნავია აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: მოწაფეთა დიდი უმრავლესობა, როგორც ეს სკოლების დათვალიერების დროსაც შემჩნეულ იქნა, თავის ცოდნა გამოცდილებას ავრცელებს ფართო მოსახლეობაში და არ ხდის მას მარტოოდენ თავისი საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესების საშუალებად. ისეთი პრაქტიკული და ამასთანავე მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თესლის გადარჩევა, პლანტაჟი, სხვადასხვა სამეურნეო იარაღის ხმარება და სხვა, მოწაფეებმა მისაწვდომი გახადეს არა მარტო თავისი მშობლებისათვის, არამედ ფართო მოსახლეობისათვისაც.

საზოგადოებრიობას წარმოებითს მუშაობაში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ის ამავე დროს დიდი პოლიტიკური

მუშაობაც არის. წინააღმდეგ ამერიკის სასოფლო-სამეურნეო კლუბების მიზანდასახულებისა, სადაც ადგილი აქვს შემდეგი ხასიათის კონკურსებს: ვინ უკეთ მოიყვანს, მაგალითად, კართოფილს, ხორბალს, ვინ უფრო კარგი ჯიშის ღორს მოაშენებს და სხვა, ჩვენ სკოლებში ადგილი აქვს შემდეგი ხასიათის შეჯიბრებას: ვინ უფრო მეტად და უკეთ დაეხმარება მოჯამაგირეებს, ვინ შესძლებს, რომ თავისი გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო დარგში მისაწვდომი გახადოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის, ვინ ეცდება ხელი შეუწყოს კოოპერატიულ გაერთიანებას და სხვა. მთელ რიგ მაზრებში ზოგიერთმა სკოლამ შესძლო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა დაარსება, მაგრამ ეს მუშაობა თავისი შინაარსით და მოცულობით ჯერჯერობით საკმარისი არ არის.

რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დარგში მუშაობას, უნდა ითქვას, რომ აქაც საკმაო მიღწევებს აქვს ადგილი. სკოლები — სექციური მუშაობის გზით აწარმოებს უშუალო მუშაობას აღმასკომში, კოოპერატივში, გლეხკომში, ქოხ-სამკითხველოებში და სხვა ორგანიზაციებში. მაგრამ ამ დარგში მუშაობა სათანადო დონეზე არ არის დაყენებული, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ სკოლის აგრო-კულტურული მუშაობა ჩრდილავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მომავალში აუცილებელი იქნება ყველა ზემოთნაჩვენები ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ამ ნაკლსაც სათანადო ყურადღება მიექცეს.

მორიგი ამოცანები ს. ა. ს. მშენებლობის დარგში

იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებული ახალგაზრდობა თავისი ასაკით შესაფერისი იყოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და ამასთანავე დაძლეულ იქნას პროგრამული მასალა აუცილებელია სასწავლო კურსს მიემატოს ერთი წელი. იმ მაზრებში, სადაც ეს შესაძლებელია, სკოლამ კოლექტიური მეურნეობის განმტკიცების მიზნით უნდა აიღოს ზედმეტი მიწის ნაკვეთი და უნდა მოაწყოს სხვადასხვა სახის ნადი.

მნიშვნელოვან ამოცანად უნდა გახდეს არსებული სკოლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც საჭირო იქნება შემდეგი ხასიათის ღონისძიებათა გატარება: ა) სამაზრო ადგილობრივ ბიუჯეტში მტკიცედ განსაზღვროს სკოლის სამნეო ხარჯები, ბ) უნდა ვეცადოთ გავადიდოთ ის თანხა, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებენ მოწაფეთათვის საჭირო სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების სკოლებისათვის მისაწოდებლად,

გ) უზრუნველვყოთ სკოლებისა სოფლო-სამეურნეო იარაღებით, დ) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათაგან სკოლების მიერ მოკლევადიანი სესხის აღება, ე) განსაზღვრულ იქნას მომუშავეთა მტკიცე შტატი და ვიზრუნოთ მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომ მით შესაძლებელი გავხადოთ ს. ა. ს. საუკეთესო პედაგოგიური ძალების შერჩევა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჯერჯერობით მოწაფეთა შემადგენლობაში ღარიბ-ღატაკთა რიცხვი მნიშვნელოვანი არ არის. ამისათვის საჭირო იქნება: ა) სკოლასთან საერთო საცხოვრებლის მოწყობა, ბ) უღარიბეს მოწაფეთათვის ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან სტიპენდიების გამონახვა და გ) გაძლიერებულ იქნას მუშაობა, რათა სოფლად არსებულმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა გლეხკომი, კოოპერაცია და სხვა, აღმოუჩინონ სკოლას სათანადო მატერიალური დახმარება.

ადგილობრივ მოსახლეობაში ფართო აგრო-კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროა:

ა) დამყარდეს მტკიცე კავშირი მიწათმოქმედების ორგანოებთან, რომ ამ უკანასკნელებმა ხელი შეუწყონ ს. ა. სკოლებს თესლეულობის, ინვენტარის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების უფასოდ ან დაკლებულ ფასებში მიწოდებით. გაძლიერდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა სექციური მუშაობის გამოცოცხლების გზით.

ბ) საგრძნობად გაძლიერებულ იქნას ორგანიზაციულ-კოოპერატიული მუშაობა. ამ მიზნით საჭიროა სკოლები შეუდგენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა დაარსებას ადგილობრივი ფართო მოსახლეობის დაინტერესების გზით, რისთვისაც თვით სკოლის სასწავლო პროგრამებში, მიმდინარე წლის კურსებზე გადათვალიერების დროს, შედარებით მეტი ადგილი უნდა დაეთმოს მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციის საკითხებს.

გ) მიღებულ იქნას ზომები სკოლებთან შინამრეწველური სახელოსნოების დასაარსებლად (სადურგლო, საზეინკლო და სხვ.) სკოლის ბიუჯეტში შეტანილ იქნას სახელოსნოების მოწყობისათვის საჭირო თანხა და ინსტრუქტორთა შტატი.

დ) დამუშავებულ იქნას პროგრამების ადგილობრივი ვარიანტი, წლიური საწარმოო გეგმის გამომუშავებასთან დაკავშირებით.

ე) დამუშავდეს პროექტთა მეთოდის ძირითადი საკითხები.

ვ) გამოცემულ იქნას მოწაფეთათვის საჭირო სახელმძღვანელოები.

ზ) გაძლიერებულ იქნას დაწყებული მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ, აგრონომიულ ფაკულტეტებზა და ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში ს. ა. სკოლებისათვის საჭირო მომუშავეთა მოსამზადებლად.

ასეთია ის ძირითადი ამოცანები, რომელსაც აყენებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მშენებლობის საქმე საქართველოში. ამ ამოცანის შესრულება სოფლად პარტიის პოლიტიკის სისწორით გატარების უდავო თავდებია.

შ. სიხარულიძე.

წარმოების რეკონსტრუქცია და მუშათა კადრების მომზადების საკითხი.

მე-XV პარტკონფერენციის მიერ წამოყენებული ამოცანის: „შედარებით მინიმალური ისტორიული ვადის განმავლობაში უნდა დავეწიოთ და გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალური განვითარების დონეს“; – განხორციელების პროცესში მრავალი ახალი საკითხი წარმოიშვა; ერთი შეხედვით მოგვეჩვენება, ოომ თითქოს ისინი უბრალო პრაქტიკული ხასიათისაა და მათ გადაჭრას საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ინტერესი უნდა დაედოს ვიწრო ფარგლებში აღებული, მაგრამ თუ ყოველ მხრივ გავითვალისწინებთ შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ მათ უაღრესად სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ და პარტიის და პროლეტარული საზოგადოებრივობისათვის პრინციპიალური ხასიათი აქვთ. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მუშათა კადრების მომზადების საკითხი. თავის-თავად ცხადია, დაწევა და გასწრება ისე შეუძლებელია, თუ კი არ იქნა განვლილი ის სტადია, რომელზედაც იმყოფება რომელიმე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა ტეხნიკური კულტურის მხრივ; ესეიგი თუ არ იქნა გადმოღებული ის ტეხნიკური ხერხები და მასალები (მანქანები, წარმოებისა, რომელიც მას გააჩნია; ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, თუ როგორი უნდა იყოს თვით ადამიანთა მასალა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე აგებულ წარმოებასთან, თუ როგორი მუშათა საჭირო კვალიფიკაციის მიხედვით გადაკეთებული, რაციონალიზაციაქმნილი მრეწველობისათვის და რა გზით უნდა მომზადდეს ის; სწორედ ამ კითხვის ირგვლივ სწარმოებს დავა განათლების სახალხო კომისარიატისა და ახალგ. ლენინელ-კომკავშირს შორი ერთის

მხრივ და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შორის მეორე მხრივ. დასაშვებია თუ არა კაპიტალისტური სახელმწიფოს ტეხნიკური ხერხის ჩვენს წარმოებაში გამოყენების გამო შევქმნათ სწორეთ ისეთი ტიპი კვალიფიციური მუშის, რომელიც კაპიტალისტური წარმოებისთვის დამახასიათებელია? რა საეჭვოა, დაუშვებელია. ლენინი ამბობდა: „სოციალიზმის განხორციელებას განსაზღვრავენ ჩვენი წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლებასა და საბჭოთა მმართველობის ორგანიზაციასთან კაპიტალიზმის უახლესი პროგრესის შეხამებაში“. ამ ფორმულის სისწორით გამოყენება მოგვცემს საშუალებას სათანადოდ გადავწყვიტოთ ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე გადაყვანილ მრეწველობისათვის მუშათა მომზადების ამოცანა. ამ შემთხვევაში ისეთ მანქანებთან გვექნება საქმე, რომლებიც მოითხოვენ ელემენტარული და დამხმარე ხასიათის შრომას და თუ მუშათა მომზადება შევუფარდეთ ამ მინიმალურ მოთხოვნილებებს, მივიღებთ არა იმ შეხამებას, რომლის შესახებ ლენინი გვეუბნებოდა, არამედ მოვექცევით კაპიტალიზმის გავლენის ქვეშ, რაც წაგვიყვანს მუშათა კლასის დეგრადაციის გზით. კაპიტალისტურ წარმოებას ისეთი მუშა სჭირდება, რომელიც მხოლოდ დამატება იქნება მანქანის და შეასრულებს წინასწარ განსაზღვრულ მექანიკურ მოძრაობას, რისთვის საკმარისია მუშამ მიიღოს მარტივი ტეხნიკური ჩვევები; ბურჟუაზიის მეცნიერები ასე მსჯელობენ: „რაც უფრო დაბლა დგას მუშა გონებრივად, მით უფრო ნაკლებად გაილაშქრებს ის პიროვნების გათელის წინააღმდეგ, ვინაიდან მექანიზაციაქმნილ მსხვილ წარმოებაში პიროვნების გათელა აუცილებელია.“

ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია ჰყავდეს უვიცი, უსწავლელი მუშათა არმია, რომლის მორჩილებაში ყოლა უფრო ადვილია. მაგრამ ჩვენში კი, სადაც მუშათა კლასი ხელმძღვანელია, მშენებელია სოციალიზმის, შეუძლებელია, მიუღებულია მანქანის დამატება იყოს; მას უნდა ჰქონდეს მიღებული არა მარტო ტეხნიკური ჩვევანი, არამედ ის უნდა იყოს უაღრესად კულტურული, პოლიტიკურად და ტეხნიკურად მომზადებული; მას უნდა შეეძლოს წარმოების ყოველგვარ საკითხებში ადვილად გარკვევა და გამოსვლა როგორც საბჭოთა მრეწველობის, ახალი საზოგადოების ორგანიზატორს და მშენებელს. რომ საბჭოთა რესპუბლიკაში ასეთი ტიპის მუშა უნდა იყოს, სადავო არავისთვის არ არის; სადავოდ მხოლოდ ის გახდა, თუ რა გზით და რა საშუალებით. საუკეთესო გზად ამ მიზნისათვის ცნობილია საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლა, რომლის საწინააღმდეგოდ გაილაშქრა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ; მან გასულ წელს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში წარადგინა

თავისი თეზისები მუშათა კადრების მომზადების შესახებ, თეზისებში ხაზგასმით იყო აღნიშნული მუშათა ძალის მოთხოვნილებასა და მომზადებას შორის არსებული დისპროპორცია; ამის მიზეზს კი სახალხო მეურნეობის საბჭო ხედავდა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, როგორც მუშათა ძალის მომზადების ფორმის, უვარგისობაში; მისი აზრით, უვარგისობა გამოიხატებოდა სასწავლო გეგმაში ზოგადი განათლების საგნების სიჭარბეში, საწარმოო სწავლების წარმოებაში არსებულ მოთხოვნილებებთან შეუსაბამობაში, თეორიისა და პრაქტიკის შეუხამებლობაში და ბოლოს ასკვნიდა, რომ ის ნამეტანი ძვირი ჯდება. მრეწველობის გაუმჯობესების საკითხებით გატაცებული ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი ამხანაგები მუშათა ძალის მოჰზადების საკითხის გადაჭრას უდგებოდენ მხოლოდ და მხოლოდ მომჭარნეობის თვალსაზრისით და იმდენად შორს წავიდენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ფუფუნებად აღიარეს. ამბობდენ: თუ წარმოებისათვის შესაფერისი მუშა შესაძლოა მომზადდეს 5—6 თვის განმავლობაში,რათ უნდა **ვამზადოთ** ის 3—4 წელი საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, რადგანაც ზოგადი განათლება შრომის სკოლაში უნდა მიიღოს, რის შემდეგ მისი მომზადება უფრო მიზანშეწონილი და მრეწველობისათვის ხელსაყრელი გახდება მოკლევადიანი კურსების საშუალებითო.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თავის თეზისებში მოითხოვდა მოსკოვში არსებულ შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდის გამოყენებას მუშათა მომზადების საქმეში და საფაბრიკო-საქარხნო სკოლათა შეცვლას ბრიგადულ-ინდივიდუალური სწავლებით; ამ დარგში მომუშავე ამხანაგი გასტიევი კიდევ უფრო შორს წავიდა; წარმოებაში მოზარდთათვის ჯავშანს მან „სამომხმარებლო ბეგარა“ უწოდა და დასვა კითხვა მისი გაუქმების შესახებ; და მუშათა კადრის შექმნა და მომზადება, მისი აზრით, უკეთესია მოხდეს წვევამდელთა ასაკის წრიდან, ვინაიდან მოზარდთა შრომა ნაკლებ ხელსაყრელია წარმოებისთვის. თანამედროვე პირობებში ეს ნიშნავს მუშათა ახალგაზრდობის ჩავარდნას უმუშევრობისა და უსაქმურობის მდგომარეობაში, რადგანაც არც მუშათა მატერიალური მდგომარეობა და არც განათლების საქმე ჯერჯერობით კიდევ ისე არაა მოწესრიგებული, რომ ყველა მუშის შვილებმა გაიარონ სრული კურსი შრომის სკოლაში და არ დარჩენ ისეთები, რომელთათვის ერთადერთი საშუალებაა მოზარდობიდანვე ფაბრიკა-ქარხანაში მუშაობა. ამხ. გასტიევის მოსაზრებები იმ დასკვნამდე მიდის, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, როგორც კვალიფიკაციური ძალის მომმზადებე-

ლი საშუალება, უარყოფილ უნდა იქნას და შეიცვალოს შრომის ინ-სტიტუტის კურსებით.

რამდენად აუცილებელი და მისაღებია წარმოების რაციონალი-ზაციის გამო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა შეიცვალოს ინდივიდუა-ლურ-ბრიგადული სწავლებით, ან და შრომის ინსტიტუტის კურ-სებით?

მუშათა ძალის შემადგენლობისა და წარმოებაში მისი დანიშ-ნულების რეკონსტრუქციას არსებითი ცვლილებები შეაქვს: წარმოე-ბაში ხდება მუშათა შემადგენლობის გადაჯგუფება, იცვლება დაწესე-ბული პროპორცია ფაბრიკა-ქარხანაში მუშათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, საჭირო ხდებიან ახალი სპეციალისტები; ერთი სიტყვით, მუშათა პროფესიონალური შემადგენლობა არსებითად იცვლება; ეს ცვლილება აყენებს მუშათა ორი მთავარი ჯგუფის საჭიროებას: 1) მასიური კვალიფიკაციის მუშები, რომლებიც ასრულებენ ერთ ან რამდენიმე დანაწილებულ ოპერაციას, რომელიც ითხოვს მცირე მომ-ზადებას, 2) მუშები მაღალი კვალიფიკაციისა, რომლებიც ეწევიან მანქანების აწყობას, რემონტს და სხვა; უკანასკნელი ითხოვს სპეცი-ალურ და ხანგრძლივ მზადებას.

შეიძლება თუ არა პირველნი მომზადდენ ინდივიდუალურ-ბრი-გადული სწავლების გზით, მეორენი კი მარტო შრომის ინსტიტუტის კურსებით? ამის გამოსარკვევად საჭიროა აღვნიშნოთ, თუ რას წარ-მოადგენს ინდივიდუალურ-ბრიგადული ფორმა სწავლებისა და შრო-მის ინსტიტუტის მეთოდი, რომ ნათელი გახდეს, თუ რამდენად შე-საძლებელია რომელიმე მათგანმა შესცვალოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

თუ ავიღებთ საბრიგადო-ინდივიდუალური სწავლების დაყენე-ბას მსხვილ სამრეწველო რაიონებში, სადაც ის უფრო ნორმალუ-რად უნდა იყოს მოწესრიგებული და ამართლებდეს მიზანს, უნდა ითქვას, რომ არა ერთხელ იყო ხაზგასმით აღიარებული სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ, რომ სწავლების ამ ფორმისაგან მიღებული შედეგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლე-ბა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამის მიზეზი, უდავოა, თვით საბრიგადო-ინდივიდუალური შეგირდობის დაწესებულების, როგორც მუშა-ძალის მომმზადებელის, ბუნებაში უნდა ვეძიოთ. სწავლების ამ ფორმის თვით ხასიათი გულისხმობს პრაქტიკის ერთგვარ დაშორე-ბას თეორიისაგან; აქ არ არის, როგორც საფაბრიკო-საქარხნო სკო-ლაში, მთლიანი სისტემა, აქ საქმე გვაქვს მუშაობის ორ მიმართუ-ლებასთან: პროფესიონალური და საპოლიტ-განმანათლებლო, რო-

შელთა ერთმანეთთან შეხამება ხშირად ვერ ხერხდება; ეს კი იწვევს ვიწრო პრაქტიციზმისაკენ გადახრას, რასაც მაინც და მაინც არც წარმოების ინტერესი მოითხოვს და მუშის გონებრივად წინ წასვლისათვის ხომ სრულიად მიუღებელია. თეორიაში კი საბრიგადო-ინდივიდუალური სწავლება მოსწავლეებს თითქმის არავითარ ცოდნას არ აძლევს. რაც შეეხება შრომის პროცესების ახსნა-განმარტებას და მათ შეთვისებას შეგირდების მიერ, ამ მხრივაც საბრიგადო-ინდივიდუალური სწავლება არაფერს არ იძლევა, ვინაიდან ის არის არა საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი, არამედ წარმოებითი სწავლების მოწყობის და ჯგუფურ პრინციპს ემყარება.

ბრიგადას, როგორც ჯგუფური სწავლების მეთოდს, წარმოების მექანიზაციის შემდეგ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა და ის კიდევ კარგ ხანს დარჩება.

ამგვარად, როგორ შეიძლება საფაბრიკო-საქარხნო სკოლა შესცვალოს საბრიგადო, საინდივიდუალო შეგირდობამ, თუკი ის თვით საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში საწარმოო სწავლების მხოლოდ შეთოდია და მეტი არაფერი! ამიტომ არ შეიძლება სწავლების ამ ორი ფორმის ერთიმეორესთან დაპირისპირება და მოთხოვნა იმისა, რომ ისინი ასრულებდენ პარალელურ ფუნქციებს.

საერთოდ პირველ ხანებში ინდივიდუალური საბრიგადო სწავლების მიზნობრივი დაყენება ვიწრო პრაქტიციზმის ფარგლებს ვერ შორდებოდა, თეორიული სწავლების შემოღებამ ძირიანად შესცვალა მისი დანიშნულების შინაარსი. თვით საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თეორიული სავალდებულო სწავლების შემოღება საბრიგადო-ინდივიდუალური შეგირდობისათვის აუცილებელ საჭიროებად აღიარა თავის თეზისებში. მაგრამ საქართველოს სინამდვილეში ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა ჯერჯერობით, გადაწყვეტილი იყო ლითონის მრეწველობაში არსებულ საბრიგადო-ინდივიდუალური შეგირდობისათვის მაინც პირველ რიგში მოწყობილიყო თეორიული კურსები ამხ. კამოს სახელობის ცენტრალურ საფაბრიკო-საქარხნო სკოლასთან. მაგრამ გადაწყვეტილების განაღდებას აყოვნებს ჩვენი სახ. სამეურ. საბჭოს მიერ სათანადო თანხების გაუცემლობა; რაც შეეხება საწარმოო სწავლებას საბრიგადო-საინდივიდუალო შეგირდობაში ტფილისში, ეს სწავლება ყოვლად მოუწესრიგებელია, არ აქვთ არც გეგმები და არც პროგრამები, სწავლება წარმოების შეგირდის რომელიმე კვალიფიციური მუშისადმი მიმაგრების სახით, ეს მუშა ნაკლებად დაინტერესებულია ამ

საქმით და არც საშულება აქვს სათანადო ყურადღება მიაქციოს შეგირდს.

ეხლა რამდენიმე სიტყვა შრომის ცენტრალური ინსტიტუტის შესახებ.

შრომის ცენტრალური ინსტიტუტი მუშის მზადებას საფუძვლად უდებს არა იმდენად ცოდნას, რამდენადაც წარმოების პროცესში მუშის მოქცევას; მისთვის საინტერესოა, თუ როგორ შეასრულებს მუშა მეტისმეტად ზუსტად და წინასწარ ჩამოყალიბებულ საწარმოო ხერხებს; ამის გამო შრომის ინსტიტუტი ცდილობს მუშაში ინსტინქტებად გარდამქცევი განსაზღვრული რეფლექსების ჩანერგვას. მუშამ, გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის, დამოუკიდებლად უნდა შესძლოს საწარმოო ამოცანათა შესრულება მასალებისა და მოწყობილობის წესიერად გამოყენებით; აგრეთვე ტეხნიკურ და ტეხნოლოგიურ ცოდნათა არე მასში იმდენად ფართო უნდა იყოს, რომ მას არ მოესპოს წარმოებაში არსებული კვალიფიკაციის საფეხურებზე თანდათანობითი ასვლის საშუალება. შრომის ინსტიტუტის მეთოდის გამოყენებას თვით საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში არავინ არ უარყოფს, მრეწველობის ზოგიერთ დარგების საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში კიდევაც შემოღებულია; საქმე მხოლოდ ისაა, თუ რამდენად დასაშვებია, რომ ის იქნეს ცალკე ერთეული, ან გადაიქცეს სისტემად ახალგაზრდობისაგან მუშათა მომზადებისათვის.

თუ შევადარებთ საფაბრიკო-საქარხნო სკოლას შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მოსამზადებელ წესებს, დავინახავთ, რომ უკანასკნელი ანვითარებს მუშაში მხოლოდ მინიმალურ ტეხნიკურ ჩვევებს, უკვეცავს ტეხნიკურსა და ტეხნოლოგიურ დარგში გაქანებას, წარმოებაში წინწაწევის შესაძლებლობას ძალიან აშორებს და, რაც მთავარია, უარყოფს მოზარდი ახალგაზრდობისათვის წარმოებაში ჯავშანს. ამით შრომის ინსტიტუტი ხელს უწყობს ახალგაზრდობაში ემუშევრობის გაძლიერებას.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლა კი მუშას აძლევს ფართო საწარმოო, ტეხნიკურ და ტეხნოლოგიურ მომზადებას, რაც ხელს უწყობს წარმოებაში მუშის წინ წაწევას: ამასთანავე ის იფარავს მუშა ახალგაზრდობას ემუშევობისა და დეკლასიურობისაგან.

შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსების დანიშნულებაა რაც შეიძლება მოკლე ვადაში მოამზადოს ან გადაამზადოს კვალიფიციური მუშები; უნდა ითქვას, რომ ამით ის დიდ სამსახურს უწევს მრეწველობას; ამ კურსებით საფაბრიკო-საქარხნო სკოლის

შეცვლის მომხრეთა ერთ-ერთი მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტეხნიკური განათლება საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედიანი შრომის სკოლით დამთავრდეს, რის შემდეგ პირადად მუშისათვისაც საზიანო არ იქნება ხსენებული კურსებით მომზადება. ასეთი შვიდწლედები არა თუ საქართველოში, არამედ მსხვილ სამრეწველო რაიონებშიც არ არის მოწყობილი და რამდენიმე წელი კიდევ არის საჭირო, რომ ისინი სათანადოდ მოეწყოს. ყოველგვარი ცვლილებები წარმოების წესებში მუშას უქადის უმუშევრობას, ვინაიდ, საკმაო პოლიტეხნიკური ცოდნის უქონლობის გამო, ის ვერ შესძლებს ამ ცვლილებებში გარკვევას და შეგუებას, რასაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მიზნობრივი დაყენება ითვალისწინებს და აძლევს მუშას წარმოების ტეხნიკურ ცვლილებებთან შეგუების გარანტიას.

ამრიგად, საფაბრიკო-საქარხნო სკოლას, სადაც სწავლება აგებულია პოლიტგანმანათლებელ, ტეხნიკურ და საწარმოვო დისციპლინათა კომპლექსზე, ვერ შესცვლის ვერც საბრიგადო-საინდივიდუალო ფორმა სწავლებისა და ვერც შრომის ინსტიტუტის კურსები. რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მასიური კვალიფიკაციის მუშები უნდა მოამზადოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლამ, 4-წლედზე აგებულმა სწავლების 2—3 წლის ხანგრძლივობით, მაღალი კვალიფიკაციის მუშები კი—საფაბრიკო-საქარხნო სკოლამ, 7-წლედზე აგებულმა, 3 წლის სასწავლო ვადით. ტიპი უნივერსალური მუშების მომამზადებელი საფაბრიკო-საქარხნო სკოლისა ჯერჯერობით კიდევ ძველი რჩება—მე-3 ტიპის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

საბრიგადო-ინდივიდუალური სწავლების ფორმა თანდათანობით უნდა მოისპოს და მისი ფუნქცია გადაეცეს I ტიპის საფაბრიკო-საქარხნო სკოლას, რომლის მოწყობას საჭიროა შევუდგეთ მომავალი სასწავლო წლისათვის

დ. ცხაკაია.

განათლების სისტემის გადასინჯვის საკითხისათვის

პარტთათბირის გამო.

საკითხი არ დგას განათლების ჩვენი სისტემის ძირითადი პრინციპების გადასინჯვისა და სახალხო განათლების საქმის სრულიად ახალ საფუძველზე აშენების შესახებ. ლაპარაკია მხოლოდ კულტურული ფრონტის ცალკე ნაწილების გადათვალიერებისა და განათლების სისტემის ცალკე ელემენტების რეკონსტრუქციაზე სოციალი-

სტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდის პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით. ამ მუშაობაში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც ხელთ გვაქვს.

სანამ კონკრეტ საკითხებზე გადავიდოდეთ, მოვიგონოთ სკპ(ბ) პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი დებულება სახალხო განათლების დარგში: „უფასო და სავალდებულო ზოგადი და პოლიტეხნიკური (რომელიც თეორიულად და პრაქტიკულად აცნობს წარმოების ყველა მნიშვნელოვან დარგს) განათლების განხორციელება ორივე სქესის ყველა ბავშისათვის 17 წლამდე". საყოველთაო სავალდებულო სწავლა ჯერ კიდევ პირველი საფეხურის სკოლის ფარგლებშიც არ გაგვიხორციელებია—12 წლის ასაკამდე, ასე რომ მორიგ და გადაუდებელ ამოცანად სწორედ ეს უკანასკნელი უნდა დავისახოთ—მთელი მოსახლეობის დაკმაყოფილება დაწყებითი სკოლით. რაც შეეხება პროგრამის დებულებას საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ აგრეთვე მე-II საფეხურის სკოლის ფარგლებში, ეს უკვე მეორე რიგის და უფრო შორეულ დროის ამოცანაა: ეს საკითხი პრაქტიკულად მხოლოდ მას შემდეგ დადგება, როცა პირველი საფეხურის სკოლა საყოველთაო გახდება და სათანადოდ განმტკიცდება.

პროგრამის არც მეორე მოთხოვნა გვაქვს განხორციელებული: 17 წლამდე მხოლოდ ზოგადი პოლიტექნიკური განათლება და მხოლოდ ამის შემდეგ—პროფესიონალურ-ტექნიკური. ვინაიდან ეკონომიურმა სინამდვილემ გვაიძულა ასაკი 15 წლამდე დაგვეწია (სპეციალი ტექნიკუმები, როგორც ვიცით, 7-წლედზეა აგებული, ე. ი. 15 წლის ახალგაზრდებს იღებს); „თუ ჩვენ იძულებული ვართ დავწიოთ ასაკი (ზოგად-პოლიტექნიკურიდან პროფესიონალურ-ტექნიკურზე გადასასვლელად) 17 წლიდან 15-მდე, პარტიამ ასაკის ნორმის დაწევა ისე „უნდა დააფასოს", როგორც „განსაკუთრებული" (ცეკას დირექტივების პირველი მუხლი) პრაქტიკული აუცილებლობა, როგორც დროებითი ზომა, ქვეყნის სიღატაკითა და განადგურებით გამოწვეული" (ლენინი).

როგორც ვიცით, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა სახალხო განათლების მშენებლობაში არ მიჰყვება პარტიის პროგრამის მოთხოვნას და იქ ზოგადი განათლება 7-წლედით თავდება, შემდეგ კი პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება მიდის. ეს იქ არ არის მიღებული როგორც დროებითი ზომა, როგორც იძულებითი დათმობა ეკონომიური სინამოვილისათვის, არამედ მიღებულია, როგორც სახელმძღვანელო დებულება. არის ცდა, ვითომდა თეორიული მოსაზრები-

თაც დაასაბუთონ ამ მდგომარეობის მართებულობა და 15-წლიდან პროფესიონალური განათლების ყოველმხრივი მაჯანშეწონილობა. სწორედ ეს „თეორეტიკოსები“ ჰყავს ლენინს მხედველობაში, როდესაც ამბობს: „ზოგადი მსჯელობა და ასეთი გაგების ნაძალადევად „დასაბუთების“ ცდა მთლიან სისულელეს წარსოადგენს. კმარა თამაში ზოგადი მსჯელობით და ვითომდა თეორიებით“.

პარტიულმა თათბირმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუდვას საზღვარი მერყეობას. სახალხო განათლების სოციალისტური სისტემა ჩვენში თავისი არსით ერთი უნდა იყოს, ერთსადაიმავე ძირითად პრინციპებზე აგებული, იმ პრინციპებზე, რომლებიც მოცემულია მარქსისა და ლენინის შეხედულებებში და გამოკვეთილია პარტიის პროგრამაში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ეკონომიურად უკვე იმდენად გავმაგრდით, რომ ამიერიდან მხოლოდ 17 წლის ასაკის ზევით ვაწყობთ პროფესიონალურ განათლებას. არა, ჯერ ამას ვერ შევძლებთ. მაგრამ ჩვენ შეუჩერებლივ უნდა ვისწრაფოდეთ აქეთკენ, ყოველ ხელსაყრელს შემთხვევაში უნდა ვცდილობდეთ ამ მიმართულებით შემდგომს და შემდგომს საფეხურებზე ასვლას ამ პრინციპის განხორციელებისაგან. თუ ნივთიერად ჯერ კიდევ არ ვართ ძლიერი, ის კიდევ არ ნიშნავს, რომ სწრაფი ნაბიჯით წინ არ მივიწევთ, რომ ძლიერ შორს არ ვართ წასული იმასთან შედარებით, რაც ვიყავით, როდესაც არსებულს განათლების სასტემას ვაყალიბებდით.

ამიტომ, როდესაც განათლების სისტემის გადასინჯვას ვუდგებით ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წონასწორობის აუცილებლობის მთელი შეგნებით და ჩვენი ნივთიერი საშუალებისათვის ანგარიშის გაწევით, უეჭველად უნდა ვცდილობდეთ წინ წავიწიოთ — წავდგათ შემდეგი ნაბიჯი მარქსისა და ლენინის იდეების განაღდებისაკენ.

როდესაც ვლაპარაკობთ განათლების სისტემაში შესატან კორექტივებზე, პირველ რიგში საკითხი ჩვენი განათლების ხანგრძლივობის შესახებ უნდა დავსვათ. განათლებისათვის გამოყოფილი დროის სიმოკლის მხრივ ჩვენ პირველი ადგილი გვიჭირავს: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საშუალო განათლების ხანგრძლივობა საშუალოდ 12 წელს უდრის, იაპონიაში და ამერიკაში — კიდევ უფრო მეტია, ჩვენ კი მხოლოდ 9 წელი გვაქვს (ზოგადი განათლების საშუალო სკოლა ჩვენში 9 წლედია). ჩვენი განათლების მთელი ხანგრძლივობა, პირველი საფეხურის სკოლიდან დაწყებული და უნივე-

რსიტეტით გათავებული—13 წელიწადია, ე. ი. იმდენი, რამდენიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მხოლოდ ზოგად საშუალო განათლებაზე აქვთ გადადებული. მომჭირნეობა და ცხოვრებაში დაჩქარებით გამოშვების სურვილი კარგი საქმეა, მაგრამ ეს გონიერი უნდა იყოს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ როგორია აჩქარებულად მომზადებული პროდუქციის თვისება.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ 9 წლიანი საშუალო სკოლით დაკმაყოფილება? არა, ვინაიდან ჩვენი პროგრამები გაცილებით უფრო ფართოა იმასთან შედარებით, რაც ბურჟუაზიულ ქვეყნებს აქვთ; ჩვენი საშუალო განათლების მინიმუმი უფრო მაღლა უნდა იდგეს ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით, თუ ამოცანად ვისახავთ, რომ „შედარებით უმოკლესი ისტორიული ხნის განმავლობაში დავეწიოთ და გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“ (საშუალო განათლების დონის დაწევით ხომ უმაღლესი სკოლის დონეც დაიწევს და, მაშასადამე, მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების დამზადების საქმეს ხიფათში ჩავაყენებთ). მართალია, ჩვენ სკოლიდან განვდევნეთ რელიგია, რაც ბურჟუაზიულ სკოლებში ბევრ დროს მოითხოვს, განვდევნეთ ყველაფერი, რაც სოციალისტური აღზრდის მიზნებს არ შეესაბამება, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი ახალი შევიტანეთ, გავაძლიერეთ ბუნებისმეტყველება და საზოგადოებათმცოდნეობა, შევიტანეთ შრომა და მუშაობის აქტიური მეთოდები (სულ სხვა საკითხია—რამდენად და რამდენად წესიერად ვანხორციელებთ), რაც გაცილებით უფრო მეტს დროს მოითხოვს; ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩაბმული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც კიდევ უფრო ამცირებს სკოლის განკარგულებაში გადადებული „სასწავლო“ დროის ბიუჯეტს და სხვ. ცხადია რომ 9 წელი აქ არ კმარა—ეს გამოცდილებიდან ვიცით. საშუალო სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობა სუსტადაა მომზადებული. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ და სასწავლო დროს ხანგრძლივობა გავზარდოთ.

საშუალო განათლების ხანგრძლივობა, 9 წლის ნაცვლად, 10 წლამდე უნდა ავიყვანოთ. მაგრამ სად დავუმატოთ ეს ერთი წელი?

ახლა გვაქვს: პირველი საფეხური—4 წლედი და მეორე საფეხური - 5 წლედი (მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი 3-წლედი—5, 6 და 7 ჯგუფი 7-წლედი, და მეორე კონცენტრი—ორწლედი—8 და 9 ჯგუფი—9-წლედი).

პირველი საფეხური—მასიური სკოლაა, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მასების კულტურულ დონეს. სოციალისტური მშენებლობა მასებს მეტად ფართო კულტურულ მოთხოვნებს უყენებს,—აქ

არ კმარა წერაკითხვა და თვლა. 4 წლის განმავლობაში შეუძლებელია ამ დიდ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მით უმეტეს, რომ აქ ბავშებს ახალი ენის სწავლებაც უხდებათ (რუსული ენა). ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ შეგვეძლოს ერთი წელი დავუმატოთ პირველი საფეხურის სკოლას, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა სკოლაში მისაღები ასაკიც 8 წლიდან 7-დე დაგვეწია და 5-წლედის დამთავრების ასაკი იგივე დარჩებოდა—12 წელი. მაგრამ უახლოეს წლებში ამას ვერ განვახორციელებთ: მარტო ამჟამად არსებულ პირველი საფეხურის ყველა სკოლას რომ დავუმატოთ თითო ჯგუფი, ეს 1833 ახალ ჯგუფს და, მაშასადამე, ამდენსავე ახალს მასწავლებელს მოითხოვს, რაც ჩვენი ბიუჯეტისათვის დაუძლეველი იქნება. როგორც აღნიშნული იყო, კულტურულ ფრონტზე უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლის განხორციელებაა, პირველს რიგში ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს მთელი ძალ-ღონე და ნივთიერი საშსარი, ამიტომ, ვჩერდები 4-წლედზე იმ პირობით, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე საყოველთაო სწავლება აშენდეს მეორე საფეხურის ნიადაგზე.

სად უნდა დაემატოს ეს ერთი წელი—მეორე საფეხურის პირველ თუ მეორე კონცენტრს? ნივთიერი შესაძლებლობის თვალსაზრისით, მეორე ზომა უფრო ხელსაყრელია, რადგან მე-II კონცენტრის რაოდენობა 63 არ აღემატება. I კონცენტრის კი 400-ზე მეტია (7-წლედები და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები), მაგრამ სხვა მხრივ უეჭველად უფრო მიზანშეწონილია ერთი წელი I კონცენტრს დაემატოს და ამ გზით, 7-წლედის ნაცვლად, 8-წლედი მივიღოთ; ამას შემდეგი უპირატესობა აქვს: სპეცტექნიკუმებს (8-წლედზე იქნება აშენებული) უფრო საიმედო საყრდენი ექნება, უფრო მომზადებულ და მომწიფებულ ახალგაზრდობას მიიღებს; პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება 16 წლიდან დაიწყება (8-წლედს 16 წლის ახალგაზრდები დაასრულებენ) და, მაშასადამე, ერთი წლით დავუახლოვდებით ნორმალურ ასაკს (17 წ.) 12—16 წლის ასაკში, როდესაც ორგანიზმი თავის განვითარებაში კრიტიკულ მომენტს განიცდის, ახალგაზრდობა ისე აღარ იქნება დატვირთული, როგორც დღეს, რადგან ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით იმისივე შესრულება მოუხდება, რასაც ახლა 3 წლის განმავლობაში ასრულებს აჩქარებულად და ზერელედ, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის საზიანოდ; ამის გარდა, მასიური მუშაკები, რომლებიც 8 წლედიდან პირდაპირ ცხოვრებაშიც გამოვლენ საკმაოდ მოზრდილი რაოდენობით, უფრო მეტი მომზადებით იქნებიან აღჭურვილი და

უფრო ნაყოფიერი იქნება მათი მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში. მე-II საფეხურის მეორე კონცენტრი ისევ 2-წლედად რჩება, როგორც დღეს არის.

თქმული წარმოვიდგინოთ სქემატიურად:

ახლანდელი მდგომარეობა				რა უნდა გვქონდეს უახლოეს დროში			
I საფ.—4-წლედი	1 კ.—3 წ.	9 წ.		1 ს.—4 წ.	1 კ.—4 წ.	10 წ.	
II საფ.—5-წლედი	2 „ —2 „			2 ს.—6 წ.	2 კ.—2 წ		

ამგვარად უახლოესი წლების განმავლობაში განათლების სისტემის საფუძვლად 10-წლიანი შრომის სკოლა უნდა გვქონდეს და, უფრო ადრე თუ არა, საყოველთაო დაწყებითი სწავლის განხორციელებისას მაინც პრაქტიკულად უნდა დავაყენოთ საკითხი. 4-წლედის ნაცვლად 8 წლედის განხორციელების შესახებ. მაშინ მდგომარეობა, დღევანდელთან შედარებით, უეჭველად გაცილებით უკეთესი იქნება: უმაღლესი სკოლისათვის ახალგაზრდობა უკ თ იქნება მომზადებული და პრაქტიკულ ცხოვრებაში უფრო გამოსადეგი.

მე-II საფეხურის მეორე კონცენტრში პროფესიონალური ელემენტები გვაქვს შეტანილი განხრების სახით, როგორ მოვექცეთ ამ განხრებს? ზოგადი განათლების პოლიტექნიკურ სკოლაში პროფესიონალურ ამოცანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს—ჩვენც აქეთკენ უნდა გვქონდეს გეზი აღებული და პროფესიონალური განხრები უნდა ჩამოვიშოროთ, მაგრამ, როგორც დროებითი ზომა, ისინი კიდევ დარჩებიან: საშუალო სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობა მთლიანად ვერ მოხვდება უმაღლეს სკოლაში და, მაშასადამე, ცოტაოდენი მაინც უნდა გაჩნდეს პრაქტიკული ხასიათის ცოდნა-ჩვევანი, რომ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება შეეძლოს. ამას გარდა მშენებლობის სხვადასხვა დარგისათვის ჩვენ გვესაჭიროება მასიური მუშაკები (მაგ., 1 საფ. სკოლის მასწავლებლები—მით უმეტეს, როდესაც საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადავდივართ, პოლიტგანათლების დარგში ნომუშავენი და სხვ.).

როდესაც გვექნება ნორმალური პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც თავის მუშაობას გარემოცულ წარმოებაზე დაამყარებს, წარმოების მნიშვნელოვან დარგებს გააცნობს ახალგაზრდობას თეორიულად და პრაქტიკულად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობა იქნება პედაგოგიური მუშაობის უმთავრესი პრინციპი,—მაშინ ახლანდელი განხრები აღარ იქნება

საჭირო: სოფლის მეურნეობის პირობებში სკოლა სასოფლო-სამეურნეო იერს მიიღებს, ხოლო მრეწველობის გარემოცვაში — სამრეწველო იერს.

სოციალური აღზრდის სისტემაში ორი ახალი ტიპის სკოლა უნდა იქნას შეტანილი როგორც დროებითი დამატებითი სკოლა. პირველი—ეს ორწლიანი სკოლა წერაკითხვის უკოდინარ, სკოლის ასაკ გადასული ახალგაზრდობისათვის, 11-დან 15 წლამდე. ასეთი ახალგაზრდობა საკმაო დიდ რიცხვს შეადგენს. ამ ახალგაზრდობისათვის უნდა გაიშალოს 2-წლიანი სკოლის ქსელი (5 წლიანი გეგმით, 600 ასეთი ტიპის სკოლის გახსნაა ნავარაუდევი). ამ ტიპის სკოლის მუშაობა ისეთი უნდა იყოს, რომ ზოგადი ცოდნის ელემენტებთან ერთად სამეურნეო პრაქტიკული ცოდნისა და ჩვევების განსაზღვრულ მინიმუმსაც უნდა. აძლევდეს ახალგაზრდობას—საერთო მტკიცე განწყობის საფუძველზე — მეურნეობის კოოპერაცია კოლექტივიზაციისაკენ.

მეორე ტიპი—ეს შემოკლებულკურსიანი (ორ ან სამწლიანი) სოფლის ახალგაზრდობის სკოლა უნდა შეექნათ სკოლის ასაკს გადასული ახალგაზრდობისათვის (სოფლის ახალგაზრდობის ჩვეულებრივი სკოლა 4-წლიანი უნდა იყოს). ამ სკოლებში მოექცევა ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც უკვე მეურნეობაშია ჩაბმული და, მაშასადამე, მიღებულ ცოდნას და ჩვევებს მეტი ნაყოფიერებით გამოიყენებს სოფლად ახალი მეურნეობის და ახალი ცხოვრების შექმნის საქმეში. სოფლის ახალგაზრდობის ასეთი სკოლები ასაკგადასულთა ორწლიან სკოლებზეც აშენდება.

ეს—სოციალური აღზრდის ზოგი საკითხის შესახებ. სკოლის ასაკამდე აღზრდის, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და პროფტექნიკური განათლების დაწესებულებათა შესახებ—შემდეგს წერილებში. საჭიროა ჩემს მიერ აქ წამოყენებულ საკითხებზე და ყველა სხვა საკითხებზე, რაც დასმულია პარტიული თათბირის გამო განათლების სისტემის შესახებ, ამხანაგებმა თავისი მოსაზრება გამოსთქვან.

რამდენადაც უფრო ფართო ხასიათს მიიღებს ამ საკითხებზე მსჯელობა, იმდენად გაუადვილდება პარტიას განათლების სისტემაში საჭირო და აუცილებელი კოლექტივების შეტანა. პირველ რიგში აქ განათლების დარგში მომუშავე ამხანაგებზეა ჯერი:—თავისი დაკვირვება-გამოცდილება ფართოდ უნდა გამოიყენონ, ამ საქმეს ფხიზლად და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი და მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სახალხო განათლების შემდგომს განვითარებაში. აზრთა გაცხოველებულ გაცვლა-გამოცვლას ველოდებით.

მარიამ ორახელაშვილი.

სოციალური აღზრდის მეორე საფეხურის სკოლაში პოლიტექნიზმისა და პროფესიონალური განხრის საკითხისათვის.

სოციალური აღზრდის მეორე საფეხურის სკოლად ჩვენ ვთვლით ეხლანდელ შვიდწლედს, ცხრაწლედს და სოფლის ახალგაზრდობის სკოლას, ე. ი. სწავლების მე 5, 6, 7, 8 და მე-9 წელს.

ამ სკოლათა სახელწოდება—მეორე საფეხური—გვიჩვენებს, რომ სახალხო განათლების საერთო სისტემაში მას საშუალო ადგილი უკავია: ერთი მხრივ, ის პირველი საფეხურის უშუალო გაგრძელებაა, მეორე მხრივ—უმაღლესი სკოლისთვის მოსამზადებელი საფეხური; ძიუხედავად ამისა, მეორე საფეხურს აქვს სხვა საფეხურებიდან განმასხვავებელი გარკვეული მიზანი—ის არის სოციალური აღზრდის დამთავრება, ცხოვრებისათვის მომზადება და თანაც ფუძე, რომელზეც შემდეგ უნდა შენდებოდეს პროფესიანალური განათლება.

ეხლანდელი მეორე საფეხურის სკოლა იყოფა ორ ნაწილად—კონცენტრად, რომლებსაც სხვადასხვა მიზანი, მუშაობის ორგანიზაცია და ცოდნა-ჩვევათა მოცულობა აქვს სწავლების მე 5, 6 და მე-7 წელი არის პირველი კონცენტრი და მე-8, 9 და მე-10 (მომავალი წლიდან)—მეორე.

ეს დაყოფა, სხვა პედაგოგიურ-მეთოდურ მოსაზრებებთან ერთად, მატერიალური მოსაზრებითაც არის გამოწვეული. ეკონომიური სახსრის სიღარიბის შედეგია 9 წლედების უფრო ნაკლები რიცხვი, ვიდრე 7-წლედებისა (აქ მხედველობაში არ ვიღებთ მასწავლებელთა მოუმზადებლობას, პირველდაწყებითსა და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა „ნორმალურ“ პროცენტულ შეფარდებას და სხვ) და პროფესიანალური განათლების აშენება შვიდ წლედზე დამყარებით, და არა სოციალური აღზრდის დამთავრების შემდეგ, როგორც ეს არის გათვალისწინებული კომპარტიის პროგრამაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებასა და ზრდასთან უშუალოდ დაკავშირებულია სახალხო განათლების მორიგი ამოცანების გადაჭრა: ჯერ საყოველთაო სავალდებულო ოთხწლიანი სწავლების შემოღება, შემდეგ პირველი საფეხურის სწავლების წლების გადიდება 7-დან 8 წლამდე, და შემდეგ კი პროფგანათლების (აქ იგულისხმება ისეთი პროფესიები, რომელთა დაძლევა წინასწარ მოითხოვს საერთო განათლების მაღალ დონეს) დაყრდნობა მეორე საფეხურის პოლიტექნიკურ სკოლაზე.

მაგრამ ეს საკითხები ცოტად თუ მეტად შორეული მომავლის საქმეა, ჩვენი მიზანი კი არის არა შესაძლებელი და სასურველი, არამედ აუცილებელი და გადაუდებელი საკითხების გარკვევა.

მეორე საფეხურის სკოლების წინაშე ამჟამად ასეთი საკითხებია: როგორ უნდა გვესმოდეს პოლიტექნიკური აღზრდა, რა არის საჭირო პოლიტექნიზმის პრინციპის განხორციელებისათვის, როგორ უნდა იყოს პროფგანხრიანი მეორე საფეხურის მეორე კონცენტრი და საჭიროა თუ არა ეს „განხრა“.

პოლიტექნიკური აღზრდის აუცილებლობის შესახებ მრავალი ითქვა და დაიწერა, პოლიტექნიკური ცოდნით აღჭურვილი პირის, ესე იგი არა ვიწრო სპეციალობის, არამედ მრავალი (ბერძნულად „პოლუს“) სხვადასხვა სახის შრომის მცოდნე პირის აღზრდას შემდეგი დასაბუთება აქვს: საჭიროა ბავშის ყოველმხრივი განვითარება, გამორკვევა, თუ შრომის რა დარგში უფრო ნაყოფიერი და მიზანშეწონილი იქნება მისი ნიჭის, ძალ ღონის გამოყენება; არის ეკონომიური მოსაზრებანი: ყველა მოწინავე ქვეყანაში ინდუსტრიის სწრაფი განვითარება და ტექნიკური გაუმჯობესებანი მოითხოვენ არა ვიწრო სპეციალისტებს, როგორც მასიურ მუშაკთ, არამედ ისეთ პირთ, რომელთაც აქვთ საკმაო საერთო განათლება, შეუძლიათ შრომის სხვადასხვა სახეებში ორიენტირება, შესძლებენ თავისი ცოდნა გამოცდილების შეფარდებას ცხოვრებასა და ტექნიკურ გაუმჯობესებასთან და მოთხოვნილებისამებრ შეცვლიან თავის სპეციალობას, აამაღლებენ თავის კვალიფიკაციას.

საბჭოთა პედაგოგიურ ლიტერატურაში პოლიტექნიზმის განმარტებანი უმთავრესად მარქსის აზრს ეყრდნობიან, რომელიც ჩამოყალიბებულია ინტერნაციონალის პირველ კონგრესის რეზოლუციაში (ჟენევა. 1866 წ.): „განათლება ჩვენ გვესმის როგორც: 1) გონებრივი განვითარება, 2) ფიზიკური განვითარება — ისეთი, რომელსაც იძლევიან ტანვარჯიშობის სკოლები და სამხედრო ვარჯიშობანი, 3) პოლიტექნიკური აღზრდა, რომელიც აცნობს ბავშს და მოზარდს საწარმოო პროცესის ზოგად მეცნიერულ პრინციპებს და ამასთანავე აძლევს ყველა წარმოების ელემენტარული იარაღების ხმარების ჩვევას.“

მარქსის აზრით, აღზრდის საკითხში უმთავრესია სწავლების დაკავშირება წარმოებითს შრომასთან, წარმოების სხვადასხვა სახეების გაცნობა და ბავშთა მიერ საწარმოო შრომის შესრულება.

ეს დებულებები დაედო საფუძვლად საბჭოთა შრომის სკოლას და პოლიტექნიკური აღზრდის პრინციპი გატარებულია შრომის სკო-

ლის ყველა საფეხურის პროგრამაში. შრომას მიეკუთვნა განმანათლებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ჩვენ სკოლაში შრომა, ისე, როგორც ბუნებრივი მოვლ ნები და საზოგადოებრივი ურთიერთობა შესწავლის საგანია, შრომის შესწავლა და გარემოცულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება კი აღზრდის საშუალებაა.

ჩვენი პროგრამების თანახმად, ბავშებმა სკოლში უნდა შეისწავლონ გარემოცულ სინამდვილეში არსებული შრომის სახეები, მათ დაუკავშირონ საგანმანათლებლო მასალა, შესაძლებელი მონაწილეობა მიიღონ მოზრდილთა საქმიანობაში და პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა-ჩვევები ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის და გაუმჯობესების მიზნით. როგორც ვხედავთ, პოლიტექნიკური აღზრდის პრინციპი თეორიულად დასაბუთებულია და პროგრამებშიც გატარებულია, მაგრამ ცხოვრებაში ამის განხორციელება ჩვენ პირობებში ძნელი აღმოჩნდა.

ისმის საკითხები: შრომის ყველა სახე უნდა შეისწავლებოდეს, თუ შერჩევით, რა პრინციპის მიხედვით უნდა ხდებოდეს ეს შერჩევა, თუ შემოვიღებთ სკოლაში რამდენიმე ხელობის შესწავლას, რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და რატომ (აქ გასარკვევია ბავშის ძალ-ღონე, ინტერესი, სკოლის მატერიალური სახსარი), როგორ უნდა დაუკავშირდეს საერთო განათლების მასალა შრომის პროცესებს და სხვა.

ამ საკითხთა გადაწყვეტის ძიების პროცესში ბევრი რამ გამოირკვა, ჩამოყალიბდა, შეიცვალა (მაგ. 1927 წლის რუსეთის პროგრამები და ჩვენიც საგრძნობად განირჩევიან გასაბჭოების პირველი ხანის პროგრამებიდან). პოლიტექნიკური აღზრდის პრინციპის გაგებაც ლუნაჩარსკის განმარტებით, ცოტაოდენად შეცვლილია (იხ. „Вторая ступень“). პოლიტექნიკურმა აღზრდამ „უნდა მისცეს ბავშს— მოზარდს თანამედროვე გაუმჯობესებული, მეცნიერულად მოწყობილი შრომის რამოდენიმე მაგალითზე შეგნება ძირითადი კანონებისა და მუშაობის მსვლელობისა“.

ამ განმარტებაში უმთავრესი ყურადღება ექცევა გაუმჯობესებული, რაციონალურად მოწყობილი შრომის ძირითადი კანონების შეგნებას, რადგანაც აღზრდის მიზანია არა მარტო ცხოვრების შესწავლა, არამედ მისი გარდაქმნა გაუმჯობესება:

აქ ხაზგასმულია, რომ შრომის ხერხის და რაციონალური ორგანიზაციის შესწავლა საჭიროა რამდენიმე მაგალითზე.

ეს პასუხია კითხვაზე—შესაძლებელი და საჭიროა თუ არა შრომის ყველა სახის შესწავლა. თუ ჩვენი მიზანია არა ვიწრო დარგის ტექნიკოსის მომზადება (ამათ პროფესიანალური სკოლები ამზადებენ), არამედ პოლიტექნიკური განვითარება და, უმთავრესად, შრომის ორგანიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებში გარკვევა, შესაძლებელია და სასურველიც (რადგანაც სკოლას არ ძალუძს შრომის ყველა სახის შემოღება-შესწავლა) შევჩერდეთ რამდენიმე მაგალითზე.

მხოლოდ დგება საკითხი: რა მაგალითი, შრომის რა სახე და რა მოცულობით უნდა შემოიღოს სკოლამ

შრომის სახეების შერჩევის დროს ეკონომიურ მოსაზრებებთან ერთად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სკოლის ამა თუ იმ საფეხურის მიზანდასახულობით.

მეორე საფეხურის პირველი კონცენტრის (მე-5, მე-6 და მე-7 სწ. წელი) მიზანია: მოამზადოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე (მისცეს მოზარდს დამთავრებული ცოდნა იმ მოცულობით, რომელიც გაურკვევს მას გარემოცულ სინამდვილეს, შეაგნებინებს, თუ რა ადგილი უკავია მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში), შეუმუშაოს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების ჩვევა.

ცხადია, 15—16 წლის მოზარდს არ ექნება მთლიანად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, მისი ცოდნა ელემენტაოული იქნება, მაგრამ სკოლაში ყოფნის დროს საჭიროა ბავშს ჩაენერგოს რევოლუციონურ მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მისწრაფება, შეუმუშავდეს დამოუკიდებელი მუშაობის და თვითგანვითარების გაგრძელების ჩვევა-მისწრაფება.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ პირველი კონცენტრი არ სწყვეტს საკითხს ბავშის მომავალი პროფესიის შესახებ, არ იძლევა ამა თუ იმ შრომის დარგისათვის მომზადებულ მუშაკს, ის მხოლოდ აწარმოებს შრომითს აღზრდას, აცნობს ბავშს შრომის მრავალ სახეობის, წარმოების გაუმჯობესების პერსპექტივებს, ურკვევს ბავშს, თუ რა დარგში უფრო ნაყოფიერი იქნება მისი ძალ-ღონის გამოყენება. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სკოლამ უნდა შეისწავლოს შრომის ის სახე, რომელიც გაბატონებულია რაიონში, რომლის გაუმჯობესობას აქვს დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა რაიონის, მხარის კეთილდღეობისათვის. სწავლების კონკრეტიზაცია და ბავშთა მიერ აქტიური მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აგრეთვე მოითხოვს შრომის ისეთ სახის შემოღებას, რომელსაც გარემო სინამდვილეში ვიპოვით.

ამით არის გამოწვეული პირველი კონცენტრის სხვადასხვა სახე—სოფლის ახალგაზ. სკოლა სოფლის სინამდვილეში, საქარხნო-საფაბრიკო საწარმოო ცენტრში და წვრილი შინამრეწველური—პატარა ქალაქებში.

ჩვენ პირობებში ფეხი მოიკიდა ჯერჯერობით სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ. ეს არის სკოლა, რომელმაც გადადგა ნაბიჯი პოლიტექნიკური აღზრდისაკენ და, იმედია, ახლო მომავალში მის ნამდვილ სახეს მოგვცემს.

ამრიგად პოლიტექნიკური აღზრდისათვის საჭიროა ადგილობრივი პირობების მიხედვით შრომის სახეების შერჩევა, მათთან დაკავშირება სასწავლო მასალისა, ბავშთა შრომითი აღზრდა და მიღებულ ცოდნათა პრაქტიკაში გამოყენება საზოგადოებრივი-სასარგებლო შრომის სახით.

ამისათვის კი საკმარისი არაა მარტო პოლიტექნიკური აღზრდის აუცილებლობის აღიარება. პროგრამების დამუშავება,— საჭიროა მასწავლებლობის—სკოლის მთავარი ნერვის—მომზადება და სკოლის მატერიალური უზრუნველყოფა (სახელოსნოების მოწყობა, ხელსაწყოების შეძენა და სხვა).

ვინაიდან ჩვენი მასწავლებელი არ არის მომზადებული, არ ერკვევა იმ საკითხში, თუ რა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს შრომას, ვერ ახერხებს სასწავლო საგნების შრომის საკითხებთან დაკავშირებას, გარემოცულ წარმოებასთან კავშირის დამყარებას, და იმის გამო, რომ ჩვენი სკოლა ღარიბია, სხვადასხვა სახელოსნოების მოწყობა, შრომითი პროცესების შემოღება დიდ ხარჯს თხოულობს,—პოლიტეხნიკური აღზრდა სასურველ სახით ცხოვრებაში ჯერჯერობით ვერ ტარდება.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ეს გარემოება მეორე საფეხურის მეორე კონცენტრისათვის.

ეს სკოლები ვერ აძლევენ მოსწავლეებს შრომით აღზრდას, სათანადო პროფორიენტაციას. აქ უმრავლეს შემთხვევაში სიტყვიერი და წიგნობრივი სწავლებაა გაბატონებული. რით აიხსნება ეს გარემოება, შესაძლებელია ამ სკოლათა მიზანი და პროგრამა არის არა სწორად აღებული და დამუშავებული (ისმის ასეთი ბრალდებაც) მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის სკოლა ორ მიზანს ემსახურება;

პირველი—გააგრძელოს და გააღრმაოს პირველი კონცენტრის საერთო განმანათლებელი,—ცხოვრებისათვის მოსამზადებელი მუშაობა, მეტიც საფუძველი ჩაუყაროს მოსწავლეთა მატერიალური მსოფლმხედველობის გამომუშავებას და ამასთანავე მისცეს ცოდნა იმ მო-

ცულობით, რომელიც საკმარისი იქნება უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისათვის. მეორე—პროფესიონალური განხრა.

სკოლის მეორე საფეხურის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 70%—უმაღლეს მასწავლებელში არ ან ვერ მიდის (საქართველოში 1927—28 წ. 9-წლედები დაამთავრა 3357 მოწ., მათ შორის უნივერსიტეტში მოხვდა არა უმეტეს 1000) და იძულებულია სკოლის დამთავრებისთანავე ეძიოს თავისი ძალის გამოყენება შრომის რომელიმე დარგში.

მეორე მხრივ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციის ამოცანა თხოულობს სხვადასხვა დარგისათვის სათანადოდ მომზადებულ კვალიფიციურ ძალას.

პროფგანათლების სასწავლებელთა არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და ახლო მომავალშიაც ვერ დააკმაყოფილებს, რადგანაც ჩვენი ეკონომიური სიღარიბის გამო ამ დაწესებულებათა რიცხვის ზრდა განსაზღვრულია. საჭიროა ზემოაღნიშნულ პირობებს ანგარიში გაეწიოს და მეორე საფეხურის სკოლამ მოკლე დროის განმავლობაში ნაკლები ენერგიის დახარჯვით მისცეს წარმოების ისეთი პირნი, რომლებსაც ექნებათ გარკვეული პროფესიისათვის საერთო მომზადება, პროფსაკითხში საკმაო ორიენტაცია და რომლებიც ერთი წლის პრაქტიკის შემდეგ ნამდვილ კვალიფიციურ მუშაკებად გადაიქცევიან.

მაშასადამე, მეორე კონცენტრი არ ისახავს პროფსკოლის ამოცანას—რომელიმე სპეციალობის სავსებით შეთვისებას, მისი მიზანია საერთო პოლიტექნიკური განათლება იმ პროფგანხრით, რომელიც მხარისათვის ახლო მომავალში უსაჭიროესია.

რა დარგებშია ჩვენთვის საჭირო მუშაკთა მრავალი რიცხვი?

პირველ რიგში, საყოველთაო სწავლების გასატარებლად ჩვენ გვეჭირება ახალი სკოლის მცოდნე, მასიური სკოლების მასწავლებლები, კულტურული რევოლუციის ამოცანათა განხორციელებისათვის, ქოხ-სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში და საერთოდ მოზრდილებთან მუშაობისათვის მომზადებულნი პირნი, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სასოფლო-მეურნეობის კოოპერაციის მუშაკნი და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავენი. მართლაც, ჩვენი ყოფილი ცხრაწლედების განხრის შერჩევა ასეთივე სურათს გვაძლევს—ყველა განხრიან სასწავლებელთა (9-წლედ. და სპეც. კურსები) ჯგუფების რიცხვი 1927—28 წელს 148 ს უდრიდა, აქედან პედაგოგიური იყო 63, კოოპერატიული—38, სასოფლო-სამეურნეო—29 და დანარჩენი 18—სხვა 6 სპეციალობის. რაც შეეხება სხვა სპეციალობის

პირებს—მიწის მზომელთა, ელექტროტექნიკოსებს, ფარმაცევტების თუ სხვათა მომზადებას, აქ საჭიროა ზუსტი აღრიცხვა საჭირო მუშაკთა რაოდენობისა, რომ ამ განხრის კურსდამთავრებულნი უმუშევრად არ დარჩენ. ვფიქრობთ, რომ მეორე საფეხურის მეორე კონცენტრისათვის მიზანი სწორად არის დასახული, მაგრამ შესძლო თუ არა სკოლის პრაქტიკამ მიზნის განხორციელება? პროფგანხრამ დიდი დავა და მსჯელობა გამოიწვია.

ადგილების მხრივ განხრების ცუდად შერჩევა, მათი ხშირი შეცვლა, მატერიალური ბაზის სისუსტე, მომზადებულ მასწავლებელთ უყოლობა, სპეციალური საკითხების სხვა საგნებთან დაკავშირების სიძნელე, ზოგიერთი სკოლების სპეციალური კურსებისაკენ გადახრა (სპეც კურსები არის არა პოლიტექნიკური, საერთო განათლების სკოლა, არამედ პროფესიონალური, რომელიც ტექნიკუმისაგან განირჩევა სწავლების უფრო მოკლე ვადით და მატერიალურად ნაკლები მოწყობილობით), ზოგიერთი სკოლის მიერ კი პროფგანხრის სრული უყურადღებობა,—აი ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს „განხრით“ უკმაყოფილობა და შემდეგი შენიშვნები: პროფგანხრიანმა ცხრაწლედებმა ვერ გაამართლეს თავისი დანიშნულება, ისინი ვერ იძლევიან სათანადო პროფორიენტაციას, ცუდად ან სრულებით არ არის დაყენებული პროფპრაქტიკა (განსაკუთრებით პროვინციაში), პროფგანხრის საკითხები ისწავლება მხოლოდ თეორიულად, სპეც საგნების საათები დიდია და ეს ავნებს საერთო განათლების საკითხების საფუძვლიან დამუშავებას, კურსდამთავრებულნი უმუშევრად რჩებიან და ამიტომ, თუ მეორე საფეხურის სკოლის მთავარი დანიშნულება უმაღლესი სასწავლებლისათვის მომზადება, უმჯობესი იქნება სრულებით მოიხსნას ან იქნეს დატოვებული მხოლოდ პედაგოგიური განხრა (ასეთი წინადადებები მოვისმინეთ ტფ. განათ. მუშ. სახლში სახალხო განათლების სისტემის საკითხების გარშემო მსჯელობისათვის მიწვეულ კრებაზე). მასწავლებელთა ნაწილის გალაშქრება პროფგანხრის წინააღმდეგ, მისწრაფება მეორე საფეხურის სკოლას მიეკუთვნოს საერთო ფორმალი განათლების მიზანი და გახდეს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლისათვის მოსამზადებელ საფეხურად, ზემოჩამოთვლილ მიზეზებს გარდა იმითაც აიხსნება, რომ გაურკვეველი აქვთ, თუ რა არის „საერთო“ განათლება და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ შრომითი აღზრდის მნიშვნელობას.

არ არის შეგნებული, რომ მე-II საფეხურის სკოლა განათლებასთან ერთად აღმზრდელობითს მიზანს ისახავს, რომ შრომის ამა თუ იმ დარგში ჩვევათა მიღებას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს,

რომ სწავლების აქტიური მეთოდების და სასწავლო საგნის კონკრეტიზაციის აუცილებლობა მოითხოვს მისაწვდომი კონკრეტი მოვლენის შესწავლას, ადგილობრივი პირობებისათვის მნიშვნელოვან შრომაში გარკვევას და მონაწილეობის მიღებას, შეუგნებელია, რომ მოსწავლეთა პრაქტიკა ამა თუ იმ დაწესებულებაში და ცხოვრების უშუალო გაცნობა არის მათი საზოგადოებრივი მოქმედიანობა, შრომითი აღზრდა და თეორიულ ცოდნათა გაფართოების სტიმული.

განხრის მოწინააღმდეგენი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებელში ვერ მიდის და შემდეგ კიდევ უფრო ნაკლები % მოხვდება (და კიდევაც რომ ყველა ემზადებოდეს უმაღლეს სასწავლებლისათვის, განა ზედმეტია სხვადასხვა პროფესიაში ორიენტირება, განა ეს დროის დაკარგვაა? რასაკვირველია, თუ განხრა კარგად არის დაყენებული, განა უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლენი „წმინდა" მეცნიერნი გამოდიან და გვესაჭიროება კი ეხლანდელ პირობებში მეცნიერება მეცნიერებისათვის და არა მეცნიერება ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის?), რომ მათ ეჭვივრებათ სასწავლებლის დამთავრებისთანავე სამუშაოს მოძებნა, რომელიმე სპეციალობის შერჩევა და კვალიფიკაციის მიღება, რომ ზოგიერთი სპეციალობის (მაგალითად, პედაგოგიკა) მუშაობა მოითხოვს საკითხებში წინასწარ გარკვევას, თეორიულ მომზადებას და სკოლა ვალდებულია მისცეს მოსწავლეს ასეთი ორიენტაცია, გაუადვილოს მას შემდგომი მუშაობა; აგრეთვე არ ეწევა ანგარიში იმ გარემოებას, რომ ქვეყანას ეჭვივრება კვალიფიციური ძალა, და პროფსკოლები ვერ დააკმაყოფილებენ ამ საჭიროებას.

სხვა შენიშვნები სამართლიანია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ასეთია: განხრის შერჩევა უნდა ხდებოდეს სკოლის მატერიალური ბაზის და მასწავლებელთა ძალის მიხედვით.

2 განხრის შერჩევა შეთანხმებული უნდა იყოს სამეურნეო და საგეგმო ორგანოების სამუშაო ძალის მოთხოვნილებასთან და მასთან, თუ რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას არსებული პროფსკოლების ქსელი.

3 განხრა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ წარმოებას და ყოფაცხოვრების მოთხოვნილებას, უნდა იყოს შერჩეული ისეთი პროფესია, რომლისათვის საჭიროა საერთო განათლება არა ნაკლებ მეორე კონცენტრის მოცულობისა.

4 უნდა იყოს მჭიდრო კავშირი საერთო განათლების და სპეციალურ საგანთა შორის, პრაქტიკული მუშაობა სათანადოდ უნდა იყოს დაყენებული.

5. მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის მიზნების სავსებით განხორციელებისათვის საჭიროა, რომ სწავლების წლების რაოდენობა იყოს არა ნაკლები 10 წლისა (აქ არ ვეხებით სადაო საკითხს —სად უნდა იყოს მომატებული ერთი წელი. ჩვენი აზრით, სანამ 4-წ. და 7-წლედი არ გვაძლევს სათანადო მომზადებას, მეორე კონცენტრში დამატება ერთი წლისა უმჯობესია.

თუ ჩვენ შევძლებთ ახლო მომავალში ყველა ამ მოთხოვნილების შესრულებას, თუ მეორე კონცენტრს საფუძვლად დაედება პოლიტექნიკური პირველი საფეხური, სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აღზრდა სათანადოდ იქნება დაყენებული და მეორე კონცენტრი გააგრძელებს და გააღრმავებს ამ მუშაობას, თანაც მისცემს მოსწავლეს არა მარტო საერთო ცნობებს შრომის დარგში, ა'ამედ უფრო ღრმა ორიენტაციას რომელიმე დარგში, მაშინ, ვფიქრობთ, არავინ არ იქნება განხრის წინააღმდეგი და განხრის სწორი გაგება და ჩატარება იქნება პირველი ნაბიჯი პოლიტექნიკური აღზრდის განხორციელებისა მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის სკოლაში.

ბ. კანდელაკი.

სკოლის ასაკამდე აღზრდისა და I საფეხურის სკოლების ადგილი განათლების სისტემაში.

მიმდინარე წლის აპრილში შესდგება საკავშირო პარტთათბირი, რომელზეც სკოლის სხვა საკითხთა შორის სახალხო განათლების სისტემის საკითხიც გაირჩევა. თათბირი ამ საკითხთან დაკავშირებით ანალიზს გაუკეთებს ჩვენი შრომის სკოლის მუშაობას, შეაჯამებს მიღწევებს, გაითვალისწინებს მიღებულ გამოცდილებას და მის საფუძველზე არსებულ განათლების სისტემაში შეიტანს იმ შესწორებებსა და დამატებებს, რომელიც მეტად შეეფერება, უპასუხებს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდს.

არსებულ სისტემას შეეძლო ეპასუხა და სამსახური გაეწია როგორც სასოფლო-მეურნეობის, ისე ქალაქის მრეწველობისათვის მხოლოდ მისი აღდგენის პერიოდის განმავლობაში, მაგრამ როდესაც სახალხო მეურნეობამ ეს პერიოდი განვლო და რეკონსტრუქციის გზაზე შესდგა, ცხადია, დროულად უნდა ჩაითვალოს არსებული სისტემის გადასინჯვა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში დასახული მთელი რიგი ამოცანებისა, სკოლის, განათლების, კულტურის—ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, ამიტომ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და ფართო მასების წინაშე აღნიშნული ამოცანები კვლავ ისმება როგორც კულტურული რევოლუციის და სოციალისტური აღმშენებლობის საკითხები, სახელდობრ—„საზოგადოებრივი აღზრდისა და ქალთა განთავისუფლების მიზნით სკოლის ასაკამდე აღზრდა“, „საყოველთაო სავალდებულო სწავლება“, „პროფტექნიკური განათლების ფართო განვითარება“ და სხვა მრავალი.

შევჩერდეთ მხოლოდ პირველ ორ საკითხზე: „სკოლის ასაკამდე აღზრდა“, და „საყოველთაო სწავლება.“

სკოლის ასაკამდე აღზრდა სოციალისტური აღზრდის საფუძველია; მომავალი თაობის—სოციალიზმის აქტიური აშენებლის—აღზრდის საქმეში ის ძირითად და უმნიშვნელოვანეს საკითხად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე სკოლის ასაკამდე აღზრდა მიზნად ისახავს დაეხმაროს ქალს ბავშის აღზრდის საქმეში, გაანთავისუფლოს ის (ქალი) ოჯახზე მიჯაჭულობისაგან და ამით საშუალება მისცეს აქტიურად ჩაებას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კულტურული რევოლუციის პერიოდში განვითარების იმ ეტაპს, რომელშიც სკოლის ასაკამდე აღზრდა არის, ახასიათებს სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მასიური მოთხოვნილება, რაც ჩვენი კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას მიეწერება.

ქალაქისა და სოფლის მეურნეობის მხრით სკოლის ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა მოთხოვნილების ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ სკოლის ასაკამდე აღზრდის საკითხს სახალხო განათლების სისტემის გადასინჯვის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

სკოლის ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა ქსელი საკავშირო მასშტაბით იმდენად მცირეა, რომ 1698 ბავშიდან აღნიშნულ დაწესებულებებში მხოლოდ ერთი ბავშია მოთავსებული. კერძოდ საქართველოში კი—სკოლის ასაკ. აღზრდის ასაკში მყოფ ბავშთა მთელი რაოდენობიდან მხოლოდ 1,7 პროცენტია, რასაკვირველია, ეს მდგომარეობა ნორმალურად არ ჩაითვლება, და ვინაიდან არსებული ეკონომიური პირობები ჯერ ხელს არ გვიწყობს, რომ ქსელი საჭირო რაოდენობით გაიშალოს, იძულებული ვართ დროებით მივმართოთ ზოგიერთ პალიატიურ ღონისძიებებს—მოვაწყოთ პრიმიტივები: კლუბებთან—ბავშთა დილის და საღამოს ოთახები, ზამთრის და საზაფხულო მოედნები, კოოპერატიულ სახლებთან—ბავშთა კუთხეები, სკოლასთან—მოსამზადებელი ჯგუფები (0 ჯგუფი) და სხვა.

დაწესებულებათა „პრიმიტივიზაციას“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოჰყვეს პედაგოგიური მუშაობის შესუსტება-დაკნინება, არამედ ამ დაწესებულებათა სხვა მხარეების გაიაფება, განსაკუთრებით ნაკლები მოთხოვნილება უნდა დავუყენოთ ავეჯეულობა მოწყობილობას და შენობას, ერთ ხელმძღვანელზე ნაცვლად 15—20 ბავშისა ვიგულისხმოთ 30—40 ბავშამდე, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქალთა და კომკავშირელთა აქტივი (უკანასკნელი გარემოება ერთ ხელმძღვანელს მუშაობას შეუმსუბუქებს).

პრიმიტიულ დაწესებულებათა ჩამოთვლილ სახეებიდან უპირატესობა უნდა მივანიჭოთ O ჯგუფს, როგორც მოსამზადებელ ჯგუფს რომელიც სკოლასთან უნდა დაარსდეს.

პირველი საფეხურის სკოლის ბავშთა მომზადების შეფასება-გამოკვლევამ დაგვარწმუნა იმაში, რომ მუშის და ინტელიგენტის ოჯახიდან გამოსულ ბავშებს შორის დიდი განსხვავებაა მომზადების მხრივ, საერთო განვითარების მხრივ. მუშისა და უღარიბესი გლეხობის შვილები უფრო ჩამორჩენილი არიან, რაც აიხსნება მათი ოჯახის ცხოვრების პირობებით; ოჯახი ბავშს ვერ აძლევს იმდენ მომზადებას, რომ ის დაუბრკოლებლივ, თავისუფლად და თანასწორად მიყვეს შეძლებული ოჯახის ბავშებს, რის გამოც მუშის ბავშები ხშირად ორი წლით რჩებიან ერთსადაიმავე ჯგუფში და ბოლოს, თანდათანობით სკოლას სრულიად ანებებენ თავს. უკანასკნელი გარემოება სკოლას აშორებს თავის პირდაპირ დანიშნულებას— მოამზადოს, აღზარდოს მუშებისა და უღარიბესი გლეხობის შვილები და ნაცვლად ამისა ემსახურება უფრო შეძლებულ ნაწილს: სწორედ ამ არანორმალური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სკოლებთან O ჯგუფის (მოამზადებელი ჯგუფების) დაარსება უმთავრესად მუშათა რაიონებში, და ამ O ჯგუფებში მხოლოდ და მხოლოდ მუშების და უღარიბესი გლეხობის შვილები მიიღებიან.

რაგინდ პრიმიტიულადაც მოვაწყოთ საბავშო დაწესებულებანი, მაინც შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე მათი გახსნა ყველა სკოლასთან და ამიტომ, როგორც სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა მე IV ყრილობის რეზოლუციებშია გათვალისწინებული, „სკოლის ასაკ.აღზრდის როგორც სტაციონალურ, აგრეთვე პრიმიტიულ დაწესებულებათა ორგანიზაციის საქმეში უნდა ჩავაბათ პროლეტარული საზოგადოებრივობა. განსაკუთრებით მხარი დავუჭიროთ და გამოვიყენოთ ამ საქმეში ინიციატივა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (თემკომი, აღმასკომი, საბჭო, პროფ-

საბჭო, სასოფლო-სამეურნეო და საბინაო კოოპერაცია, კოლმეურნეობა, გლეხკომი და სხვა).

როგორც ითქვა, მეორე საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას და რომელსაც მე-15 ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, არის საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

თუ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ტემპის განვითარებას მივიღებთ მხედველობაში, საყოველთაო და სავალდებულო სწავლების გატარება აუცილებლად გადაუდებელი და პირველ რიგში შესასრულებელი საკითხია. ისე, როგორც სკოლის ასაკ. აღზრდის ქსელის გაშლისათვის,—საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის მე-15 პარტყრილობამ გადასწყვიტა საზოგადოებრივი ინიციატივის გამოყენება; რეზოლუციებში ნათქვამია: „საჭიროა ყოველგვარი გადამჭრელი ზომა მივიღოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გასატარებლად, აღნიშნულ საქმეში ყოველნაირად გამოყენებულ უნდა იქნეს ადგილობრივი საბჭოების და მცხოვრებთა ინიციატივა.

თუ საყოველთაო სავალდებულო სწავლება არ განხორციელდა, ისე კულტურული რევოლუციის გატარება, რაც ამჟამად აქტუალურ საკითხად ითვლება, შეუძლებელია.

კულტურული რევოლუციის გატარებაზე დამოკიდებულია სოციალური აღმშენებლობის გამარჯვება, უკანასკნელი კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშურ-გლეხური მშრომელი მასა კულტურულად იმდენად მომზადებული იქნება, რომ შესძლოს სახალხო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში მონაწილეობა მიიღოს.

როდესაც მშრომელი მასის კულტურულ მომზადებაზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ხედველობაში უნდა მივიღოთ მასიური სკოლა.

ჯერჯერობით ჩვენი სახალხო მეურნეობის შესაძლებლობის პირობებში მასიურ სკოლად პირველი საფეხურის სკოლა (4-წლედი) ითვლება და ამიტომ, როდესაც განათლების სისტემის საკითხი ისმება, ყველა სკოლაზე მეტი ყურადღება პირველი საფეხურის სკოლებს უნდა მიექცეს, რადგანაც თავის განათლებას მოსწავლე ახალგაზრდობის 2/3 ნაწილი აქვე ამთავრებს და პირდაპირ ცხოვრების ასპარეზზე გამოდის; აქედანვე ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (თუმცაღა უმცირესობა) მეორე საფეხურის და პროფესიონალურ სასწავლებლებში თავსდება. ახალგაზოდობის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი ოთხწლედმა შესაფერისად მომზადებული უნდა გამოუშვას: პირველ მათგანს უნდა მისცეს ისეთი ცოდნა-ჩვევანი, რომ ეს ახალგაზოდობა მომავალი ახალი სოციალისტური საზოგადოების აქტიუ-

რი მშენებელი გახდეს; მეორე ნაწილს კი შეეძლოს შემდეგი საფეხურის სკოლაში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დაძლევა. ამიტომ, სისტემის გადასინჯვის დროს ყველმ სხვა პირობის (მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სახელმძღვანელოები და სხვა) განხილვასთან ერთად განხილულ უნდა იქნეს პროგრამების საკითხიც.

პროგრამებზე ბევრი რამ არის ‚დამოკიდებული. როგორც ითქვა, პირველი საფეხურის სკოლის პროგრამის დამუშავებამ ახალგაზრდას უნდა მისცეს ისეთი ცოდნა-ჩვეკანი, რომ მან ცხოვრების გარდაქმნა შესძლოს, აქტიური მებრძოლი გახდეს ახალი ცხოვრების დამყარების და ძველი ტრადიციის უკუგდების საქმეში, თავის ოჯახში და სოფლის ცხოვრებაში კულტურული ჩვევები შეიტანოს, სოფელში გაატაროს ელემენტარული აგრო-ტექნიკური დახმარება, გაარჩიოს ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივი ურთიერთობა, გარემოცული სინამდვილე და მასში არსებული კლასთა ბრძოლა, ესმოდეს ამ ბრძოლის საჭიროება, მუშათა კლასის დანიშნულება, მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცების აუცილებლობა, კაცობრიობის განვითარების და განთავისუფლების საქმეში პროლეტარული სახელმწიფოს მნიშვნელობა და სხვა.

უდავოა, რომ იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც დღეს თუ ხვალ სოფლის აღმშენებლობის მუშაობაში უნდა ჩაებას, ცოდნა-ჩვევების ის მოცულობა, რომელიც ჩვენი პროგრამებით გათვალისწინებულია, აუცილებლად საჭიროა და მინიმუმად უნდა ჩაითვალოს, ნაკლები მომზადებით ახალგაზრდობის პირველი საფეხურის სკოლიდან გამოშვება მიუღებელია, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ პროგრამის დამუშავებისათვის 4-წელი საკმარისი არ არის, ბავშვები დიდად არიან დატვირთულნი და ამიტომ აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი ერთი წლის დამატების შესახებ, ე. ი., გარდა მოსამზადებელი ჯგუფისა (0 ჯგუფისა), ოთხწლედს უნდა დაემატოს კიდევ ერთი ჯგუფი, 4-წლედი 5-წლედად გადაკეთდეს, მხოლოდ 1-ლ ჯგუფში ნაცვლად 8 წლიანი ბავშვებისა—7-წლიანები უნდა მივიღოთ, იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს ბუნებრივ პირობებში ბავში გაცილებით ადრე მწიფდება და ამიტომ მასში უფრო ადრე იღვიძებს ინტერესი წერაკითხვის სწავლისადმი, ამნაირად არც პედაგოგიური და არც პედოლოგიური მოსაზრებით გამართლებული არ არის ის გარემოება, რომ 4-წლედის პირველ ჯგუფში ჩვენ მხოლოდ 8 წლის ბავშვებს ვიღებთ. ეკონომიური თვალსაზრისითაც 7-წლიანი ბავშვების პირველ ჯგუფში მოთავსება უფრო მიზანშეწონილია, რადგანაც სოფლის მეურნეობაში 7 წლის ბავში უფრო ხელის შემშლელია, ვიდრე დამხმარე და

ამიტომ გლეხი 7 წლის ბავშის სკოლაში გაგზავნაზე უფრო ადვილად დათანხმდება, ვიდრე 8 წლის ბავშისა, რომელსაც ასე თუ ისე შეუძლიან ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინოს თავის ოჯახს. გლეხი ქალისათვისაც, რომელიც თავისი ცხოვრების პირობების გამო ოჯახზე განსაკუთრებით მიჯაჭულია, დიდი დახმარება იქნება 7 წლის ბავშის სკოლაში მოთავსება იმ მხრით, რომ ქალს მეტი დრო დარჩება საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

4-წლედის 5-წლედად გადაკეთების საჭიროება, იმის გარდა რაც ზემოთ ითქვა პროგრამების-მოცულობისა და სირთულის შესახებ, შეიძლება დავადასტუროთ კიდევ სხვა საჭიროება-გარემოებითაც: პროგრამებში მოცემული მასალის დამუშავებისათვის ხანგრძლივობა 4 წელს არ უდრის, მას (ხანგრძლივობას —4-წელს) ქართულ სკოლებში მესამე და მეოთხე ჯგუფებიდან კვირაში სამ სამი საათი აკლდება, რაც რუსული ენის შესწავლაზე იხარჯება (რუსული ენის შესწავლა კი აუცილებელია, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ენის), ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებში კი—კვირაში 6-6 საათი, რადგანაც იქ რუსულს კიდევ ქართული ენა ემატება (სახელმწიფოებრივი ენა), მაშინ როდესაც ამავე პროგრამაზე (მოცულობის და შინაარსის მხრივ), როგორიც ჩვენი 4 წლედის პროგრამებია რ. ს. ფ. ს. რ-ის 4-წლედებში ხანგრძლივობა სრულ 4 წელს უდრის.

ახალი სკოლის მუშაობის სისტემა ძირიან-ფესვიანად განსხვავდება ძველი სკოლის მუშაობისაგან. შრომითი, კვლევა-ძიებითი, ექსკურსიული და სხვა ახალი მეთოდები სკოლისაგან შედარებით დიდ დროს მოითხოვენ; ამ მეთოდების სწორად გამოყენებას კი გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს იმ ახალი ადამიანის შექმნის საქმეში, რომელიც თავის ყოველ ნაბიჯს ცხოვრებაში მარქსისტული მსოფლმხედველობის პრიზმაში გააატარებს.

ამასთანავე დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 4-წლედის ხუთწლედად გადაკეთებას დიდი მნიშვნელობა ექნება პროფესიონალური ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებისათვის, რადგანაც პროფესიონალური სკოლების ბაზად პირველი საფეხურის სკოლა ითვლება და როდესაც ბავში 4 წლის ნაცვლად 5 წელს იმუშავებს, მაშინ მას მკვიდრი და საფუძვლიანი მომზადება ექნება, რაც პროფესიონალურ სკოლებს მუშაობას გაუადვილებს.

ალბათ, ბევრს ზედმეტად მიაჩნია 4 წლედის 5 წლედად გადაკეთების შესახებ ლაპარაკი მანამდე, სანამ ცხოვრებაში არ გატარებულა 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებული საყოველთაო სავალდებულო სწავლება, რომლისთვისაც გაღებული უნდა იქნეს 89 მილიონი მანე-

თი, მაგრამ რადგანაც სისტემა (რომელიც სხვა საკითხებთან ერთად სკოლების მუშაობის ხანგრძლივობასაც შეეხება) არა ოთხი და ხუთი წლისათვის მუშავდება, არამედ რამდენიმე ათეული წლისათვის, ამიტომ აპრილში მოწვეულ პარტიულ თათბირზე უნდა დადასტურდეს 4-წლედის 5 წლედად გადაკეთების საჭიროება. რაც შეეხება მის ეხლავე ცხოვრებაში გატარებას, რასაკვირველია, არავინ არ ფიქრობს, რომ ეს ეხლავე ერთბაშად მოხდება, არამედ თანდათანობით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების ეკონომიურ პირობებთან შეფარდებით; თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ოთხწლედების ხუთწლედებად გადაკეთება არც ისე დიდ თანხას მოითხოვს (ეხლა არსებული ოთხწლედების გადასაკეთებლად სულ 3 მილიონი მანეთია საჭირო,) რომ მისი გაღება საყოველთაო სწავლების გატარებისათვის საჭირო თანხებთან ერთად (89 მილიონი მანეთი) დიდ ტვირთად დააწვეს სახალხო მეურნეობას.

მარო ლომინაძე.

საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი

დღეს უკვე არავისათვის სადაო აღარაა ის მოვლენა, რომ სოფლის ახალგაზრდობის სკოლა სწორედ ის ტიპია სკოლის, რომელიც ყველაზე მეტად უპასუხებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების ამოცანას. ამ სკოლამ უნდა მოგვცეს ისეთი ახალი თაობა, რომელიც საკმაოდ გარკვეულია სოფლის დღევანდელ, საჭირბოროტო საკითხებში, იცნობს სოფლის მტკივნეულ ადგილებს და შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოფლის კულტურული დონის ამაღლებისა და სასოფლო მეურნეობის მექანიზაციისა და კოლექტივიზაციის საქმეში.

ასრულებს თუ არა ეს სკოლა ამ დაკისრებულ ამოცანას?

მართალია, მას სულ სამი-ოთხი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ვინც კი ახლო გაეცნობა მის მუშაობას, აუცილებლად დარწმუნდება, რომ ის უკვე შემდგარია მიჩნეულ გზაზე, უკვე სოფლის განუყრელი საუკეთესო ნაწილია, ოფლის გლეხკაცობის მოწინავე ნაწილის მარჯვენა ხელია და სოფლის ყოველგვარი კულტურული წამოწყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

სად არის ამ დადებითი მოვლენის გამომწვევი მთავარი მიზეზი? რით უნდა აეხსნათ სკოლის მუშაობის ის რეალობა, რომელიც თით-

ქმის საესებით უპასუხებს, ერთის მხრივ, სკოლის საგანმანათლებლო და საალმზრდელო ამოცანებს და, მეორეს მხრივ, ჩვენი მეურნეობის აღმშენებლობითი მოთხოვნილებას?

დასმული საკითხის პასუხი სკოლის მუშაობის შინაარსსა და მეთოდში უნდა ვეძიოთ.

ბავში საპროგრამო მასალას უფრო ადვილად და მტკიცედ მაშინ ითვისებს და დიდად ინტერესდება სასკოლო მუშაობით, როდესაც შესასწავლ საგანმანათლებლო და საალმზრდელო მასალას ფუძედ ედება ის გარემო, რომელიც მისთვის ნაცნობია, და როდესაც ამა თუ იმ დასამუშავებელ მეცნიერული საკითხის გასაშუქებლად გამოყენებულია ის მოვლენა, რომელიც ბავშს მრავალჯერ უნახავს, რომლის ახლო მას არა ერთხელ გაუვლია, მაგრამ მის სიღრმეში არ ჩაუხედია, მისი წარმომშობი მიზეზის გარკვევაზე თავისი ყურადღება არ შეუჩერებია.

სკოლის დანიშნულებაც სწორედ აქ არის—ისე უნდა ააგოს მან თავისი მუშაობა, რომ ბავშის წინაშე თავისთავად, ბუნებრივად წარმოიშვას საკითხი: რამ წარმოშვა ეს მოვლენა, რამ გამოიწვია იგი, შემიძლია თუ არა, რომ მას სახე ვუცვალო და დავიმორჩილო?

აი, ეს ორი ამოცანა—მოვლენის სახეცვლა და დამორჩილება—არის ის უდიდესი მიზანდასახულება, რომელსაც შეუძლია მთლიანად აამოქმედოს ბავშის არსი და გააასკეცოს მისი შრომის ნაყოფიერება.

მოვლენის სახეცვლისა და დამორჩილების სურვილი ბავშში უფრო მეტად ძლიერდება იმ შემთხვევაში, როდესაც მას (მოვლენის სახეცვლასა და დამორჩილებას) უშუალო კავშირი აქვს თვით ბავშის, მისი ოჯახის და ახლო ნაცნობი საზოგადოების ცხოვრების და შრომის სახეებისა და პირობების შეცვლასთან; ამ შემთხვევაში ბავშს თავი მოსწონს, რადგან გრძნობს, რომ თუ დასმული საკითხი ამოხსნა—ამით იგი ერთგვარ გაუმჯობესებას შეიტანს ოჯახის და საზოგადოების ცხოვრება-მუშაობაში.

აი, ამგვარად და აქედან იღებს თავის დასაბამს სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა, რომელიც, ერთის მხრივ, ცოდნის შეთვიმების ერთ ერთი საუკეთესო მეთოდია და, მეორეს მხრივ, სკოლის და საზოგადოების ურთიერთ დამაკავშირებელი საშუალება.

სწორედ ასე, ამგვარად შენდება სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობა. სოფლის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ერთისა დაიმავე სახის მეურნეობას (სულ ერთია—ერთი დარგია თუ რამდენიმე) ეწევა, მათი შრომის სახე და სამუშაო იარაღები უმეტეს შემთხვევაში ერთნაირია, ბუნების მოვლენანი ყველაზე ერთნაირად დადები-

თად ან უარყოფითად მოქმედებენ და საკვირველი არ არის, თუ საერთო პირობებიდან სკოლაში მოსულ ბავშებს ერთიდაიგივე ჩვევები და ერთიდაიგივე მისწრაფება აქვთ. მათი ინტერესები მცხოვრებთა ინტერესების ანარეკლია, დიდების საჭირბოროტო საკითხები მათშიც გამოძახილს პოულობს და საკმარისია სკოლა ოდნავ შეეხოს, ოდნავ ახსენოს ეს მტკივნეული ადგილები, რომ ბავშთა უმრავლესობა ამეტყველდეს და თვალწინ გადაშალოს ის, რაც მის ოჯახს და მასთან ერთად მასაც აწუხებს.

სოფლის ცხოვრების ყოველი უარყოფითი ან დადებითი მოვლენა (საზოგადოებრივი თუ ბუნების) ყველა ბავშს თანაბრად ეხება, ყველას თითქმის ერთნაირად აწუხებს ან ამხიარულებს, ერთნაირ გამოძახილს პოულობს და ამიტომ საკვირველი არ არის, თუ სოფლის სკოლაში ყოველგვარი მუშაობა მეტის კოლექტიური მიდგომით მუშავდება და ცხოვრებაში ტარდება.

როგორც ზემოთ ვთქვით, სკოლის დასამუშავებელ მასალას სოფლის საჭირბოროტო საკითხები შეადგენს, ამ საკითხთა დამუშავებაზე აშენებს სკოლა მთელ თავის საგანმანათლებლო და საალმზრდელო ამოცანებს და ამიტომ საკვირველი არ არის, თუ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ბავში (თითოეული ცალკე და ყველა ერთად) დიდი ინტერესით ეკიდება თავის მუშაობას და ამ მუშაობაში იოლი გზით მტკიცე ცოდნას იღებს. სკოლის ეს მუშაობა არა ნაკლებ მახლობელი და გასაგებია გლეხკაცობისათვისაც და რამდენად წინად შორს იდგა მისგან, იმდენად დღეს დაახლოვებია მას და სკოლის კოლექტივთან ერთად წინ სწევს საერთო საქმეს.

ასეთია სოფლის სკოლის მუშაობის სახე და მეთოდი. როგორ სურათს გვაძლევს ქალაქის სკოლა? ბევრად საწინააღმდეგოს. აქ თავი მოუყრია სულ სხვადასხვა შეხედულების, ინტერესის, და შეძლების მქონე ოჯახის ბავშებს. აქ, ერთ ჭერ ქვეშ, ერთისადაიმავე საქმის შესასრულებლად შეკრებილან დურგლის, კოოპერატორის, ზეინკლის, პროფესორის, მოხელის, ტვირთმზიდავის ნოქრის, წვრილი ვაჭრის და სხვათა შვილები. მათ ოჯახებს არ აკავშირებს ერთიდაიგივე საჭირბოროტო საკითხი, არ აქვთ თანასახოვანი საზრუნავი საქმე, მათი ოჯახის წინაშე ერთნაირად არ აღიმართება ესა თუ ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენა და სხვა. და ამიტომ, რასაკვირველია, სკოლაში მოსულ ყველა ბავშს თან მიაქვს თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალური შეხედულება, ინტერესი და მიდრეკილება – მათ არ აკავშირებს ისეთი საერთო საქმე, როგორიც ეს ჩვენ სოფელში დავინახეთ. სკოლის მოვალეობაა შეაკოწიწოს ბავშთა

ეს მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი მასა. ერთ მთლიან ერთეულად აქციოს იგი, ერთი მიზნით და მისწრაფებით დააინტერესოს ისინი და ამის შემწეობით შესძლოს მათი საგანმანათლებლო და საალმზრდელო მუშაობის ნაყოფიერების გამდიდრება.

რას გვეუბნევა ქალაქის სკოლის გამოცდილება, შესძლო თუ არა მან სკოლის მთლიანი ერთეულის შექმნა და ბავშთა მჭიდროდ შემაკავშირებელი ინტერესის გამონახვა? მხოლოდ ნაწილობრივად, და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმ განსხვავებაშია, რომელიც სოფლისა და ქალაქის პირობებს შორის არსებობს და რომლის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ ვთქვით.

ქალაქის მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი მოსახლეობა ვერ აძლევს სკოლას ერთ მთლიან მამოძრავებელ სტიმულს, ქალაქის მცხოვრებთა სხვადასხვა საქმიანობა ხელს უშლის სკოლას შეჩერდეს ბავშთა ერთი ან რამდენიმე ქოლექტივისათვის მისაღებ და საინტერესო შრომის სახეზე და ის გაიხადოს თვის საგანმანათლებლო-საალმზრდელო საყრდენ ბაზად; ბავშთა სიჭრელე და ინტერესთა სხვადასხვაობა მთლიანი კოლექტიური მუშაობის შესაქმნელად ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა. მრავალი ხელოვნური პირობების შექმნაა საჭირო, რომ ბავშთა ეს აგრეგატი შეადუღო, შეაკოწიწო და ერთ მთლიან სურვილს და მისწრაფებას დაუქვემდებარო. ბოლოს და ბოლოს შეიძლება ყველა ეს დაბრკოლება გადალახოს სკოლის კოლექტივმა, მაგრამ ამას დიდი დრო და დიდზე უდიდესი ენერგია და გამოცდილება სჭირდება.

ზემოაღნიშნული პირობები ხელს უშლის ქალაქის სკოლას, რომ ცხოვრების შესწავლა და მის გარდაქმნაში მონაწილეობის მიღება გაიხადოს იმ მძლავრ ბერკეტად, რომლითაც ასე კარგად სარგებლობს სოფლის სკოლა. და ამიტომ გასაკვირველი არ აოის, თუ, იმ დროს, როდესაც სოფლის სკოლაში საზოგადო-სასარგებლო შრომამ ფართო ხასიათი მიიღო, ქალაქის სკოლა დღევანდლამდე მხოლოდ ძიების პროცესში იმყოფება.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, რომლის მთავარ საყრდენ ბაზას სოფლის ცხოვრების და მეურნეობის შესწავლა-გარდაქმნა წარმოადგენს, უკვე გარკვევით იღებს პოლიტექნიკური სკოლის სახეს, ქალაქის სკოლა კი ჯერჯერობით, მოკლებულია წარმოებითი ფუძეს და ამიტომ მის მუშაობაში ნაკლებია პოლიტექნიკური მომენტები.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა ჩვენ წინ ბწვავედ აყენებს ამ საკითხს. ქალაქის სკოლა ალბათ დიდხანს კიდევ შეინარჩუნებს ამ თავის არადამაკმაყოფილებელ სახეს, ამის მიზეზი კი, როგორც ზემოთ

ვთქვით, ერთის მხრივ, ქალაქის მცხოვრებთა სიჭრელეა, და, მეორეს მხრივ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ნაკლები განვითარება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის მცირერიცხოვანი ფაბრიკა-ქარხნები და სახელოსნოებიც კი, რომელიც დღეს ჩვენ მოგვეპოვება, ნაკლებად არის ჩვენი სკოლების მიერ გამოყენებული. ჩვენი სკოლა ძლიერ ნაკლებად იცნობს ჩვენს წარმოებას და ძლიერ სუსტად არის მასთან დაკავშირებული, ამ კავშირის გაძლიერება კი ქალაქის სკოლის მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენების აუცილებელი პირობაა—საკავშირო ზოგიერთა-მთავარმა რესპუბლიკებმა (რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინა და სხვა) უკვე საკმაოდ შესძლეს ამ საკითხის გადაწვეტა—მთავარ სამრეწველო ცენტრებში ფაბრიკა-ქარხნებთან შექმნილია ეგრეთწოდებული „საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედები". ამგვარი სკოლების შექმნა პრინციპულად ჩვენშიც გადაწყვეტილია, მაგრამ სინამდვილეში იგი ჯერ-ჯერობით არ გვაქვს. ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ასეთ სკოლებს საძირკველი ჩავუყაროთ.

სად უნდა მოეწყოს ამგვარი სკოლები? როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ეს სკოლა უნდა აშენდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა რაიონში და უსათუოდ ფაბრიკა-ქარხანასთან. ტერიტორიალურ მის მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ სკოლის შენობა ფაბრიკა-ქარხნის ეზოს არ უნდა გასცილდეს. ბავშს ყოველდღე და ყოველ წუთს თვალწინ უნდა ჰქონდეს ფაბრიკა-ქარხნის ყოფა ცხოვრება და მუშაობა. მე მგონი უდაოა, რომ სკოლისა და ქარხნის ტერიტორიალური სიახლოვე, ბავშის და მუშის ყოველდღიურად პირისპირ შეხვედრა მნიშვნელოვანი მომენტთაგანია, საიდანაც უნდა დაიწყოს სკოლის და ქარხნის დაახლოვება. მართალია, ეს პირობა ჩვენში უაღრესად ტეხნიკურია, მაგრამ ბავშის აღზრდისა და მუშათა საზოგადოებრიობის სკოლასთან დაახლოვების საქმეში იგი დიდ როლს ითამაშებს.

ვინ უნდა სწავლობდეს ამ სკოლებში? ამ სკოლაში მხოლოდ და მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნის მუშის შვილები უნდა სწავლობდენ. თუ მოსახერხებელი იქნება, იმასაც კი უნდა ვეცადოთ, რომ სკოლაში მხოლოდ ერთ ქარხანაში, ერთი სახის წარმოებაში მომუშავეთა შვილებმა მოიყარონ თავი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ თავიდან ავიცდინოთ ბავშთა ის სიჭრელე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დღეს ქალაქის სკოლებში, რის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით და რაც ასე უარყოფითად მოქმედობს სკოლის მუშაობაზე. თუ ბავშთა ასეთ შერჩევას შევძლებთ, შედეგად აუცილებლად მივიღებთ ბავშთა ისეთ კოლექტივს, რომლის განვითარების დონე, ზნე-ჩვეულება, მის-

წრაფება და ინტერესი თითქმის ერთნაირია და, რასაკვირველია, ასეთი ერთეული ყოველთვის შესძლებს გამონახოს საერთო ენა და სკოლის მუშაობის ის სახე, რომელიც ყველასათვის მახლობელი, მისაღები და დიდად დამაინტერესებელი იქნება. ყველა ამას გარდა მუშაობით ბავშების დაინტერესებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა უწყობს ხელს—ცხადია, რომ სკოლამ თავის სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობის ფუძედ უნდა გაიხადოს ის წარმოება, რომელსაც ეწევა ფაბრიკა-ქარხანა. ამ შემთხვევაში ეს სახე მუშაობისა ბავშთა კოლექტივის მთელი შემადგენლობისათვის არამთუ უცხო, უცნობი და ხელოვნურად თავზედ მოხვეულია, არამედ ნაცნობი და ახლობელია, რადგან ეს ის სამუშაოა, ეს ის დაწესებულებაა, სადაც მისი მამა, დედა, ძმა და ან სხვა მისი მახლობელი მუშაობს, რომლის არსებობაში ჩაქსოვილია მისი ოჯახის ცხოვრების ყოველი მხარე—საზოგადოებრივი, მატერიალური და სხვა. ყველა ეს კი არის ერთი იმ მთავარ პირობათგანი, რაც იძლევა შრომის სკოლის მთლიან სწორ სახეს და ნაყოფიერ მუშაობას, რამაც გააცხოველა სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობა და რასაც ჯერ კიდევ მოკლებულია ჩვენი დღევანდელი ქალაქის სკოლა.

ვის უნდა ამზადებდეს ეს სკოლა? ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ცოცხალი ძალის მომზადების საქმე თითქმის სწორ გზაზეა შემდგარი—უშუალრდ მიწის მომუშავე—კულტურული მეურნე უნდა მოგვცეს სოფლის ახალგაზრდობას სკოლამ, ეს არის მისი დანიშნულება და ამ თავის მოვალეობას ნაწილობრივ უკვე ასრულებს; კვალიფიცურ მუშას იძლევა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, საჭიროა მხოლოდ მათი რიცხვის გადიდება; ტეხნიკოსებს უშვებს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, რომელიც თანდათან მტკიცდება და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მასში მოსწავლე ახალგაზრდათა კადრი ნაწილობრივ სოფლის ახალგაზრდობის სკოლიდან მოსული ბავშებით ივსება.

რა მდგომარეობაშია ქალაქის მრეწველობისათვის საჭირო მუშათა კადრის მომზადების საქმე? ვფიქრობ, რომ აქ ჩვენ საკმაოდ მოვისუსტებთ. პროფტეხნიკური სკოლა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლა,—აი ის ორი დაწესებულება, რომლებსაც დაკისრებული აქვს მუშათა ახალი კადრების მომზადება. საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, რომელზედაც გვინდა შევჩერდეთ, ვერ ასრულებს საკმარდ იმ დანიშნულებას, რომელსაც მას უყენებს რეკონსტრექციის გზაზე შემდგარი ჩვენი მრეწველობა. ჩვენთვის დღეს საჭიროა არა ისეთი მუშა, რომელიც მხოლოდ მანქანის დამატებაა, რომელიც ავტომატიურად ას-

რულებს მანქანის მოთხოვნილებას, არამედ მომუშავე, რომელსაც საკმაო პოლიტექნიკური და თეორიული მომზადება აქვს, რომელიც საკმაოდ ერკვევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებში, იცნობს წარმოებას მთლიანად და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მის აღმშენებლობის მუშაობაში. ასეთ მომზადებულ ახალგაზრდა მუშას კი, რასაკვირველია, ჩვენი საფაბრიკო საქარხნო სკოლა ვერ გვაძლევს და ვერც მოგვცემს, თუ ის იმავე პირობებში დარჩა, როგორშიაც იგი **დღეს** იმყოფება. ამ სკოლაში დღეს უმეტესად შედის მუშათა შვილები, რომლებსაც პირველი საფეხურის სკოლა თუ დაუსრულებიათ და რომლებსაც არ აქვთ არც საკმარისი საერთო განვითარება და არც საჭირო პოლიტექნიკური ცოდნა. ეს გარემოება კი იძულებულს ხდის საფაბრიკო-საქარხნო სკოლას შეამციროს მოწაფის საწარმოო მომზადება და მის ანგარიშში მისცეს ბავშს საერთო განვითარება. ამგვარ მუშაობას შედეგად ის მოსდევს, რომ სკოლა ახალგაზრდას საკმაოდ ვერც ერთს აძლევს და ვერც მეორეს. აქედან გამოსავალი მხოლოდ ერთია — **საფაბრიკო-საქარხნო სკოლა უნდა შენდებოდეს შრომის სკოლის მეორე საფეხურის პირველ კონცენტრზე,** განათლების სახალხო კომისარიატს ეს დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დღევანდლამდე იგი ცხოვრებაში არ გატარებულა. ახლო მომავალში ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ **საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მიიღებიან არა ყველა შვიდწლედში კურსდამთავრებულნი, არამედ მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომელთაც დაუმთავრებიათ მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი.**

ამგვარად საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი ამზადებს იმ ახალგაზრდობას, რომელიც შემდეგ ავსებს საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოწაფეთა კადრს. საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი უნდა იყოს ის სკოლა, რომელიც შედის სახალხო განათლების საერთო სისტემაში, სარგებლობს შრომის სკოლის შვიდწლედის ყოველგვარი უფლებით, მაგრამ აქვს განსაკუთრებული დანიშნულება - მოამზადოს განათლებული-კულტურული მუშა ახალგაზრდა, რომელსაც შეუძლია შემდეგ გააგრძელოს სწავლა და გახდეს მუშა-ტეხნიკოსი, მუშა-ინჟინერი.

როგორი უნდა იყოს სკოლის სუშაობის სახე და შინაარსი? საფაბრიკო-საქარხნო სკოლა აუცილებლად პოლიტექნიკური სკოლაა; ამ სკოლის დანიშნულებაა მოგვცეს არა ვიწრო ხელოსანი, არამედ კულტურული მუშა (ისე, როგორც სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ-კულტურული გლეხი), რომელიც აღჭურვილია თეორიული ცოდნით, აქვს საკმაო წარმოდგენა წარმოებაზე და შემდეგ თავისი საკუთარი

ძალ ღონით შეუძლია გააღრმაოს მიღებული ცოდნა. ამხ. კრუპსკაია ამ სკოლის შინაარსს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „საბაფრიკო-საქარხნო შვიდწლედი უნდა მუშაობდეს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შვიდწლედის საერთო პროგრამით, ამ პროგრამის დამახასიათებელი კი არის — ორიენტაცია გარემო ცხოვრებაზე, ე. ი. ბავში შეისწავლის, ანალიზს უკეთებს და შეგნებულად ერკვევა იმ პირობებში, რომელიც მას გარს არტყია, საფაბრიკო საქარხნო შვიდწლედის გარემო, კონკრეტული სინამდვილე—არის ფაბრიკა, შრომა ფაბრიკაში და მომუშავეთა ყოფა-ცხოვრება.

ამიტომ ამ სკოლის პროგრამა უნდა შეივსოს წარმოების ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით, ფაქტებით და ილუსტრაციული მასალით. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. ვთქვათ, სკოლა მოწყობილია საფეიქრო ქარხანასთან, სადაც ართავენ, ქსოვენ და ღებავენ ხელს. თავის თავად ცხადია, რომ ხელის შესწავლა, ხელის წარმოება და მისი განვითარებისათვის საჭირო პირობების გაცნობა სკოლაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს. სოფლის შესწავლის დროს დიდი ყურადღება მიექცევა იმ რაიონს, სადაც ხელის მოყვანას მისდევენ, ამ რაიონის ნიადაგის განოყიენების თავისებურებას, ხელის შინაური ხერხით დამუშავებას და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხელის შინაური და საქარხნო წესით დამუშავების სხვადასხვაობას. დიდი ადგილი დაეთმობა ადგილობრივი მცხოვრები გლეხების და ფაბრიკაში მომუშავეთა ურთიერთობის საკითხს, ზეთის გამოხდის განვითარებას და სხვა. შრომის პროცესების შესწავლის დროს დიდი ადგილი დაეთმობა სართავ მასალას, ქსოვის პროცესს, საქსოვ დაზგას, ქიმიურ პროცესებს, რომელიც სახეს უცვლის ქსოვილებს, ხატვას, საღებავების შერჩევას, ქალის მუშაობის პირობებს, შრომის გაუმჯობესებელ პირობებს და სხვა. ასეთი მიდგომა, მუშაობის ასეთი სახე, რასაკვირველია, არ არის პროფესიონალური მომზადება, ეს მხოლოდ პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდის მომზადებისათვის საუკეთესო ბაზაა...

რომ საკითხი უფრო გარკვეული იყოს, მოვიყვანოთ რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილება ამ სკოლის მუშაობის შესახებ; „საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედმა შემდეგი მიზნები უნდა დაისახოს:

ა) გააცნოს მოწაფეობას საერთო საფუძვლები იმ წარმოების, რომელთანაც არის სკოლა მოწყობილი;

ბ) მისცეს ბავშებს პოლიტექნიკური შრომითი ჩვეულების და ცოდნის განსაზღვრული ჯამი, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველ-

გვარ და კერძოდ სკოლასთან არსებულ წარმოებაში გავრცელებულ მთავარ შრომის პროცესებს.

გ) შეაჩვიოს მოწაფეები მიღებული თეორიული ცოდნის თავის პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობასა და წარმოების შრომაში გამოყენებას.

დ) მისცეს მოწაფეებს შრომის ცალკე სახეებისა და მასიური კვალიფიკაციის სპეციალობაში გარკვევის უნარი, რომელთაც ადგილი აქვს სკოლასან არსებულ წარმოებაში. ამავე დროს სკოლა არკვევს მოწაფეთა ინტერესებს და მიდრეკილებას, რომ შვიდწლედის დამთავრების შემდეგ საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში შესაფერისი სპეციალობა აირჩიონ.

„საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედთან არსებულ წარმოების ხასიათმა და განსაკუთრებით აქ გაბატონებული შრომითი პროცესების თავისებურებამ თავისი დაღი უნდა დაასვას ბავშთა შრომა-საქმიანობას. მაგალითად—საფეიქრო ქარხანასთან არსებულ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქსოვილების დამუშავებას (რთვა, ძაფი და სხვა), მეტალურგიულ წარმოებასთან არსებულ სკოლაში კი—საჭირო იქნება განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თუნუქზე მუშაობას და სხვა.

„ყველა ეს უფრო მეტად ეხება უფროსი ჯგუფის მოწაფეთა შრომა-საქმიანობას. საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედში აუცილებელია, რომ შესწავლა იმ სპეციალობის, რომელთანაც ამ სკოლას ბავშთა უმრავლესობას საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მუშაობის დროს ექნებათ საქმე, უშუალოდ იყოს დაკავშირებული შვიდწლედის შრომის სახეებთან და ამ შრომაში ჰპოვოს მან (საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სპეციალობამ) თავისი ბაზა და საყრდენი, მაგრამ ისე, რომ არ შეასუსტოს შვიდწლედის პოლიტექნიკური სახე. ამიტომ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედის პროგრამების, შრომითი პროცესების საწარმოო გეგმის შედგენის და მასალის შერჩევის დროს საკმარისი არ არის აღებული წარმოების დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინება, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოთხოვნილებაც—პროგრამები, სახელოსნოების მოწყობილობა, მასალა და სხვა დანარჩენი აუცილებლად შეფარდებული იყოს მის მოთხოვნილებასთან.

„აქედან, რასაკვირველია, არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი მხოლოდ და მხოლოდ უნდა შეეფარდოს და უპასუხებდეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოთხოვნილებას და წარმოადგენს მისთვის ბავშთა მოსამზადებელ ბაზას. სა-

ფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედის დანიშნულებისა და ამოცანების ასეთი გაგება ძირითადად შემცდარი იქნება და აუცილებლად საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედის საერთო განათლებისა და პოლიტექნიკურ მიმართების საწინააღმდეგო“.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ იმ წარმოების, რომელთანაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლა არსებობს, თავისებურებასთან და ანგარიშს ვუწევთ აღებულ მრეწველობის დარგის საფუძველს და არავითარ შემთხვევაში ეს სკოლა არ უნდა გავხადოთ მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსამზადებელ საფეხურად.

სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. როგორც წერილის თავშიც ვთქვით, რასაკვირველია, სოფლის სკოლას უკეთესი პირობები და მეტი შესაძლებლობა აქვს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის გასატარებლად, ვიდრე ქალაქის შრომის სკოლას, მაგრამ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი ამ მხრივაც უკეთეს პირობებში იქნება, თუ კი მისი პედაგოგიურ-ორგანიზაციული მხარე ისე იქნება ჩამოყალიბებული, როგორც ჩვენ გვაქვს დასახული ამ წერილში. მთავარი აქ ის არის, რომ სკოლის და ქარხანა-ფაბრიკის მუშაობა ურთიერთს ჩაექსოვოს, ფაბრიკის კოლექტივმა შეიგნოს, რომ მის გვერდით იზრდება მისი შემცვლელი ახალი თაობა და ბავშებმა კი შეიგნონ, რომ ისინი ამ დიდი საქმის მემკვიდრენი არიან. თუ ეს მომენტები სინამდვილეში თავს იჩენს, მაშინ ბავშთა კოლექტივის წინაშე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა, წარმოების წარმატებისა და გარემო მუშათა რაიონის კეთილდღეობისადმი მიმართული ბუნებრივად წამოიჭრება და ფართო გასაქანს მოიპოვებს.

სკოლა უშუალო მონაწილეობას იღებს ქარხანა-ფაბრიკის საწარმოო გეგმის გამომუშავებაში და თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

ქარხანა-ფაბრიკის ეკონომიური თათბირები უნდა შეიქნას სკოლის იმ ასპარეზად, სადაც ბავშები, არა მხოლოდ ეცნობიან ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესების საკითხებს, არამედ აქტიურად ებმებიან წარმოების გაუმჯობესების საშუალებათა გამომუშავებაში.

მუშაობის პირობებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება—ეს ისეთი სამუშაოა, რომელშიაც სკოლის კოლექტივს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა არა მარტო სიტყვით და ჩვენებით, არამედ პრაქტიკულად ჩაებას კიდევაც.

ფაბრიკა-ქარხანაში კულტურული მუშაობა—წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, დილა-საღამოების გამართვა, საკლუბო მუშაობა, წარმოდგენების დადგმა, გაზეთ-წიგნაკების ხმამაღლა კით-

ხვა,—ყველა ეს ბავშთათვის ხელმისაწდომია, ადვილად დასაძლევი და დიდმნიშვნელოვანი.

ფაბრიკა-ქარხანასთან მოწყობილი საბავშო ბაღისა და ბაგის მუშაობაში სკოლის ბავშთა ჩაბმას უაღრესი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მნიშვნელობა ექნება.

სკოლა, რასაკვირველია, არ უნდა დაკმაყოფილდეს ფაბრიკა-ქარხნის კედლებს შორის მუშაობით და თავისი მოქმედება მუშათა ოჯახებში, მუშათა რაიონში უნდა გადაიტანოს. აქ მას ისე უნდობლად აღარ შეხვდებიან, როგორც დღეს ხვდებიან ქალაქის სკოლის ბავშს; რადგან ბავში და მუშა ერთმანეთს კარგად იცნობენ, აქ სკოლას შეუძლია ფართოდ გაშალოს თავისი მუშაობა მრავალ საჭირბოროტო საკითხის გარშემო.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ ჩამოვთვალეთ მუშაობის ყველა ის სახე, რომელიც სკოლას შეუძლია ჩაატაროს და ეს არც საჭიროა, რადგან საკითხი ის კი არაა, თუ რა გავაკეთოთ, არამედ—როგორ შევქმნათ ის პირობები, რომ ამ მუშაობის გატარების შესაძლებლობა მოგვეცეს.

აი მოკლედ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედის სახე და მისი მუშაობის ფორმები.

დიმ. გურგენიძე.